

მუჰამმად ჰაშიმ ქამალი

# ჰალალისა და ჰარამის პარამეტრები შარიათსა და ჰალალის ინდუსტრიაში



არაკვირითული გამოცემების სერია 23

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი /ლონდონი-ვაშიგტონი  
პერსპექტიული ისლამური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი მალაიზია

ჰალალ-ისა და ჰარამ-ის  
პარამეტრები შარი'ათსა და  
ჰალალ-ის ინდუსტრიაში

მუჰამმად ჰაშიმ ქამალი



International Institute  
of Islamic Thought



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2024

**ჰალალ-ისა და ჰარამ-ის პარამეტრები**  
**შარი'ათსა და ჰალალ-ის ინდუსტრიაში (Georgian)**  
*მუჰამმად ჰაშიმ ქამალი*  
*არაპერიოდული გამოცემების სერია 23*

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.  
1445ჰ/2024  
Paperback ISBN: 978-9941-33-602-7

**The Parameters of Halal and Haram  
in Shariah and the Halal Industry**  
*Mohammad Hashim Kamali*  
*Occasional Papers Series 23*

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)  
1434AH/2013CE  
Paperback ISBN: 978-1-56564-555-4  
IIIT  
P.O. Box 669,  
Herndon, VA, 20172, USA  
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: ქეთევან არახამია  
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე  
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე  
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-  
ვასლა A-508  
ikiacademy.org

სავატორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამოწვევებისა და შესაბა-  
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან  
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამო-  
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.  
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-  
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2024

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

## შინაარსი

წინასიტყვაობა .....	5
შესავალი.....	9
ჰალალ-ისა და ჰარამ-ის გაგება .....	10
„ნებადართულის“ კატეგორია (ჰალალ, აგრეთვე მუბაჰ, ჯა'იზ) .....	11
ჰალალ-ისა და ტაჰიბ-ის შედარება.....	18
პირველსანყისი სინმინდის პრინციპი (ტაჰარა).....	25
„აკრძალულის“ კატეგორია (ჰარამ).....	32
ჰარამ-ის საფუძვლები.....	36
ჰარამ, მუდმივობა და ცვლილება:	
ისთიჰალა-ის პრინციპი (ნივთიერების გარდაქმნა) .....	40
„არასასურველის“ კატეგორია (მაქრუჰ) .....	46
„რეკომენდებულის“ კატეგორია (მანდუბ).....	52
„ნაცრისფერი ზონა“: საეჭვო საკითხები.....	55
გემოს გამაძლიერებლები და სხვა დანამატები.....	60
მაშჰუჰ ინგრედიენტები და დანამატები .....	62
ინგრედიენტები და დანამატები, რომლებიც შეიძლება აკრძალულად ჩაითვალოს.....	66
მოთხოვნები ცხოველის სწორად დაკვლისადმი .....	69
ნეს-ჩვეულების ('ურფ) როლი ღირებულებების განსაზღვრაში .....	74

ხორცი, ზღვის პროდუქტები და რძის ნაწარმი.....	76
ჭალალ ინდუსტრია მალაიზიაში.....	79
ისლამი და მეცნიერება .....	85
დასკვნა და რეკომენდაციები.....	90
შენიშვნები .....	96

## წინასიტყვაობა

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (IIIT) და პერსპექტიული ისლამური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი (IAIS) მალაიზია არაპერიოდული გამოცემის სახით ერთობლივად წარმოგიდგენთ ისლამურ სამართალსა და იურისპუდენციაში ცნობილი მეცნიერისა და სპეციალისტის მუჰამმად ჰაშიმ ქამალის ნაშრომს „ჰალალ-ისა და ჰარამ-ის პარამეტრები შარი'ათსა და ჰალალ-ის ინდუსტრიაში“. პროფესორ ქამალის ბევრი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული შარიათის საკითხებზე. მისი ბევრი წიგნი, მათ შორის „ისლამური სამართლის პრინციპები“ (Principles of Islamic Jurisprudence), „შარიათის კანონი: შესავალი“ (Shari'ah Law: An Introduction) და ჰადისმცოდნეობის სახელმძღვანელო (A Textbook of Hadith Studies) მსოფლიოს სხვადასხვა ინგლისურენოვან უნივერსიტეტში სახელმძღვანელოებად გამოიყენება.

ჰალალ-ისა და ჰარამ-ის თემა, ძირითადად, ხორციისა და ხორცპროდუქტებთან მიმართებით, მეტად მნიშვნელოვანი გახდა ისლამური სამყაროსთვის მას შემდეგ, რაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხორცის წარმოების, საკვების უსაფრთხოებისა და სისუფთავის დაცვის ეთიკურ ასპექტებს და ამასთან ერთად გამკაცრდა მოთხოვნები ცხოველების კეთილდღეობაზე ზრუნვასთან დაკავშირებით. თუმცა ჰალალ-ის ინდუსტრია მოიცავს არა მხოლოდ ხორცს, რადგან ინდუსტრია დამოკიდებული

ლია ბაზრის მიწოდებისა და მოთხოვნის რეალებზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ისლამის პრინციპების სწორად გაგება. მაგალითად, საკვები დანამატების საკითხმა დიდი არეულობა გამოიწვია საკვების მოხმარებაში, ისევე, როგორც საბანკო პროცენტების საკითხი დისკუსიის საგნად იქცა მათთვის, ვისაც სურდა [თანხის] ეთიკური ნორმების დაცვით, რიბჰ-სგან (პროცენტისგან) თავის არიდებით, დაბანდება.

გასაკვირი არ არის, რომ ჰალალ-ის აღქმა განსხვავდება როგორც კულტურებისა და რეგიონების, ასევე ისლამური სამართლის სხვადასხვა სკოლის (მაზჰაბის) მიმდევრების მსოფლმხედველობის მიხედვით. სიღრმისეულად შეისწავლის რა ამ საკითხს, ქამალი ყურანზე დაყრდნობით ხსნის ჰალალ-ისა და ჰარამ-ის ძირითად პრინციპებს, ასევე საუბრობს პრაქტიკაში მათი განხორციელების მთავარ პრობლემებზე, წარმოგვიდგენს მოცემული თემის მნიშვნელოვან ანალიზს და არგუმენტირებულად განიხილავს იმ მცდარ წარმოდგენებს, რომლებიც დღეს მუსლიმთა დაპირისპირების მიზეზად იქცა.

წინამდებარე ნაშრომი პრაქტიკულ რჩევებს სთავაზობს ჰალალ-ის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, ცდილობს ხელი შეუწყოს ჰალალ-ის სტანდარტების უნიფიცირებას და ამის უზრუნველსაყოფად გვთავაზობს გარკვეულ მითითებებს.

არაბული სიტყვები მოცემულია დახრილი შრიფტით, გარდა ხშირად გამოყენებადი სიტყვებისა. დიაკრიტიკული ნიშნები დამატებულია მხოლოდ იმ არაბულ სიტყვებზე, რომლებიც მიიჩნევა მოძველებულად.

1981 წელს დაფუძნებული იასი ასრულებს მთავარი ცენტრის როლს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისლამურ ხედვაზე, ღირებულებებსა და პრინციპებზე დამყარებულ სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევითი პროგრამები, სემინარები და კონფერენციები საფუძვლად დაედო ოთხასზე მეტ პუბლიკაციას ინგლისურ და არაბულ ენებზე, რომელთა უმრავლესობა ითარგმნა სხვა ენებზე.

კუალა ლუმპურში 2008 წელს დაფუძნებული პერსპექტიული ისლამური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი (IAIS) მალაიზია დამოუკიდებელი, ობიექტური აკადემიური კვლევების ჩატარებაზე ორიენტირებული კვლევითი ინსტიტუტია, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ისლამსა და თანამედროვე პრობლემებზე პრაქტიკული, პოლიტიკური თვალსაზრისით.

დროის შედარებით მოკლე პერიოდში, პიკსი (IAIS) იქცა დინამიურ სახალხო ფორუმად, რომელიც მართავს მალაიზიასთან, ისლამურ სამყაროსთან და ისლამის სხვა ცივილიზაციებთან ურთიერთქმედების საკითხებთან დაკავშირებულ სემინარებს და აწარმოებს გამომცემლობით საქმიანობას. ინსტიტუტი აქვეყნებს ყოველკვარტალურ რეცენზირებულ ჟურნალს „ისლამი და ზოგადსაკაცობრიო აღორძინება“ (Islam and Civilizational Renewal (ICR)), ორ თვეში ერთხელ გამოსცემს ბიულეტენს სახელწოდებით „IAIS ბიულეტენი და ისლამი და თანამედროვე პრობლემები“ (IAIS Bulletin and Islam and Contemporary Issues), ასევე წიგნებს, მონოგრაფიებსა და არაპერიოდული გამოცემების სერიებს. უკანასკნელი ხუთი წლის გან-



მავლობაში აქ ჩატარდა ისლამისა და ისლამურ სამყაროსთვის მნიშვნელოვან საკითხებისადმი მიძღვნილი 150-მდე ღონისძიება, სემინარი, „მრგვალი მაგიდის“ ფორმატის შეხვედრა, ეროვნული და საერთაშორისო კონფერენცია. პიკსი (IAIS) მალაიზიას აქტივობებისა და პუბლიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ [www.iais.org.my](http://www.iais.org.my) გვერდზე. პროფესორი ქამალი საკუთარ ვებსაიტს წარმოადგენს [www.hashimkamali.com](http://www.hashimkamali.com).

*იასი ლონდონის ოფისი და პიკსი მალაიზია,  
კუალა-ლუმპური  
აგვისტო, 2013*

## ჰალალ-ისა და ჰარამ-ის პარამეტრები შარი‘ათსა და ჰალალ-ის ინდუსტრიაში

### შესავალი

ჰალალ-ის ინდუსტრიამ თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. როგორც ბაზრის ფენომენი, ის 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში გაჩნდა. ამ ინდუსტრიის სწრაფი პროგრესი ნაწილობრივ გამოწვეულია მისი მკაცრი მოთხოვნებით საკვების უსაფრთხოების, სისუფთავისა და „სამართლიანი თამაშის წესების“ დაცვის მიმართ. ისევე, როგორც თავის ადრეულ წლებში ისლამური საბანკო საქმიანობა, ჰალალ-ის ინდუსტრიაც მეტწილად დამოკიდებულია ბაზრის მოთხოვნებსა და რეალიებზე. დღეს ბაზრის მოთამაშეები და ინდუსტრიის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ წინსვლისთვის აუცილებელია წარსული მიღწევების განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს ისლამური პრინციპების უკეთ გაგებასა და მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას. ამაზე საუბარი იწყება ყურანში, ჰადისებსა და ფიკჰში ჰალალ-ისა და ჰარამ-ის თემაზე არსებული მტკიცებულებების განხილვით, თავდაპირველად ჰალალ-ის ძირითადი წესების განმარტებით, ხოლო შემდეგ გრძელდება ჰარამ-ის, არასასურველი ქმედებების (*მაქრუჰ*) და

რეკომენდებული ქმედებების (*მანდუბ*) განხილვით. აქვე ხდება ზემოხსენებული კატეგორიების განსაზღვრაში ტრადიციული პრაქტიკის როლის, აგრეთვე ისლამსა და მეცნიერებას შორის ურთიერთკავშირის, ანალიზი.

განიხილება, აგრეთვე, კიდევ ორი თემა: სინმინდის ნორმატიული პრინციპი (*ტაჰარა*) და ნაკლებად ცნობილი, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი, ნივთიერების გარდაქმნის (*ისტიჰალა*) პრინციპი, რომლითაც აიხსნება *ჰარამ*-ის გადაქცევა *ჰალალ*-ად შიდა ქიმიური ცვლილებების შედეგად, რომლის დროსაც ხდება *ჰარამ*-ის ელემენტის მოშორება. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ნაწილი ეძღვნება სულ უფრო და უფრო აქტუალურ თემას — *მაშბუჰათ*-ს (*საეჭვო*), ანუ *ჰალალ*-ისა და *ჰარამ*-ის საეჭვო საკითხების განხილვას, რომლებისთვისაც არ არსებობს სანდო მტკიცებულებები. ასევე განხილულია საკვები დანამატების, საკვების დამუშავებისა და მომარაგების, ახალი საკვების მრავალფეროვნების უწყვეტ ნაკადთან დაკავშირებული საეჭვო საკითხები, რომლებსაც აგრეთვე *მაშბუჰათ*-ის (*საეჭვო*) კატეგორიას მიაკუთვნებენ.

### **ჰალალ-ისა და ჰარამ-ის გაგება**

მუსლიმმა სამართალმცოდნეებმა განიხილეს პირველადი არგუმენტები *ჰალალ*-ისა და *ჰარამ*-ის შესახებ და ჩამოაყალიბეს სახელმძღვანელო მითითებები ცხოველთა დაკვლის პროცედურებისა და ადამიანის რაციონ-

ნის რეგულირების მიზნით. შარიათი დეტალურად განსაზღვრავს სურსათსა და კვების რაციონში ჭარბ ნივთიერებებს, თუმცა საკვებსა და სასმელებში ჭალალ-ის განსაზღვრისადმი განსხვავებულ მიდგომებს იყენებს, ზოგჯერ მათი მოხსენიება ხდება არა სახელწოდებით, არამედ გარკვეული ინდიკატორებით, რაც ხშირ შემთხვევაში ბადებს ეჭვებს. ასეთი ეჭვები, ცხადია, საჭიროებს ხელახალ სამართლებრივ შესწავლასა და იჯთიჰადს მათ დაშვებულობა ან დაუშვებლობასთან დაკავშირებით. დღეს არსებული ფიკჰის სახელმძღვანელოები გვთავაზობენ დეტალებს პრაქტიკულად ყველა ცნობილ ცხოველთან, ფრინველთან, ზღვის პროდუქტთან და ა.შ. დაკავშირებით, თუმცა დღევანდელი ბაზრის პროდუქციის მუდამ ზრდადი მრავალფეროვნება, ისევე როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ახალი მიღწევები, მუდმივად ახდენენ გავლენას ფიკჰის პოზიციებზე საკვებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ საჭიროებს საკვები პროდუქტების შემადგენლობის მუდმივ კვლევასა და განხილვას შარიათის პერსპექტივიდან.

**„ნებადართულის“ კატეგორია  
(ჭალალ, აგრეთვე მუბაჰჰ, ჯა'იზ)**

სათაურში ნახსენები სამი არაბული სიტყვისგან, ჭალალ და მისი დერივატივები, ყველაზე ხშირად ფიგურირებს ყურანსა და ჰადისებში, მაშინ, როდესაც ფიკჰის ლიტერატურა მეტად მიდრეკილია მუბაჰჰისა და ჯა'იზის გამოყენებისკენ.<sup>1</sup> ჭალალ შეიძლება განიმარტოს როგორც აქტი, ობიექტი ან ქცევა, რომელთან მიმართებით

ადამიანს გააჩნია თავისუფალი არჩევანი და მის ჩადენას არ მოჰყვება რაიმე ჯილდო ან სასჯელი. ჰალალ-ის განსაზღვრა შეიძლება შარიათის არაორაზროვანი მტკიცებულებით ან, როგორც ეს ქვემოთ იქნება განმარტებული, ნებადართულობაზე (იბაჰ) მითითებით.

ისლამურ სამართალში არსებული ხუთი საფეხური-საგან შემდგარი შკალა, საკუთრივ, სავალდებულო, რეკომენდებული, ნებადართული, გასაკიცხი და აკრძალული (*ვაჯიბ*, *მანდუბ*, *მუბაჰ*, *მაქრუჰ*, და *ჰარამ*, შესაბამისად) ყურანსა და ჰადისში ასეთი თანმიმდევრობით არ გვხვდება.

ყურანში ჰალალ-ი და მისი დერივატივები შეიძლება პირდაპირ სახელდებოდეს, ან იკითხებოდეს შემდეგ განაცხადებში: „ეს არ არის ცოდვა“, „არ არის დანაშაული“ ან „ღმერთი ამისთვის პასუხს არ გაგებინებს“ და ყველა მსგავსი განაცხადი ნებადართულობას გულისხმობს. ამავსე თქმა შეიძლება *მაქრუჰ*-სა და *მანდუბ*-ზე, რომლებიც ყურანისა და ჰადისის უამრავ გამონათქვამში გვხვდება. ამგვარად, როდესაც ზემოხსენებულ წყაროებში გვხვდება ისეთი გამონათქვამები, როგორცაა: „ღმერთს არ უყვარს“ ესა თუ ის, ან როდესაც ქმედება აღწერილია, როგორც „საზიზლარი“, „ამაზრზენი“, „არასწორი“ და ა.შ. ის *მაქრუჰ*-ის კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო ამ გამონათქვამების საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელი გამონათქვამი შეიძლება *მანდუბ*-ს გულისხმობდეს.<sup>2</sup>

ჰალალ-თან დაკავშირებით ტექსტებში არსებული მითითებების მიხედვით ადამიანის ძირითად თავისუფლებაზე და საკვებთან დაკავშირებულ მის პირად არჩე-

ვანზე საჭიროების გარეშე არ უნდა დაწესდეს შეზღუდვები, შესაბამისად, აკრძალვები არ უნდა სცდებოდეს ტექსტში კონკრეტულად განსაზღვრულ ფარგლებს. ნებადართული ანუ *ჰალალ* კატეგორია, შესაბამისად, წარმოადგენს ღია კატეგორიას, რომელსაც მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული. ყურანში ნათქვამია: „*დღეს ყველაფერი კარგი და წმინდა ნებადართულია თქვენთვის*“ (სურა *მა'იდ*, 5:6) და „*ჰეი, ადამიანებო! ჭამეთ, რაც არის ნებადართული და სუფთა ამ ქვეყანაზე*“ (სურა *ბაკარა*, 2:168 და 172). და შემდეგ კვლავ: „*ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიკრძალოთ სიამენი, რომელზეც ალლაჰმა ნება მოგცათ თქვენ*“ (სურა *მა'იდა*, 5:87). *ჰალალ*-ზე ამ შეხედულებამ მისცა საშუალება სამართალმცოდნეებს ჩამოეყალიბებინათ ზოგადი მითითებები, როგორცაა, მაგალითად, შემდეგი სამართლებრივი პრინციპი: „*ნებადართულობა (იბაჰა) ფუძემდებლური ნორმაა ყველაფერში მანამ, სანამ არ გამოჩნდება მტკიცებულება, რომლის საფუძველზე უნდა დაწესდეს აკრძალვა*“.<sup>3</sup> შესაბამისად, იმისათვის, რომ რაიმე გამოაცხადო ნებადართულად, არ არის აუცილებელი წარმოადგინო დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა იმისა, რაც ისედაც ცხადია გრძნობითი აღქმით. მცენარეული საკვები და ცხოველების ხორცი სუფთად ითვლება, თუ ზოგადი პრაქტიკა და გონება მათ ასეთად აღიქვამს და მათ არ ეტყობათ უწმინდურობის რაიმე ნიშანი. შარიათის სხვა მტკიცებულება საჭირო არ არის. (ამდენად, რაიმეს ნებადართულობა შეიძლება განისაზღვროს ადამიანის გრძნობითი აღქმის საფუძველზე. მცენარეული საკვები და ცხოველის ხორცი სუფთად ითვლება, თუ ის

ასეთად აღიქმება მასზე სიბინძურის რაიმე ნიშნის არარსებობის გამო). ასეთი ზოგადი ნებადართულობა ვრცელდება მასზეც, რაც შეიძლება იყოს დახასიათებული, როგორც რეკომენდებული ან გასაკიცხი. რადგან ეს უმთავრესად, წარმოადგენს რჩევას, რომელიც ადამიანმა შეიძლება გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს, ადამიანს არ გააჩნია მათი შესრულების ვალდებულება. სწორედ ამიტომ ცნობილმა ზაჰირიტმა სწავლულმა, იბნ ჰაზიმმა (გარდ. 1064/1456) ზემოხსენებული ხუთსაფეხურიანი შკალა სამამდე დაიყვანა, საკუთრივ, სავალდებულო, აკრძალულ და ნებადართულამდე. ამტკიცებდა, რომ რეკომენდებული და გასაკიცხი ნებადართულის ანუ *მუბაჰის* კატეგორიის ქვე-კატეგორიებს წარმოადგენენ.

მუსლიმი სამართალმცოდნეები ასევე ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი მტკიცებულება ტექსტიბიდან, რომელიც აუქმებს დასაშვებობის პრეზუმფციას, უნდა იყოს შესწავლილი მნიშვნელობისა და ავთენტურობის თვალსაზრისით, რისი დადგენაც შესაძლებელია სანდო ცნობების ან გადმოცემის საფუძველზე, იმიტომ რომ *ჰარამის* დადგენა არ შეიძლება საეჭვო მტკიცებულების, მაგალითად, სუსტი ჰადისის ან ყურანის არასაკმარისად მკაფიო აიას საფუძველზე - ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ნებადართულობას.<sup>4</sup> იბაჰა-ს ორ ძირითად გამონაკლისად მუსლიმი სამართალმცოდნეები ასახელებენ თაყვანისცემის აქტებს (*იბადათ*) და ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინების გარეშე სქესობრივ კავშირს. აქ მთავარი დაშვებაა ის, რომ თაყვანისცემის აქტები (*‘იბადათ*) უნდა იყოს დამტკიცებული მკაფიო ტექსტით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აკრძალვას ექვემდებარება და

ასევე ის, რომ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს შორის სქესობრივი კავშირი, ქორწინების გარეშე ზოგადად აკრძალულია. ანუ არავის შეუძლია რამე დაამატოს ან მოაკლოს ყოველდღიურ ხუთ ლოცვას ან მათ შინაარსს მკაფიო ტექსტის სახით არსებული მტკიცებულების გარეშე, რადგან უზენაესმა ღმერთმა განსაზღვრა მისი თაყვანისცემის გზა და ჩვენ მას უცვლელად ვასრულებთ.

მალიქიტები უფრო ლიბერალურები არიან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან მიმართებით, რომლებიც სხვა სკოლებმა, შესაძლოა, *მაქრუჰ*-ის ან აკრძალულის კატეგორიას მიაკუთვნონ. შაფიიტები, ჰანაფიტები და ჯაფარიტები ანუ თორმეტიანები (ისნა აშარიტები) ზომიერი მიმართულების წარმომადგენლები არიან, მაშინ, როდესაც ჰანბალიტები უფრო მკაცრი მიდგომით გამოირჩევიან. მალიქიტები ადამიანთა საკვებად ნებადართულად მიიჩნევენ ყველა სახის ხმელეთის ცხოველს, ფრინველსა და ზღვის ბინადარს, მათ შორის მანანწალა ცხოველებს (*ჯალალა*), რომლებიც ნარჩენებით იკვებებიან, მტაცებელ ფრინველებსა და ჭიანჭველებს, მატლებსა და ხოჭოებს. დანარჩენი სკოლების უმრავლესობა მათ *მაქრუჰ*-ად ან *ჰარამ*-ად, აცხადებდნენ.<sup>5</sup> ეს მალიქიტური მაზჰაბის, გახსნილობას და მრავალმხრივ მიდგომას. მაგალითად, ეს ერთადერთი სკოლა ანუ მაზჰაბია, რომლისთვისაც ისლამურ სამართალში მისაღებია, პრაქტიკულად, ყველა მეორეხარისხოვანი მტკიცებულება (*ადილლა ჭარ'აჰა*), მაშინ, როდესაც სხვა სამართლის სკოლები ახდენენ მტკიცებულებების დიფერენციაციას, იღებენ რა ზოგიერთს და უარყოფენ სხვებს.



არსებობს *ჰალალ/მუბაჰის* სამი სახე. პირველია *მუბაჰი*, რომელსაც არ მოაქვს ზიანი ადამიანისთვის, მიუხედავად იმისა, ჩაიდენს ის ამა თუ იმ ქმედებას თუ არა. მაგალითად, იმოგზაურებს, ინადირებს თუ ისეირნებს სუფთა ჰაერზე. მეორეა *მუბაჰი*, რომლის განხორციელება ნებადართულია აუცილებლობიდან გამომდინარე, თუმცა არსებითად, ის აკრძალულია. ასე, მაგალითად, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩინად შესაძლებელია ლემის ჭამაც<sup>6</sup>. მესამე სახის *მუბაჰი* გულისხმობს ისეთ ქცევას, რომელსაც ისლამი კრძალავს, მაგრამ რომელსაც ადგილი ჰქონდა ისლამის გაჩენამდე ან ახლადმოქცეულების შემთხვევაში, მანამ, ვიდრე ისინი ისლამში მოექცეოდნენ. მაგალითად, ღვინის დაღევა არ იყო აკრძალული წმინდა მუჰამმად შუამავლის (ს.ა.ს)<sup>\*\*\*</sup> მედინაში გადასვლამდე, შესაბამისად ის მიეკუთვნება *მუბაჰის*, ვიდრე არ განცხადდებოდა ყურანის აია, რომელმაც ის საბოლოოდ აკრძალა (სურა მა'იდ, 5:90).<sup>7</sup> ალ-ლაზალ (გ.1111) განმარტავდა, რომ არასწორია გამოვიყენოთ *მუბაჰი* ბავშვის, შეშლილი ადამიანის ან ცხოველის ქმედებებთან მიმართებით, ასევე არასწორია *მუბაჰი* ვუნოდოთ ღმერთის ქმედებებს. ქმედებებსა და მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ქონდათ ისლამის გამოჩენამდე, ასევე ვერ ვუნოდებთ *მუბაჰის*.

*მუბაჰი ასევე იყოფა სამ ქვეკატეგორიად:*

<sup>\*\*\*</sup> *صلى الله عليه وسلم* (სალლა ალლაჰუ ლაჰი ვა სალლაში) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამმად შუამავლის სახელი „მუჰამმადი“ იქნება ნახსენები

1. ქმედებები, რომლებიც არის *მუბაჟ* ცალკეული ადამიანისთვის, მაგრამ რეკომენდებულია (*მანდუბ*) მთელი საზოგადოებისთვის. ზოგიერთი საკვების მიღება, როგორცაა ვეგეტარიანული საკვები, საქონლის ხორცი, ცხვრის ხორცი და ა.შ. არის *მუბაჟ* ცალკეული ადამიანისთვის, მაგრამ რეკომენდებულია (*მანდუბ*) მთელი საზოგადოებისთვის, რათა ისინი ბაზარზე ხელმისაწვდომი იყოს.
2. ქმედებები, რომლებიც არის *მუბაჟ* ცალკეული ადამიანისთვის, მაგრამ სავალდებულოა (*ვაჯიბ*) მთელი საზოგადოებისთვის. ჩვეულებრივ პირობებში ჭამა, სმა და ქორწინება, შესაძლოა, იყოს *მუბაჟ* ცალკეული ადამიანისთვის, თუმცა მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არის *ვაჯიბ* საზოგადოებისა და მისი ლიდერებისთვის. ანალოგიურად, *მუბაჟ* არის ცალკეული ადამიანისთვის აირჩიოს სამსახური და პროფესია, თუმცა საზოგადოება მთლიანობაში ვალდებულია ხელი შეუწყოს კონკრეტული სახის ინდუსტრიისა და ვაჭრობის გადარჩენას.
3. ქმედებები, რომლებიც არის *მუბაჟ* ცალკეულ შემთხვევებში, თუმცა ის იკრძალება რეგულარულ საფუძველზე. მაგალითად, ბავშვთან მიმართებით ზოგჯერ უხეში სიტყვების გამოყენება არის *მუბაჟ*, თუმცა იკრძალება მათი მუდმივად გამოყენება და ხშირად გამოყენების შემთხვევაში არის *მაქრუჰ*.<sup>8</sup>

### ჰალალ-ისა და ტაჰიბ-ის შედარება

ტაჰიბ (ბუკვალურად, „წმინდა“, „სუფთა“) აღნიშნავს ობიექტებს, ქმედებებსა და ქცევას, რომლებიც ასეთებად მიიჩნევა რაციონალური ადამიანების მიერ და ადამიანები მათ იწონებენ გავრცელებული პრაქტიკისგან დამოუკიდებლად.<sup>9</sup> ტაჰიბ-ის (მრ. ტაჰიბათ) საწინააღმდეგოა ის, რაც გაკიცხვის ღირსია და იწვევს ზიზლის გრძნობას კარგი გემოვნების მქონე ადამიანებში მაშინაც კი, როდესაც სხვები ასე არ თვლიან. როგორც უკვე დავინახეთ ჰარამ-ის საფუძვლების შესახებ ჩვენი დისკუსიიდან, ჰალალისა და ჰარამ-ის ძირითადი კავშირი ტაჰიბ-სა და ხაბიბ-თან გამომდინარეობს ტაჰიბ-ის შინაგანი და ბუნებრივი მიდრეკილებისგან ჰალალ-ისადმი, ხოლო ხაბიბ-ის ჰარამ-ისადმი. რადგან უზენაესმა ღმერთმა დაანესა ჰალალ და ჰარამ ადამიანის სასარგებლოდ (მახლაჰა) და მისი კეთილდღეობისთვის, ეს იქცევა ჰალალ-ისა და ჰარამ-ის ძირითად საფუძვლად და არსად. ღმერთს არაფერი შეუქმნია ჰალალ-ად მის ტაჰიბ-ად ყოფნის გარეშე, არც არაფერი შეუქმნია ჰარამად, რომელიც არ არის ხაბიბ. როდესაც დარღვეულია ეს ბუნებრივი კავშირი, როგორც რიგ შემთხვევაში თავად ყურანშიც ხდება, ეს ყოველთვის გარკვეული მიზეზითაა განპირობებული. ამგვარად, შარიათში ჰარამ ეფუძნება ან ბუნებრივ ზიზლს (ხუბს) ან ზიანსა და წინასწარ შექმნილ აზრს (ღარარ), ან ორივეს ერთად. ზოგადად, ის, რაც სრულად ან მნიშვნელოვნად საზიანოა, ასევე წარ-

მოადგენს ჰარამ-ს, ხოლო ის, რაც სრულად ან მნიშვნელოვნად სასარგებლოა, ასევე წარმოადგენს ჰალალ-ს.<sup>12</sup>

თუმცა ტაჰიბ არ წარმოადგენს სამართლებრივ კატეგორიას, რადგან ისლამური სამართალი ამ ტერმინით არ განსაზღვრავს ცალკეული მნიშვნელობის მქონე ერთეულს, რომელიც შეიძლება იქნას მიჩნეული ნებადართულად (*მუბაჰჰალალ*). ხუთი საფეხურისგან შემდგარი ცნობილი შკალა (*ალ-აჰქემ ალ-ხამსა*), რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არ გამოყოფს ტაჰიბ-ს ცალკე კატეგორიად. ამგვარად, მუსლიმებს მოეთხოვებათ დარწმუნდნენ იმაში, რომ ის, რასაც ისინი აკეთებენ, ჭამენ ან სვამენ, ნებადართულია შარიათით, მაშინაც კი, როცა ის არ არის სუფთა, ტაჰიბ ან საუკეთესო ხარისხის მუსლიმებისათვის, ვინც ცხოვრობს, მაგალითად, ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არამუსლიმია, საკმარისი იქნება დაიცვან ჰალალ-ის წესები, ისე რომ არ შემოსაზღვრონ ჰალალ-ის ჩარჩოები მხოლოდ ტაჰიბ-ით. თუ ვინმეს სურს იყოს უფრო განსაკუთრებული და უპირატესობას მიანიჭებს ტაჰიბ-ს, ეს რა თქმა უნდა, მისასაღმებელია.

ზოგ შემთხვევებში დასავლეთის ქვეყნებში არსებული უფრო ხარისხიანი მომსახურება და საქონელი შეიძლება მისცეს იქ მცხოვრებ მუსლიმებს შესაძლებლობა აირჩიონ ის, რაც არის უკეთესი ხარისხით და ტაჰიბ. თუმცა, როგორც სამართლებრივი მოთხოვნა, ყოველი მუსლიმისთვის აუცილებელია ჰალალ-ის და ჰარამ-ის წესების ცოდნა და გათვალისწინება. პრაქტიკულად, ეს შეიძლება ყველა სახის კანონზე ითქვას, რადგან სამართლებრივი დადგენილებები, კონკრეტული შემთხვევიდან

გამომდინარე, ეხება ქცევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღირებულებას - თუ ვისაუბრებთ იმაზე, რასაც ადამიანი ჩვეულებრივ აკეთებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამგვარად, ადამიანი, შესაძლოა, არასწორ საქციელს სჩადიოდეს ან ეგოისტური მისწრაფებები გააჩინდეს ან არაჯანსაღად იკვებებოდეს, თუმცა ეს არ ექვემდებარებოდეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან საექვო საქციელი არ უტოლდება დანაშაულს ან კანონის ამკარა დარღვევას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შარიათი არ ინტერესდება პიროვნების ქცევის უფრო მაღალი მისწრაფებებით და მიზნებით, ამიტომაცაა რომ ხუთსაფეხურიან შკალაზე არსებობს რეკომენდებულის კატეგორია ანუ *მანდუბ*. ნებადართული/*ჰალალ* საკვების შემთხვევაში, კანონი აძლევს უფლებას მუსლიმს მიირთვას ლოკოკინები, მატლები, კალიები, ხვლიკები, ნიანგიც კი და ა.შ., რომელთაგან არცერთი არაა *ტაჰიბ*. საკვებთან დაკავშირებულ *ჰალალ*-სა და *ტაჰიბ*-ს შორის განსხვავება შესაძლოა უფრო მეტად იყოს დაკავშირებული მალქიტურ სამართლის სკოლასთან, რომლებიც საკვებად უამრავი ცხოველის, ფრინველის, ძუძუმწოვრისა და მწერის გამოყენების უფლებას აძლევენ, მაგრამ ისინი მხოლოდ ნებადართული არიან და ცხადია, არ შეესაბამება *ტაჰიბ*-ს. საკვების შერჩევაში *ტაჰიბ* სისუფთავესა და ბუნებრივ მიმზიდველობას გულისხმობს და ამგვარად, მიეკუთვნება, უმეტესწილ, რეკომენდებულის კატეგორიას ანუ *მანდუბ* და არა აუცილებლად, *მუბჰჰ* ის კატეგორიას. აქვე უნდა ვახსენოთ, რომ *ტაჰიბ* არ შემოიფარგლება მხოლოდ საკვებით, არამედ ყურანისა და ჰადისების ენაზე, განივრცობა ქცევის სხვა ასპექ-

ტებზეც, მაგალითად, ადამიანის საქმიანობაზე (იხ. სურა ალ-ბაკარა, 2:267), რიგ შემთხვევაში, ეთიკურ ქცევაზე (სურა მუ'მინუნ, 23:51), მეტყველების მანერაზე (სურა ალ-ჰაჯჯ, 22:24), წმინდა და მართალ ადამიანებზე, მამაკაცებსა და ქალებზე (სურა ან-ნურ, 24:26), სასიამოვნო და მოსახერხებელ ადგილსამყოფელზეც კი (*მასაქინ ტაჰიბა*) (სურა ათ-თაება, 9:72; სურა აჰ-საფფ, 61:12). *ტაჰიბათ* ხშირად გამოიყენება *ხაბს'ის*-ის ანტონიმად, იქნება ეს საკვებთან თუ ქცევის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით.

ამგვარად, *ტაჰიბათ* ყურანის ძირითად თემას წარმოადგენს, რომელიც უამრავ მნიშვნელობას მოიცავს. შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ყურანში *ტაჰიბ* და მისი მრავლობითის ფორმა *ტაჰიბათ* უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება, როგორც მორალური კატეგორია, რომლის მიღწევისკენ უნდა მისწრაფოდეს ადამიანი, მაგრამ ამავედროულად, იგი არ წარმოადგენს ადამიანისთვის ვალდებულებას.

მნიშვნელოვანია *ტაჰიბ*-ის განსაზღვრა *მანდუბ*-ის ქვეჯგუფად, ან ცალკე მდგომ კატეგორიადაც კი, განსაკუთრებით სურსათის კონტექსტში, თუ მივიღებთ მხედველობაში საკვები პროდუქტების მეცნიერებაში ახალ ტენდენციებს, გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების მრავალფეროვნებას, საკვების მასობრივ წარმოებაში საკვები დანამატების და ინგრედიენტების გამოყენებას.

ქარხნების ტექნოლოგიური ხაზები, კომერციული ინტერესებით მოტივირებული კვების მრეწველობის მეთოდები სერიოზულ ეჭვებს ბადებს ბაზარზე არსებული კვებითი დანამატების ბუნებრივი სიჯანსაღის მიმართ.

ამგვარად, გონივრულია ჰალალ კვების ინდუსტრია ორიენტირებული იყოს ტაჰიბ-ზე, როგორც კვების ოპტიმალურ კატეგორიაზე, რომელიც ბოლოს და ბოლოს შეიძლება ასეთად სერტიფიცირდეს და კვალიფიცირდეს.

ტაჰიბ-ზე მითითება ყურანსა და ჰადისებში ბევრგან გვხვდება. თუმცა თითქმის ყველგან ჰალალ და ტაჰიბ ერთმანეთის გვერდიგვერდ არის (სურა ალ-ბაკარა, 2:167; სურა ალ-მა'იდა, 5:4, 5:87; სურა ალ-ა'რაფ, 7:157; სურა ან-ნისა', 4:160). სხვაგან, ყურანი მოუწოდებს წმინდა შუამავალს და მორწმუნეებს „იგემეთ სუფთანი“ ან „ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ“ (სურა ალ-მუ'მინუნ, 23:51, სურა ალ-ბაკარა, 2:172). ტექსტით ერთიანად ნაკითხვის შემდეგ უდავო ხდება, რომ ჰალალ ასევე არის ტაჰიბ. ცხადი ხდება აიას აზრი, რომელიც ამბობს წმინდა შუამავლის მისამართით: „ისინი გეკითხებიან შენ, რა არის მათთვის ნებადართული (უჭილლა — ჰალალ-ის დერივატივია), უთხარი: ყველანაირი სუფთა საკვები“ (სურა ალ-მა'იდა, 5:4). აღსანიშნავია, რომ ყურანში პირველად ნახსენებია ჰალალ, შემდეგ კი ტაჰიბ, თითქოს ტექსტი მეტყველებს იმაზე, რომ ტაჰიბ არის ჰალალ-ის შემდგომი საფეხური.

ფიკჰის სამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე, „როდესაც ხდება ჰალალ-ისა და ჰარამ-ის აღრევა, სჭარბობს ჰარამ.<sup>13</sup> სხვა სიტყვებით, თუ ხელთარსებული მტკიცებულება გულისხმობს როგორც ნებადართულობას, ასევე აკრძალვასაც, უპირატესია უკანასკნელი. ამის ციტირებისას თავის ნაშრომში „ალ-აშბაჰ ვა ალ-ნაჰა'ირ“, ას-სუფუტი აღნიშნავს, რომ მისი პრინციპი ეფუძნება ანალოგიური შინაარსის ჰადისს. ჰადისში ნათ-

ქვამია, რომ: „როდესაც ხდება ჰალალ-ისა და ჰარამ-ის აღრევა, ჰარამ სჭარბობს.“ თუმცა მუსლიმი სწავლულები, მათ შორის, აბუ ალ-ფადლ ალ-‘ირაკი (გ.806/1403), თაჯ ად-დინ ას-სუბქი (გ. 771/1369) და აბუ ბაქრ ალ-ბაჰჰაკი (გ.456ჰ/1064) ამ ჰადისს სუსტად მიიჩნევენ მისი გადაცემის ჯაჭვში არსებული დარღვევის გამო.<sup>14</sup> თუმცა ისეთ პირობებში, რომელშიც მათი აღრევა უმნიშვნელოა, ზემოხსენებული სამართლებრივი პრინციპის გამოყენების მართებულობა, შესაძლოა, ეჭვის ქვეშ დადგეს. ზოგი სწავლული ამართლებს კიდევ ისეთ სიტუაციას, როდესაც გარდაუვალია აკრძალული ნივთიერებების მინიმალურად, პრაქტიკულად უმნიშვნელოდ, შერევა.

არეულობა შესაძლოა გამოიწვიოს ორმა ურთიერთსაწინააღმდეგო ჰადისმა ან ორმა ანალოგიამ: ერთი კრძალავს, ხოლო მეორე ნებას რთავს. ასეთ შემთხვევაში პირველი უპირატესია უკანასკნელზე, აკრძალვა დომინირებს ნებადართულობაზე. აქ გამოყენებულია სხვა სამართლებრივი პრინციპი: „ზიანის არიდება უპირატესია სარგებლის მიღებაზე“.<sup>15</sup> ტექსტთან დაკავშირებული ეჭვი, შესაძლოა, იყოს ნამდვილი (ჰაკიკი), მაგალითად, ჰადისის ნამდვილ ფორმულირებასთან დაკავშირებული ორაზროვნება, ან ის შეიძლება იყოს შედარებითი და მეტაფორული (იღაფი, მაჯაზი), ეჭვი შეიძლება გაჩნდეს კონკრეტულ შემთხვევაში ჰადისის გამოყენებასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩნდება ახალი ინტერპრეტაციისა და იჯთიჰადის საჭიროება, რაც მიზნად უნდა ისახავდეს საჯარო ინტერესებისა და მაჰლაჰ-ს დაცვას. ასეა, მაგალითად, თუ



ჩნდება ეჭვი კანონით დადგენილი წესით დაკლულია ცხოველი თუ არა, დომინირებს ამკრძალავი პოზიცია და შესაბამისად, ასეთი ხორცის მოხმარება რეკომენდებული არ არის. ანალოგიურად, თუ გაუგებარია, რიბა-სგან (პროცენტისგან) არის მიღებული შემოსავალი თუ კანონიერი ვაჭრობისგან, ადამიანი უნდა იყოს ფრთხილად და ცდილობდეს თავიდან აიცილოს უკანონობა. ცხოველებს ჰიბრიდული შეჯვარების შემთხვევაში, მაგალითად, ცხენისა და ვირის შეჯვარებისას, სამართალმცოდნეების უმრავლესობა ნებადართულობის ინდიკატორს დედით განსაზღვრავს: თუ დედა არის ჰალალ, მაშინ თავად საგანიც განიხილება როგორც ჰალალ.

ორი სახის საკვების შერევისას თუ ერთი არის ჰალალ, ხოლო მეორე ჰარამ, შესაძლოა ორი სიტუაცია განიხილებოდეს: თუკი შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან განცალკევება, როგორც მაშინ, როდესაც ღვინო, სისხლი ან შარდი შერეულია წყალთან - მაშინ ჰარამ სჭარბობს ჰალალ-ს; ხოლო როდესაც შეიძლება მათი განცალკევება, მაგალითად, როგორც მაშინ, როდესაც მწერი ან რაიმე სახის უწმინდური ნივთიერება ეცემა მყარ კარაქს - თავად ეს ობიექტი და ზედაპირის ის ნაწილი, რომელზეც ის დაეცა, უნდა მოვაშოროთ, ამის შემდეგ რაც დარჩა, ხდება ჰალალ. თუმცა, თუ ნარევი ძალიან მცირე რაოდენობისაა, რაც ართულებს მისი სინმინდის სრულად დადგენას, (მაგალითად, დიდი სასტუმროების სამზარეულოს ჭურჭელში დარჩენილი ალკოჰოლის მცირე რაოდენობა), შეიძლება მისი უგულვებელყოფა, თუმცა სასურველია შეძლებისდაგვარად მოვერიოდოთ მას.16

### პირველსაწყისი სინმინდის პრინციპი (ტაჰჰრა)

სინმინდის პრინციპი (ტაჰჰრა) სხვადასხვა სახით ავსებს მას, რაც ნებადართულია ანუ იბაჰჰ. აქ უნდა აღინიშნოს მთავარი პოზიცია, რომ ყველაფერი, რაც შარიათისთვის არის ჰალალ, ამავედროულად, წმინდა და სუფთაა, ხოლო ყველაფერი, რაც არის ჰარამ, დიდი ალბათობით, უწმინდურია (ნაჯას). პირველსაწყისი სინმინდე ასევე აღნიშნავს, რომ ყველაფერთან მიმართებით შარიათის ნორმატიული პოზიცია, სინმინდიდან გამომდინარეობს.<sup>17</sup> ის გვეუბნება, რომ უზენაესმა ღმერთმა შექმნა ყველაფერი წმინდად ადამიანისთვის გამოსაყენებლად და სასარგებლოდ, თუ არ არსებობს ამის საწინააღმდეგოს მტკიცებულება. მაშინ, როდესაც მალიქიტურ სკოლას ამ პრინციპზე გააჩნდათ ზოგადი და არა კვალიფიციური წარმოდგენა, შაფიიტური და ჰანბალიტური სკოლები მასში „ყველაფერს“ განსაზღვრავდნენ, ამტკიცებდნენ, რომ სინმინდე არის ნორმა ყველა მატერიალური ობიექტისთვის (ალ-ა‘ჰან), რაც მოიცავს მყარ სხეულებსა და ცხოველებს გარდა ორისა: ღორი და ძაღლი. გვამები ყველა უწმინდურია გარდა სამისა: ადამიანის სხეული (როგორც მუსლიმი, ასევე არამუსლიმი), თევზი და კალია. ყველაფერი, რაც ცოცხალი ცხოველების ორგანიზმისგან გამოიდევენება, მაგალითად, სხეულის სითხეები და ოფლი, ასევე პირველსაწყისი სინმინდის პრინციპის ქვეშ ექცევა, თუმცა ერთ-ერთი ალტერნატიული თვალსაზრისით, აქ საუბარია მხოლოდ წმინდა და „დასაკლავად ვარგის“ (ანუ „ნებადართულ“) ცხოველებზე.<sup>18</sup> ჰანაფიტები ზემოხსენებულის უმეტეს ნაწილს

ეთანხმებიან, თუმცა ერთი გამონაკლისით: ისინი თვლიან, რომ ძაღლები არ არიან ბუნებით უნმინდურები. მალიქიტებმა განავრცეს ამ პრინციპის გავრცელების სფერო და განაცხადეს, რომ შარიათისეული თვალსაზრისის სინმინდეზე ვრცელდება ყველაფერზე, მათ შორის ხმელეთისა და ზღვის ცხოველებზე, მათ შორის ძაღლებსა და ღორებზე. რადგან თავად სიცოცხლე სინმინდის მიზეზი (*'ილლაჰი*) და კრიტერიუმი. ამ ცხოველების ხორცი საკვებად აკრძალულია, თუმცა სიცოცხლეში ისინი არ არიან უნმინდურები. ძაღლებისა და ღორების სხეულების სითხეები, დამოუკიდებლად იმისგან, გამოიდევენებიან ისინი სიფხიზლეში თუ ძილში, ასევე სუფთად ითვლება. გამონაკლისია მათი მუცლის შიგთავსი, ექსკრემენტები და ნარწყევი.<sup>19</sup> ამგვარად, სინმინდე იქცევა შექმნილი სამყაროს და სიცოცხლის ფორმების ატრიბუტად. ეს გამომდინარეობს ასევე ყურანის ძირითადი პოზიციიდან, რაც ობიექტების უნმინდურების განსასაზღვრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიციაა. ამგვარად, ობიექტების სიბინძურე და უნმინდურობა უნდა დადგინდეს მკაფიო ტექსტზე დაყრდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წმინდად მიიჩნევიან. *ნაჯას-ისა* და *ჰარამ-ის* დასადგენი ეს წესი მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ყურანი ადამიანის მოხმარებისთვის *ნაჯას-ად* აცხადებს მხოლოდ ათ რამეს: (იხ. *სურა ალ-მან'იდა*, 5:3-4)<sup>20</sup> და შემდეგ პირდაპირ მიმართავს წმინდა შუამავალ მუჰამმადს (ს.ა.ს): „*ისინი გეკითხებიან შენ, რა არის მათთვის ნებადართული, უთხარი: ყველანაირი სუფთა საკვები*“ (*სურა ალ-მან'იდა*, 5:4). ამგვარად, ჩვენზე არ არის დამოკიდებული აკრძალვების ჩამონათვალის, *ჰარამ-ის*

და ნაჯას-ის, განვრცობა, ტექსტით დადგენილის გარდა. რაიმე ობიექტს უწმინდურად/ნაჯას განსაზღვრავს მხოლოდ მკაფიო ტექსტი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ფაქტობრივი მტკიცებულება, როგორცაა გრძნობითი აღქმის მეშვეობით დადგენილი სიბინძურე. მაგალითად, განბანის რიტუალის ჩასატარებლად წყალი, ზოგადად, სუფთად ითვლება, თუ ვინმე არ აღმოაჩენს მასში ფიზიკურ ჭუჭყს ან არ შენიშნავს ფერის ან სუნის ცვლილებას და ა.შ. მუსლიმი სამართალმცოდნეები ტექსტსა და ფაქტობრივ მტკიცებულებას ამატებენ ზოგად კონსენსუსსა (*იჯმā*) და თაობების მემკვიდრეობით მიღებულ სიბრძნეს, თვლიან, რომ მათ შეუძლიათ იმის განსაზღვრა, თუ რა არის სუფთა ადამიანის მოხმარებისთვის. ასე რომ, მხოლოდ მკაფიო ტექსტს, ფაქტების სახით წარმოდგენილ მტკიცებულებასა და ზოგად კონსენსუსს შეუძლიათ სინმინდის დადგენა.<sup>21</sup>

არაბულ ენასა და ისლამურ ტექსტებში გამოიყენება ჭუჭყისა და სიბინძურის აღმნიშვნელი, პირდაპირი თუ ნაგულისხმევი, უამრავი გამონათქვამი, მათ შორის *ნაჯას*, *კაზირ*, *ხაბოს*, *რიჯს* და *რიქზ*. ფიკჰის სწავლულები *ნაჯას*-ს ორ კატეგორიად ჰყოფენ, საკუთრივ, ფიზიკურ (*‘აჰნიჰაა*) და წარმოსახვით (*ჭუქმიჰაა*). ფიზიკური უწმინდურობა ნამდვილია და შეგრძნებადი და ხშირად ბუნებრივად დამახასიათებელია საგნისათვის. როგორც ნესი, შარიათი მხარს უჭერს მსგავს კატეგორიზაციას, რადგან უმეტეს შემთხვევაში, ის განსაზღვრავს ბუნებრივად უწმინდურ სუბსტანციებს. ფიზიკური სიბინძურე დაყოფილია სამ კატეგორიად: მძიმე, მსუბუქი და საშუალო. რაიმეს უწმინდურობის შესახებ სამართლებრივი

სკოლებისა და სწავლულების სრული კონსენსუსის შემთხვევაში, ის მიძიმება (*მულალლაჟი*). რაიმეს უწმინდურებაზე აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უწმინდურობის დონე საშუალოა ან მსუბუქი (*მუთავასსი* და *მუხაფ-ფაფ*, შესაბამისად). დეტალებში რომ არ შევიდეთ, ეს კატეგორიები ხშირად გამოიყენება ვაჭრობის ან სხვა საკითხების კანონიერების დასადგენად. ჰარამ-თან და ნაჯას-თან დაკავშირებით ძირითადი პოზიციაა ის, რომ უკიდურესი აუცილებლობის გამოკლებით, არ შეიძლება მათი მოხმარება ან გაყიდვა ან საკვებად გამოყენება, არც სამედიცინო, კოსმეტიკური თუ სხვა მიზნებისთვის გამოყენება და მათთან ნებისმიერი ფორმით შეხებას შეუძლია დაარღვიოს რიტუალური ლოცვის ნამდვილობა (*სალაჰი*).<sup>22</sup>

წარმოსახვითი უწმინდურობა, უმთავრესად, სამართლებრივი ატრიბუტია, რომელიც შეიძლება შეუმჩნეველიც კი იყოს შეუიარაღებელი თვალისთვის, მაგრამ რომელიც ასეთად დაადგინა შარიათმა და ის აბათილებს მლოცველის განბანვის რიტუალს - მაგალითად, დეფეკაცია, მოშარდვა ან სქესობრივი კავშირი. სისუფთავის მდგომარეობის აღდგენა შეიძლება ან მცირე განბანვის (*ვუდუ*) ან სრული განბანვის (*ლუსლ*) გზით და ის სუფთა წყლით უნდა მოხდეს. ნაჯას-ისგან განწმენდის სხვა მეთოდები, რომლებზედაც საუბრობენ ფიკჰის ტექსტები, მოიცავენ გაშრობასა და მოთრიმვლას, როგორც ცხოველების ტყავის შემთხვევაში, ცეცხლის ალზე გადატარება, დაბინძურებული ჭისგან წყლის გარკვეული რაოდენობის გადაქცევა და რიტუალური განწმენდა მშრალი განბანვის გზით (*ათ-თაჰამმუმ*).<sup>23</sup>

შარიათმა ასევე განსაზღვრა უწმინდურობის სხვა სახეებიც, როგორცაა სარწმუნოების უარყოფა (*ქუფრ*), დანაშაულისა და ცოდვის ჩადენა - მიჩნეულია, რომ ამ ყველაფერს შეუძლია დააბინძუროს და შელახოს ადამიანის პიროვნება და ხასიათი. ამ სიბინძურისგან გათავისუფლება შეიძლება რწმენაში განმტკიცებით ან დანაშაულისა და ცოდვის ჩადენის შემთხვევაში, სასჯელის მიღების ან მონანიების გზით (*ქაფფარა*), რაც ვლინდება ქველმოქმედებაში, მარხვაში და გულწრფელ სინანულში (*თავბა*).<sup>24</sup>

როგორც უკვე ვახსენეთ, *ნაჯას-ად* რაიმეს გამოცხადების შედეგად ეს სუბსტანცია ადამიანის მოხმარებისთვის სრულად უკანონოდ იქცევა, სხვა სუბსტანციასთან შერევის შემთხვევაშიც კი. ის არღვევს რიტუალურ ლოცვას, თუ მოხვდება ადამიანის სხეულზე, მის სამოსზე ან თაყვანისცემის ადგილზე.<sup>25</sup>

საკითხი იმ საგნების შესახებ, რომლებიც ითვლება *ნაჯას-ად*, მაგრამ არაა მოხსენიებული მკაფიოდ ტექსტებში, სამართლებრივი დისკუსიების საგანს წარმოადგენს. პირველ რიგში, უთანხმოება ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის უფლებამოსილი განსაზღვროს ობიექტების, ქმედებებისა და ქცევის სინამდვილე თუ უწმინდურობა. ამის უფლებამოსილება მხოლოდ შარიათს გააჩნია, თუ გავრცელებულ პრაქტიკასა და ადამიანების ბუნებრივ მიდრეკილებასაც შეუძლია დაადგინოს და განსაზღვროს კანონიერება და სინამდვილე? ფიკჰის სწავლულები ამტკიცებენ, რომ შარიათის თვალსაზრისით *ნაჯასა* (სიბინძურე) წარმოადგენს განსაკუთრებულ კატეგორიას, რაც ყოველთვის არ ემთხვევა ხალხის

აზრს. მაგალითად, შარიათი ალკოჰოლს უწმინდურად აცხადებს (რიჯს; იხ. ყურანი, სურა ალ-მა'იდა, 5:90), ეს განაცხადი კი არ ემთხვევა არაბებში მასზე არსებულ წარმოდგენას. ამასთან ერთად, არაბ ერში გარკვეული საგნები მიჩნეულია უწმინდურად, თუმცა ეს ასე არ არის დადგენილი შარიათში. მაგალითად, ბინძურად [ადამიანები] მიიჩნევენ სხეულის გარკვეულ გამონადენს, როგორცაა სპერმა, ნერწყვი და ლორწო, რომელთა უწმინდურებაც არ არის დადასტურებული წერილობითი წყაროებით. ამგვარად, ადამიანების აღქმა განსხვავდება მათი კულტურის, კლიმატისა და წეს-ჩვეულებების მიხედვით და ყოველთვის არ ემთხვევა შარიათის პოზიციას.<sup>26</sup>

ფიკჰის სწავლულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველაფერი, რაც შარიათის მიხედვით არის ჰარამი, ასევე არის ნაჯასი. თუმცა სიღმისეული ანალიზის შედეგად დავრწმუნდებით, რომ ეს შეფასება სადავოა.

მაგალითად, შარიათი უკრძალავს მამაკაცს საკუთარ დედაზე ან დაზე დაქორწინებას, რაც უპირობოდ არის ჰარამი, თუმცა თავად ამ აკრძალვის ობიექტები, საკუთრივ ქალები, თავისთავად ნაჯას-ად ვერ ჩაითვლებიან. საპასუხოდ განისაზღვრა, რომ მსგავსი აკრძალვები ეხება არა თავად ადამიანებს, არამედ მათ შორის უზუნეო ურთიერთობებს, ხოლო ზნეობრივ სიბინძურესა თუ სინმინდესთან ყველაფერი ნათელია და კითხვა არ ჩნდება. დისკუსიის საგნად სხვა ობიექტები, მაგალითად, შხამი, იქცა, რომელიც თავისთავად არ არის ბინძური, თუმცა მის მოხმარებას შარიათი კრძალავს. წამყვანი ფიკჰის სკოლების ბევრი წარმომადგენელი აცხადებს,

რომ შარიათის მიერ საკვებად აკრძალული ფრინველები და ცხოველები, როგორცაა მტაცებელი ცხოველები, ბრჭყალებიანი ფრინველები და ა.შ. არ არიან აუცილებლად თავისთავად უწმინდურები და მათი ასეთებად გამოცხადება დიდი ალბათობით სხვა მიზეზების და არა სიბინძურის (ნაჯასა) გამო, მოხდა. აზრთა ეს სხვადასხვაობა ფიკჰის პრინციპში შემდეგნაირადაა გამოსახული: „ყველაფერი რაც არის ნაჯას-ჰარამ, მაგრამ ყველა ჰარამ არ არის ნაჯას“.<sup>27</sup>

დღესაც ღიად რჩება კითხვა, თუ რა უნდა იყოს მიჩნეული უწმინდურად/ნაჯას გამოცხადების საფუძვლად (‘ილლაჰი). თუ გარკვეული ნივთიერების ან მახასიათებლის არსებობას ობიექტის უწმინდურად/ნაჯას გამოცხადების პირობად მივიჩნევთ, ხოლო ამავე ნივთიერების/მახასიათებლის არარსებობა, შესაბამისად, ნიშნავს უწმინდურობის არარსებობას, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული ფორმულისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება. თუმცა აღიარებულია, რომ ადამიანებს არ შეგვიძლია ასეთი მიზეზის ან მნიშვნელობის დადგენა. „რადგან ეს საკითხი დღემდე ნაცრისფერ ზონად რჩება და ნაჯასას თემაზე დისკუსია ეჭვებს ვერ აქარწყლებს, ღვთისმეტყველები (‘ულამა’) ამტკიცებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შარიათის ტექსტის მითითებებით ვიხელმძღვანელოთ, რომელიც გვეტყვის თუ რა არის ნაჯას. ეს ერთადერთი გზა და საუკეთესო მითითებაა“.<sup>28</sup>



### „აკრძალულის“ კატეგორია (ჰარამ)

ჰარამ (ასევე ცნობილი როგორც *მაჰზურ*) შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ყველაფერი ის, რაც უზენაეს-მა კანონმდებელმა (აშ-შარი) კატეგორიულად აკრძალა და ამ წესის დამრღვევი ექვემდებარება სასჯელს ამქვეყნიურ ან იმქვეყნიურ ცხოვრებაში.“ ჰარამ შეიძლება იყოს ქმედება, ობიექტი ან ქცევა, რომელიც იკრძალება ყურანის ან ჰადისების მკაფიო მტკიცებულების საფუძველზე. ჰარამ-ის ჩადენა სასჯელს ექვემდებარება, ხოლო მასზე უარის თქმა, ჯილდოს. ეს არის ისლამის სამართლებრივი სკოლების (*მაზაჰიბ*) უმრავლესობის პოზიცია. ჰანაფიტებისათვის, თუ განხილული მტკიცებულების წყარო ავთენტურობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით კითხვის ნიშნებს ბადებს, ჰარამ დაიყვანება *მაქრუჰ* თაჰრამ-მდე (*მაქრუჰ* ახლოსაა ჰარამ-თან) და აღარ არის ჰარამ სრული მნიშვნელობით. ეს ორი ჰგავს ერთმანეთს იმით, რომ ორივეს ჩადენა სასჯელს ექვემდებარება, ხოლო მათზე უარის თქმა ჯილდოვდება, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ ჰარამ-ზე შეგნებულად უარის ართქმა ღალატს უტოლდება, რაც არ ხდება *მაქრუჰ* თაჰრამ-ს შემთხვევაში.<sup>29</sup>

ჰარამ-თან დაკავშირებით ძირითადი მტკიცებულება წარმოდგენილია ყურანში. ტექსტში ნათქვამია: „მან (აღლაჰმა) უკვე განგიცხადათ რაც აკრძალა თქვენთვის“ (სურა ალ-ან‘ამ, 6:119), რაც ნიშნავს, რომ ორაზროვანი და გაურკვეველი ტექსტი არ არის საკმარისი ჰარამ-ის დასადგენად. მაგალითად, აკრძალულ

საკვებთან მიმართებით ყურანმა განსაზღვრა ათი რამ, საკუთრივ „ლემი, სისხლი, ღორის ხორცი და ის, რაც ალლაჰის სახელით არ დაკლულა; აგრეთვე დახრჩობილი, დარტყმით მოკლული, სიმაღლიდან ჩამოვარდნილი, რქებზე წამოგებული, გარეული ცხოველის დაგლეჯილი, იმის გამოკლებით, რომელიც თქვენ დაკალით წესისამებრ; და კერპთა სამსხვერპლოზე დაკლული“, რომელთაგან ყველა არის ჰარამ (სურა ალ-მა'იდა, 5:3).<sup>30</sup> ეს საკითხი ასევე განხილულია კიდევ ორ აიაში, რომლებიც ფაქტობრივად ზემოთ ხსენებულ ათ აკრძალვას ოთხში აერთიანებენ (იხ. სურა ალ-ან'ამ, 6:145 და 2:172), რადგან ათიდან ბოლო ექვსი პუნქტი, ფაქტობრივად, ლემის კატეგორიას წარმოადგენენ. ღვინის დაღვევა ასევე აკრძალულად გამოცხადდა (სურა ალ-მა'იდა, 5:90). ამით შემოიფარგლება მკაფიო აკრძალვები ყურანში. რაც შეეხება დანარჩენს, ნათქვამია: „და არ თქვათ ტყუილი, როგორც თქვენი ენა შეჩვეულია: ეს ნებადართულია, ეს კი – აკრძალულია, რითაც შეთხზავთ სიცრუეს ალლაჰზე“ (სურა ან-ნაჰლ, 16:116). ფიკჰის სახელმძღვანელოებში განხილული ყველა სხვა საკვები პროდუქტი, ხმელეთისა და ზღვის ცხოველები, საზიანო ან გაურკვეველი ნივთიერებები უთანხმოების საგნად იქცა, რაც ძირითადად გამოწვეულია სამართალმცოდნეების მხრიდან „ჰარამ-ის საფუძვლების“ განსხვავებული აღქმით, რასაც დეტალურად განვიხილავ მოგვიანებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჰარამ-ის განსაზღვრებაში ჰადისები გარკვეულ როლს თამაშობს, მათი გამოყენების არეალი საკმაოდ შეზღუდულია. შემდეგ ჰადისში ნათქვამია: სალმან ალ-ფარისი გადმოგვცემს, რომ წმინ-

და შუამავალს ჰკითხეს გარეული ვირის, მწყერისა და მჟავე რძის შესახებ, რაზედაც მან უპასუხა: *ჰალალ* არის ის, რაც ალლაჰმა დაუშვა თავის წიგნში და *ჰარამ* არის ის, რაც ალლაჰმა აკრძალა თავის წიგნში და რაზეც მან მდუმარება არჩია, ის ხსნილია“.<sup>31</sup> ყურანში ტექსტი მკაფიოდ არ საუბრობს ზემოხსენებულ სამ ობიექტზე, შესაბამისად, ისინი *ჰალალ*-ად არის მიჩნეული, რადგან თავად წმინდა შუამავალი *ჰარამ*-ის განსასაზღვრად, ძირითადად, ყურანს მიმართავდა. სხვებისთვის, მათ შორის სამართალმცოდნეებისთვის, მუჯთაჰიდისთვის (ვისაც იჯთიჰადის უფლება აქვს), მუფთიებისთვის და სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვის *ჰარამ*-ის განსასაზღვრად სხვა შესაძლებლობა, პრაქტიკულად, არ გააჩნიათ. თუმცა ქვეყნის მეთაურს აქვს საშუალება იყოს მეტად მოქნილი და აკრძალოს *მაქრუჰ* ან სავალდებულო შესასრულებლად აქციოს *მანდუბ*, *მახლაჰა*-ს (საზოგადოებრივი ინტერესების) დაცვის ან *მაფსადა*-ს (კორუფცია, ზიანი) თავიდან აცილების მიზნით.

ასეთი დისკრეციული უფლება და მისი სათანადოდ გამოყენება გამომდინარეობს შარიათზე ორიენტირებული პოლიტიკის პრინციპიდან (*სიდასა შარ'იდა*), როგორც ქვემოთაა მოცემული.<sup>32</sup>

*ჰარამ* ორი სახისაა: ა) თავად *ჰარამ* (*ჰარამ ლი ზათიჰ*), როგორცაა ქურდობა და მკვლელობა, ლეში, დანთხეული სისხლი და ა.შ., რომლებიც აკრძალულია მათი თანდაყოლილი საზიზღრობის გამო; და ბ) *ჰარამ* გარე ფაქტორების არსებობით განპირობებული (*ჰარამ ლი ლაჰრიჰი*), როგორცაა მევახშეობის (*რიბა*) შესანიღბად წარმოებული ვაჭრობა. მათ შორის ზღვარის გავლე-

ბის შედეგად პირველი სახის ჭარამ ნაკლებად მნიშვნელოვნად (ბნტილ) ითვლება, მაშინ, როდესაც ჭარამ ლილაირიჰი-ს დარღვევა მიეკუთვნება ფსიიდ-ს, მაგრამ სრულიად არ აბათილებს მას და ჰანაფიტების აზრით, დასრულებულ გარიგებას აქვს სამართლებრივი შედეგები. ბევრი მაზჰაბი არ აღიარებს ფსიიდ-ს ცალკე კატეგორიად და ყველა საეჭვო დარღვევას ბნტილ-ის ქვეშ აერთიანებს. თავად ჭარამ არ არის ნებადართული გარდა უკიდურესი აუცილებლობის (დარურა) შემთხვევებისა, მაგალითად, გარდაუვალი სიკვდილი შიმშილის გამო. გარე ფაქტორებით არსებობით გამოწვეული ჭარამ ნებადართული ხდება ამკარა საჭიროების შემთხვევაში და როდესაც მას გაჭირვების (ჭარაჯ) თავიდან აცილება შეუძლია. ფიკჰის სამართლებრივი პრინციპის მიხედვით ჭარამ-ისკენ მიმავალი საშუალება ასევე არის ჭარამ.<sup>33</sup> თუ ქურდობა და მკვლელობა არის ჭარამ, მათი შესასრულებელი საშუალებებიც არის ჭარამ და თუ ღორის ხორცი არის ჭარამ, ღორის ხორციც ვაჭრობა, მისი დამუშავება, ექსპორტირება და ამ ყველაფრისთვის ხელის შეწყობა ასევე არის ჭარამ.

ჭარამ-ის წესები ერთია ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა. ამგვარად, მიუღებელია, გარდა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებისა, დათმობებზე წასვლა გარკვეული ინდივიდებისა თუ ჯგუფების, ადგილმდებარეობის, კლიმატური პირობების და ა.შ. სასარგებლოდ. არამუსლიმებთან ურთიერთობაში მუსლიმებს არ შეუძლიათ ჭარამ-ის წესებისგან გადახვევა, ამის გაკეთება არც გავრცელებული პრაქტიკის

საფუძველზე შეუძლიათ<sup>34</sup> ასევე იკრძალება სამართლებრივი ხრიკების (ჭიჯალ) გამოყენება, რომელთა მიზანია ჰარამის სხვა რაიმეთი შენიღბვა.<sup>35</sup> ჭარამ-ს არც კეთილი განზრახვა ამართლებს: კითხვაზე, შეიძლება თუ არა ჭარამ ქმედება იყოს ჩადენილი ისეთ ქმედებასთან ერთად, რომლის მიზანია ღმერთთან დაახლოება (კურბა) - მაგალითად, მოპარული საკვების ან რიბა-სგან მიღებული შემოსავლის ქველმოქმედების სახით გაცემა, პასუხია, რომ ჭარამ გადაფარავს და გადააჭარბებს კურბა-ს. როგორც უკვე ვთქვით, წყაროებში ჰალალ და ჭარამ ყოველთვის არ არიან ცხადად და მკაფიოდ განსაზღვრული, მათთან დაკავშირებით არსებობს ე.წ. ნაცრისფერი ზონები, რომლებიც ქვემოთ, საეჭვო საკითხებისადმი (მაშბუჰათ, ასევე აშ-შუბუჰათ) მიძღვნილ ცალკე თავშია განხილული. მანამდე კი, გთავაზობთ, განვიხილოთ ჭარამ-ის (ასბაბ ათ-თაჰრამ) საფუძველები, განსაკუთრებით საკვებ პროდუქტებთან მიმართებით.

### **ჰარამის საფუძველები**

მუსლიმი სამართალმცოდნეები საკვებ პროდუქტებში ოთხი სახის ჭარამ-ს განასხვავებენ: ზიანის მიყენება, თრობა, სიბინძურე/ბუნებრივი საზიზღრობა და სხვათა უფლებების ხელყოფა.

#### **1. ზიანის მიყენება (დარარ)**

ეს კატეგორია მოიცავს შხამიან მცენარეებსა და ყვავილებს, გველებს, მორიელებს, შხამიან თევზებსა და

დარიშხანს. ისლამური სამართლის სკოლების უმრავლესობა ადამიანებს უკრძალავს შხამის გამოყენებას. თუმცა მალიქიტური და ჰანბალიტური სკოლები დასაშვებად მიიჩნევენ მედიცინაში შხამის გარკვეული რაოდენობით გამოყენებას სამკურნალო მიზნით.<sup>36</sup> როგორც წესი, ამას სხვებიც ეთანხმებიან, რადგან განსაკუთრებულ შემთხვევებში შხამის გამოყენება აუცილებლობის (დარურა) ფარგლებშია განხილული. საშიში ნივთიერებების კატეგორია ასევე მოიცავს ისეთ ობიექტებს, რომლებიც შესაძლოა არ იყოს შხამიანი, თუმცა იყოს საზიანო ჯანმრთელობისთვის, მაგალითად, ტალახი, ნახშირი, მავნე მცენარეები და ცხოველები და ა.შ. თუ ადამიანი მათ შეჭამს. შაფიიტები ამტკიცებენ, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლოა არ იყოს ჰარამ იმისთვის, ვისაც მათგან ზიანი არ მიადგა, მაშინ, როდესაც ჰანბალიტების კლასიფიკაციის მიხედვით ეს ობიექტები არასასურველის (მაქრუჰ) კატეგორიაში მოიაზრებიან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის ზიანის დადგენა ყოველთვის არ არის მარტივი და შესაძლოა საჭიროებდეს ექსპერტის შეფასებას.<sup>37</sup>

## 2. ინტოქსიკაცია

ყველა სახის დამატრობელი საშუალება, მათ შორის ალკოჰოლი და თხევადი თუ მყარი სახის ნარკოტიკული საშუალებები, აკრძალულია ყურანის ტექსტის მკაფიო მტკიცებულებების (სურა ალ-მა'იდა, 5:90) და იმ ჰადისის საფუძველზე, რომელშიც ნათქვამია, რომ „ყოველი მათრობელი საშუალება ხამრ-ის [ღვინის] მსგავსია და ყოველი ხამრ არის ჰარამ“.<sup>38</sup> რადგან ეს არის თავისი

არსით ჰარამ (ჰარამ ლი-ზათიჰ), მისი ნებისმიერი რაოდენობით მიღება აკრძალულია, როგორც სუფთა, ასევე სხვა ნივთიერებებთან შერევისა თუ გაზავეების სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი შერევა ცვლის ნივთიერების ბუნებას და ის აღარ არის მომნამლავი - მაგალითად, როდესაც ღვინო ძმრად იქცევა.

ყველა წამყვანი იურიდიული სკოლა (მაზჰაბი) თანხმდება იმაზე, რომ მედიცინაში არ შეიძლება ალკოჰოლის გამოყენება, თუმცა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც მაგალითად, უდავოდ ცნობილია, რომ მხოლოდ ალკოჰოლს ან მის დერივატივებს შეუძლია დაავადების განკურნება და არ არსებობს სხვა ალტერნატივა, ისინი დასაშვებად მიიჩნევა.<sup>39</sup>

### **3. სიბინძურე, უწმინდურობა და ზიზლის გამომწვევი** (ნაჯას, რიჯს, ხაბჰ'ის, მუსთაკზარაჰთ)

ამ კატეგორიაში განსაზღვრულია ლეში, დანთხეული სისხლი, ღორის ხორცი (ყურანი, სურა ალ-ან'ამ, 6:145), ან როდესაც გონიერი ადამიანები მათ ასეთებად მიიჩნევენ. ამ კატეგორიაში შემავალი ობიექტები შეიძლება იყოს მყარი, თხევადი, ცოცხალი ან არაცოცხალი სახის. ხაბჰს (მრ.რ. ხაბჰ'ის, საზიზლარი, უწმინდური) ტაჰიბ-ის (წმინდა, სუფთა) ანტონიმს წარმოადგენს და ხარისხით უფრო დაბლა დგას, ვიდრე ნაჯას და რიჯს. ხაბჰ'ის მოიცავს მტაცებელ ცხოველებსა და ფრინველებს, ზოგიერთ მწერს, მაგალითად, ტილებსა და მატლებს. შესაძლოა ისინი თავისთავად არ იყვნენ ნაჯას, მაგრამ მათ ეხება ყურანის მიერ ალ-ხაბჰ'ის-ის აკრძალ-

ვა (სურა ალ-ა'რ᠗ფ, 7:157). ზოგი ნივთიერება მიჩნეულია უნმინდურად მათდამი არსებული ზიზლის გამო მაშინაც კი, როცა ისინი თავისთავად არ არიან ბინძური, მაგალითად ადამიანის ნაფურთხი, ცხვირიდან გამონადენი ლორწო, ოფლი და სპერმა. ეს სუფთა ნივთიერებები მიჩნეულია ბინძურად მათ მიმართ ბუნებრივი ზიზლის არსებობის გამო.

#### **4. უკანონო შენაძენი**

აკრძალული საკვები პროდუქტებისა და სასმელების კატეგორია ასევე მოიცავს უკანონოდ შექმნილ ქონებას, მაგალითად, მოპარულ ან მითვისებულ საკვებს და ობიექტებს, რომლებიც მოპოვებულ იქნა აზარტული თამაშების, ქრთამის, თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედებების გზით, რომლებიც შარიათის მიხედვით არის ჰარამ. ყურანი მიმართავს მორწმუნეებს: „ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით“ (სურა ან-ნის᠗', 4:29).<sup>40</sup> ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ადამიანი გამონაკლისს წარმოადგენს, ასეთია მშობელი და მეურვე, საქველმოქმედო ფონდის ანუ ვაკფის ხელმძღვანელი და ადამიანი, რომელსაც უკიდურესი აუცილებლობა და შიმშილით სიკვდილის საფრთხე ამოძრავებს.



**ჰარამ – მუდმივობა და ცვლილება:  
ისტოქლალ-ს პრინციპი (ნივთიერების გარდაქმნა)**

ჰალალ და ჰარამ, ძირითადად, მუდმივი და უცვლელია. ის, რაც შარიათმა ჰარამად მიიჩნია, ასეთად რჩება ყოველთვის, დამოუკიდებლად პირადი მოსაზრებებისა, წეს-ჩვეულებებისა და კულტურისა. ჰალალ-თან და ჰარამ-თან დაკავშირებული შარიათის წესები ყოვლისმომცველია და მუსლიმებს არა აქვთ უფლება სხვებისთვის რაიმე ჰარამად გამოაცხადონ, ხოლო საკუთარი თავისთვის კი ჰალალად.

შარიათის კანონები ყველასათვის ერთნაირია, თუმცა გარკვეული გამონაკლისები დაიშვა არამუსლიმებისთვის და იმ მუსლიმებისთვის, რომლებიც სტრესულ პირობებში იმყოფებიან და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ფიკჰის ცნობილი სამართლებრივი პრინციპი „აუცილებლობა არაკანონიერს აქცევს კანონიერად, ალ-ღარჰურათ თუ სხვა ალ-მაჰღურათ“<sup>41</sup> ფართოდ გამოიყენება ავადმყოფობის, ხანდაზმული ასაკის, ფეხმძიმობის, საგანგებო მდგომარეობის, მოგზაურობის, როგორც სირთულის კატეგორიის, პირობებში. ჰალალ-თან და ჰარამ-თან მიმართებით შარიათის კიდევ ერთი მთავარი პოზიცია არის ის, რომ მათი მცირე და დიდი რაოდენობაც - ორივე ერთსა და იმავე წესებს ექვემდებარება. ამგვარად, მუსლიმებს ეკრძალებათ ღორის ხორცისა და ალკოჰოლის მიღება როგორც მცირე, ისე დიდი რაოდენობით.<sup>42</sup> ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ჰარამ-ის ნებისმიერი რაოდენობით მიღებით ადამიანი ცოდვას

სჩადის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჰარამ მას არ აბინძურებს ან ათრობს, სიფრთხილის გამო და შარიათით დადგენილი ჰარამ-ის საშუალებების აკრძალვის პრინციპის საფუძველზე, რომელიც ცნობილია როგორც სადდ ალ-ზარა'ი.<sup>43</sup> წამყვან სამართლის სკოლებს იგივე პოზიცია აქვთ ოპიუმის, სხვა მცენარეული დამატარობელი საშუალებების მიღებასა და ჰაშიშის მოწვეასთან დაკავშირებით, რომლებიც მიჩნეულია საზიანოდ და როგორც ასეთი ცნობილი ჰადისის მითითების ქვეშ ექცევა „ლა ღარარ ვა ლა ღირარ ფი ალ-ისლამ“, ზიანი არ უნდა მოგაყენონ, და არც საპასუხოდ უნდა მიაგო“. სხვა სიტყვებით, ზიანი თავიდან უნდა იქნას აცილებული დამოუკიდებლად იმისგან, ეს ზიანი საკუთარ თავს ადგება თუ სხვას. ყველა დამატარობელი საშუალება საზიანოა ადამიანისთვის, თუმცა დამნაშავე ანუ ამ ნივთიერებების მომხმარებელი არ ექვემდებარება ღვინის დაღვევისთვის ჰადდ სასჯელს. ეს ანალოგიის წესის (კიჰას) გაურკვეველობის ელემენტის გამო ხდება, რომელიც ამ შემთხვევაში ღვინოსა და დამატარობელ საშუალებებს განასხვავებს. რადგან ყურანი მხოლოდ ღვინოს ეხება და არ ეხება სხვა ზემოხსენებულ დამატარობელ საშუალებებს, გაურკვეველია ერთისთვის დადგენილი სასჯელის მეორეზე გავრცობის საკითხი.<sup>44</sup> შეიძლება დავამატოთ, რომ თუ ახალი კვლევა და გავრცელებული პრაქტიკა განსხვავებულ პოზიციებზე დარჩება მყარი მტკიცებულების საფუძველზე, შესაბამისად შესაძლებელი იქნება ფიკჰის დადგენილებების გადახედვა. გარკვეულ პირობებში ჰარამ შეიძლება ჰალალად შეიცვალოს, რაც ფორმულირებულია ისთიჰალა-ს პრინციპში.

შინაგანი ცვლილებები, მაგალითად, ადამიანის ჩარევით ან ჩარევის გარეშე განხორციელებული ქიმიური კომბინაციები, რომლებიც ცვლიან ობიექტების არსსა და ძირითად მახასიათებლებს, შეიძლება შეცვალონ ჰარამ და აქციონ ის ჰალალ-ად, ასეთია ღვინის ძმრად გადაქცევა, ან მარილში ჩავარდნილი ღორის ხორცის დროთა განმავლობაში მის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა.

ასეთი გარდაქმნა შესაძლებელია ბუნებრივად მოხდეს, როგორც ეს ხდება ალკოჰოლის შემთხვევაში, როდესაც ის რჩება ღია ადგილას ან მზეზე, ან როდესაც მასში სხვა ნივთიერებები (ხახვი, პური ან საფუარი) ვარდება.<sup>45</sup> ფიკჰის პრინციპი, რომელიც ამგვარ ცვლილებებს ეხება, ისთიჰალა ანუ გარდაქმნა ჰქვია. ეს პრინციპი დღესდღეობით უფრო ხშირად გამოიყენება კვების რაციონის გაფართოების ან ცვლილების კონტექსტში სავაჭრო, კვებითი, სამედიცინო და სხვა მიზნით ქიმიურად დამუშავებისა და ინდუსტრიული ინტერვენციის გამო. მედიცინის მეცნიერებათა ისლამური ორგანიზაციის (IOMS) მიხედვით, ისთიჰალა წარმოადგენს აკრძალული ნივთიერების ბუნებრივი მახასიათებლების გარდაქმნას განსხვავებული სახელის, თვისებებისა და მახასიათებლების მქონე სხვა ნივთიერების წარმოქმნის მიზნით. აქ ნივთიერების სახეცვლილება გულისხმობს ქიმიურ გარდაქმნას, როგორც პროცესი, რომელიც ცვლის ზეთსა და ცხიმს და გადააქცევს მას საპნად, ან ცხიმების დაშლა ცხიმოვან მჟავებად და გლიცერინად სამეცნიერო ჩარევის გზით.<sup>46</sup>

სამართალმცოდნეებს განსხვავებული აზრი აქვთ ისთიჰალა-ს დაშვებულობასა და მის გავლენაზე. შეიძლება თუ არა მუსლიმმა ადამიანმა მოიხმაროს უწმინდური ნივთიერება, თუ მისი ქიმიური თვისებები შეიცვალა? ჰანაფიტური,—მალიქიტური, ჰანბალიტური, ასევე შაფიიტური სკოლების წარმომადგენლების უმრავლესობა ამას დასაშვებად მიიჩნევს. ამტკიცებენ, რომ ჰარამ-ს განაპირობებს მისი უწმინდური თვისებები და როდესაც ეს თვისებები შეწყვეტენ არსებობას, ხდება დაშვებულობის სტატუსის აღდგენა, როგორც ეს ხდება ალკოჰოლის ძმრად გადაქცევისას. შარიათის დადგენილებები (*აჰქამ*) ეფუძნება შესაბამის მიზეზებს (*'ილაალ*). როდესაც დადგენილების განმაპირობებელი მიზეზი წყვეტს არსებობას, ქრება არსებული დადგენილების საჭიროებაც და აუცილებელია მისი ჩანაცვლება. აქ მთავარი გამონაკლისია რელიგიური პრაქტიკა (*'იბადათ*), რომლის განმაპირობებელ მიზეზებს ადამიანის გონება ვერ წვდება. განსხვავებული აზრის არიან წამყვანი სკოლების სამართალმცოდნეების ნაწილი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისთიჰალა-ს შემდეგაც ნივთიერება ინარჩუნებს თანდაყოლ უწმინდურობას, რადგან გარდაქმნა ხშირად ნაწილობრივია და ორაზროვანი. მედიცინის მეცნიერებთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOMS) მიერ გამართულ რიგით მეცხრე ფიკჰისა და ჯანდაცის სემინარზე (1997 წლის ივნისი) უმრავლესობის აზრი იყო, რომ აკრძალული ცხოველებისგან მიღებული ან უწმინდური დანამატები, რომლებმაც ისთიჰალა გაიარეს, სუფთაა და დაშვებულია საკვებად ან სამედიცინო მიზნებისთვის.<sup>47</sup>

ასეთია მუსლიმთა ლიგის ფიკჰის ისლამური აკადემიის სესიამ (ჩატარდა მექაში, 2003 წლის 13-17 დეკემბერს) მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება იმ პირობით, რომ გარდაქმნა სრულყოფილია და ღორის ხორცის შემცველი ნივთიერების არცერთი პირვანდელი თვისება არ დარჩა უცვლელი. ნაწილობრივი გარდაქმნით, რომლის შედეგადაც ხდება მხოლოდ ფორმის შეცვლა, ხოლო ნივთიერება მთლიანად ან ნაწილობრივ უცვლელი რჩება, ნივთიერება ნებადართული ვერ გახდება.<sup>48</sup> აზრთა სხვადასხვაობაა ღორის ქონისა და ჟელატინის კვების მრეწველობაში გამოყენებასთან დაკავშირებით, ორივე ღორის ნაწარმია, თუმცა ჟელატინი ასევე სხვა ცხოველებისგან მიიღება, ხოლო უახლესი კვლევებით, ზოგიერთი სახეობის თევზისგანაც. ზოგადი საკონსულტაციო შენიშვნის მიხედვით, ადამიანი უნდა ცდილობდეს საეჭვო ნივთიერებების მიღების თავიდან არიდებას, როდესაც ხელმისაწვდომია სხვა ალტერნატივები და არ არსებობს ამის უკიდურესი აუცილებლობა. 1996 წლის IOMS-ის მიერ ორგანიზებულ ფიკჰისა და ჯანდაცვის რიგით მერვე სემინარზე დადგინდა, რომ საკვები პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ღორის ქონს, რომელსაც არ გაუვლია დენატურაცია, მაგალითად ყველი, მცენარეული ზეთი, ნალები, ორცხობილა და ნაყინი აკრძალულია საკვებად ღორის ქონისა და მისგან წარმოებული საკვების მიუღებლობის გამო. იგივე ამკძალავი თვალსაზრისია ღორის ქონის შემცველ საცხების, მალამოებისა და კოსმეტიკურ საშუალებებთან მიმართებით, თუ ნივთიერებები, რომლებისგანაც ისინი მზადდება, არ გა-

ივლიან ტრანსფორმაციას, მათი პირვანდელი თვისებების განადგურების მიზნით.<sup>49</sup>

ლორისგან მიღებული ჟელატინი გამოიყენება, როგორც საკვები ინგრედიენტი ჟელირების, სტაბილიზირებისა და ემულგირებისთვის. თუმცა ექსპერტების აზრით ძროხის, ლორის ან სხვა ცხოველური წარმოშობის ჟელატინი გადის ტრანსფორმაციას, რითაც ასრულებს ისეთიჰალასადმი ისლამური სამართლის მოთხოვნებს, და, როგორც ასეთი, არ არის აკრძალული. ეს იმიტომ ხდება, რომ ჟელატინს აღარ გააჩნია ლორის ან ლემის ტყავისა და ძვლების პირვანდელი ატრიბუტები, რომლისგანაც ის მიიღეს. და რადგანაც მას აღარ აქვს პირველწყაროს ფორმა, გემო, სუნი ან ქიმიური სტრუქტურა, ის ნებადართულობის ძირითად ნორმებს აკმაყოფილებს.<sup>50</sup> ფიკჰისა და ჯანდაცვის რიგით მერვე სემინარზე უკვე აღინიშნებოდა, რომ „უნმინდური ცხოველის ძვლებისგან, ტყავისგან და მყესებისგან დამზადებული ჟელატინი სუფთაა და ნებადართული მოხმარებისთვის“<sup>51</sup> ამავსე თქმა შეიძლება წყლის განმენდის პროცესზე იმ ქვეყნებში, რომლებიც წყლის ნაკლებობას განიცდიან. რამდენიმე ხნის წინ წავანყდი ახალ ამბავს სინგაპურის მაშინდელი მოქმედი პრემიერ-მინისტრის სურათის ილუსტრირებით, რომელიც კანალიზაციის განმენდილ წყალს სვამდა. გაზეთის ამ სურათს თან ახლდა წარწერა, რომ კანალიზაციის წყალმა გაიარა საიმედო განმენდის პროცესი, რის შედეგადაც ის სრულად უსაფრთხო და ვარგისი გახდა დასალევად.

**„არასასურველის გასაკიცხის“ კატეგორია (მაქრუჭ)**

ნამყვანი სკოლების (მაზჰაბის) უმრავლესობა *მაქრუჭ*-ად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, ობიექტს ან ქცევას, რომლის თავიდან არიდება სასურველია, თუმცა რომლის ჩამდენი არ ექვემდებარება დასჯას და არც მორალური ბრალი ედება. ჰანაფიტები ეთანხმებიან უმრავლესობის პოზიციას *მაქრუჭ*-ის ორი სახიდან მხოლოდ ერთთან მიმართებით. კერძოდ, სინმინდისთვის ჩადენილ *მაქრუჭ*-თან (*მაქრუჭ თანზიჰი*) და არ ეთანხმებიან *მაქრუჭ* *თაჰრიმ*-დ კლასიფიცირებულთან მიმართებით (ასეთი *მაქრუჭ* ახლოს დგას ჰარამ-თან), რომელიც ითვალისწინებს ზნეობრივ ბრალს, თუმცა არა სასჯელს. ნამყვანი სკოლები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ის, ვინც თავს არიდებს *მაქრუჭ*-ს, ქებას იმსახურებს და ალლაჰს უახლოვდება.<sup>52</sup>

*მაქრუჭ*-ს ხშირად აღწერენ, როგორც აკრძალვის ყველაზე დაბალ ხარისხს და ამ თვალსაზრისით ის სამართალმცოდნეებისთვის მოსახერხებელ კატეგორიას წარმოადგენს იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც ჰალალ-სა და ჰარამ-ს შორის შუალედურ ფორმას წარმოადგენენ - საკითხები, რომლებიც არ არის ნახალისებული, თუმცა მათი ჰარამ-ად განსასაზღვრი მტკიცებულებები საეჭვო ხასიათის არიან. ამ ტიპის საკითხების *მაქრუჭ*-ის ქვეშ გაერთიანება მოსახერხებელია უკეთესი ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში. ჰანაფიტების მიერ დადგენილი *მაქრუჭ თანზიჰი*-ს კატეგორია უმრავლესობის მიერ *მუბაჰის* ქვეშ არის მოქცეული.

ჰანაფიტების მიხედვით, ქმედება არის ჰარამი, როდესაც არსებობს ამის შესახებ მკაფიო მითითება, ხოლო როდესაც ყურანისა ან ჰადისის ამკრძალავ ენაში არსებობს გარკვეული სისუსტე, ის *მაქრუჰ* *თაჰრემი*-ს კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც არის ჰარამ-თან ახლოს მდგომი *მაქრუჰ*. მაგალითად, ნიშნობის შეთავაზება ქალისათვის, რომელიც უკვე სხვა კაცზეა დანიშნული, არის *მაქრუჰ* *თაჰრემი*. ამის მიზეზია ის, რომ ამის ამკრძალავი ჰადისი ერთადერთია (*აჰად*), რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს მის ავთენტურობასთან დაკავშირებით.<sup>53</sup> სამართალმცოდნეებს შორის არსებობს უთანხმოება სურსათსა და სხვა ნივთიერებებში *მაქრუჰ*-თან დაკავშირებით. უმეტესობა აქ მოიაზრებს ცუდი სუნის მქონე გაფუჭებულ ხორცს, სასაფლაოს შუაგულში მდებარე ნყლის ქას და უყურადღებოდ მიტოვებულ პირუტყვსა და ფრინველს, რომელიც სიბინძურით და უნმინდურობით იკვებება იმგვარად, რომ მათი სუნი და გემო საგრძნობლად იცვლება. შესაბამის ჰადისებში ასევე ნახსენებია ასეთი ცხოველების რძე.<sup>54</sup> თუმცა ეს უნმინდურობა ქრება, თუ ცხოველს რამდენიმე დღით მის ბინძურ საცხოვრებელს განვარიდებთ (სამი დღე – შინაური ფრინველისთვის, ოთხი – ცხვარსა და თხებისთვის, ხოლო ათი – აქლემებსა და ძროხებისთვის). ამ საკითხთან მიმართებით სკოლების უმრავლესობის რჩევაა ცხოველების იზოლაცია მანამ, სანამ სიბინძურის ნიშნები ან მძიმე სუნი არ გაქრება.<sup>55</sup> ვირის ხორცისა და ვირის რძის მიღება არის *მაქრუჰ*. აქლემის შარდისა და ცხენის ხორცის მიღება ანალოგიურად არ არის მისასაღმებელი,



განსაკუთრებით ომის დროს, როდესაც დიდია ცხენების საჭიროება.

საკვები პროდუქტების ზოგიერთი სახეობა, რომელიც ზოგადად, მიჩნეულია მისაღებად, გარკვეულ პირობებში არასასურველად მიიჩნევა. წმინდა შუამავალი ამბობს: „როდესაც უმ ხახვს ან ნიორს მიიღებთ, ნუ წახვალთ მეჩეთში სალოცავად.“<sup>56</sup> არასასიამოვნო სუნის მქონე პროდუქტების მიღებას თავი უნდა აარიდოთ არა მხოლოდ მეჩეთში, როგორც ეს ნათქვამია ჰადისში, არამედ ყველგან, სადაც გაქვთ კონტაქტი ხალხთან.

არასასურველია სპილოს ეშვის გამოყენება ცხოველების დაკვლის იარაღად, თუმცა ამ საკითხზე არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. ასევე არასასურველია ცხოველის დაკვლა საკვების გარდა სხვა მიზნით, რადგან ეს ნიშნავს ცხოველის ტყუილად მოკვლას. უფრო მეტიც, არასასურველია აგრეთვე ფრინველებზე ნადირობა სიამოვნებისთვის. ყველა ცოცხალ არსებას გარკვეული ადგილი უჭირავს სამყაროში და ადამიანები პასუხისმგებელი არიან მათ განკარგულებაში მოცემული ცხოველების დაცვაზე, მათ შორის ცხოველების ჯანმრთელობასა და შესაბამის კვებაზე. ჩვენი, როგორც დედამიწაზე ღმერთის წარმომადგენლების, პასუხისმგებლობაა გავუფრთხილდეთ გარემოსა და დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობას.

ამ-შნტიბნის მიხედვით (გ. 1388/790), *მაქრუჰ*-ისა და *ჰარამ*-ის ჩადენის ცოდვა არ არის მათ ჩასადენად მიმართული ქმედებისა და ქცევის, როგორც საშუალების, ტოლფასი, რადგან ისინი თავისთავად შედეგს ანუ მიზანს არ წარმოადგენენ. ისეთი ქმედებების აკრძალვისა

და მიუღებლობის ხარისხი, რომლებიც ცოდვითი ქმედების ჩადენის საშუალებას წარმოადგენს, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე საკუთრივ ქმედება-მიზანი. ამდენად, *მაქრუჰ* შეიძლება წარმოადგენდეს ჰარამის ჩადენის საშუალებას.<sup>57</sup>

კანონიერად დაკლული და ჰალალ ცხოველების ზოგიერთი ორგანო შესაძლოა ასევე არა ჰალალ-ად გამოცხადდეს. ასეთია სისხლი, სასქესო ორგანოები, ნაწლავები, ჯირკვლები, ნაღვლის ბუშტი და ნაღველი, რომლებსაც ჰანაფიტები მიიჩნევენ *მაქრუჰ* თაჰრიმ-დ, რადგან მათ ერთადერთი ჰადისი კრძალავს, რომლის ტექსტი გარკვეულ ეჭვს ბადებს.<sup>58</sup> *მაქრუჰ*-ის მტკიცებულების წერილობითი წყარო შეიძლება შეიცავდეს მითითებას მკაფიოდ განსაზღვრულ *მაქრუჰ*-ზე, ან იყოს გადმოცემული ისეთი სიტყვებით, რომლებსაც იგივე მნიშვნელობა აქვს. სიტყვა *მაქრუჰ* მისი ბუკვალური მნიშვნელობით წარმოდგენილია შემდეგ აიაში: „ყოველივე ეს შენი ღმერთის წინაშე უკეთურია, საძულველია!“ (სურა ისრა', 17:38). აქ მითითება რამდენიმე რამეზეა, მათ შორის ქვეყანაზე ამაყად ცხოვრებაზე, რაიმე საკითხზე პოზიციის ქონაზე შესაბამისი ცოდნის გარეშე, ჭეშმარიტად და სამართლიანად აწონვის შეუძლებლობაზე და ალთქმის აღსრულებაზე. ყურანის სხვა მონაკვეთში, ნათქვამია: „და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამლებიც არ იქნებოდით თქვენ გარდა თვალმოხუჭვისა. (სურა ალ-ბაკარა, 2:267). ეს საკითხი ასევე ჩანს ყურანის შემდეგ ტექსტში: “იგი (წმინდა შუამავალი) უკრძალავს გასაკიცხს“ (სურა ალ-ა'რაფ, 7:157). ამ აიათი გადმოცემული მტკიცებულების ტექსტს

(ზაჰირ) გარკვეული ალბათობა ახასიათებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანამდვილებით არ არის ცნობილი, გულისხმობდნენ თუ არა ზემოხსენებულ ექვს პუნქტს ხაბა'ის-ში. ამკრძალავი შეხედულების მიხედვით ეს ორგანოები ზიზლს ინვევენ გონიერ ადამიანებში (ატ-ტაბა'ი ' ალ-სალამა).<sup>59</sup> დანარჩენი სამი სკოლა (მაზჰაბი) ნაკლებად შემზღუდავია, თუმცა მათი პოზიციის მიხედვით ზემოხსენებული ორგანოები მაქრუჰ-ის კატეგორიას მიეკუთვნებიან.<sup>60</sup> რაც შეეხება საქონლის მუცლისგან მიღებული მაჭიკის (მინფაჰ) გამოყენებას ყველის ფერმენტაციასა და ამოყვანაში, თუ ის მიღებულია კანონის დაცვით დაკლული ცხოველისგან, ის კონსენსუსის საფუძველზე, ჰალალ-ად მიიჩნევა. თუმცა თუ ის ლეშისგანაა მიღებული, უმრავლესობა მას არა ჰალალ-ად მიიჩნევს, ხოლო ჰანაფიტების აზრით, ის არის ჰალალ იმ ანალოგიის საფუძველზე, რომელსაც ისინი მასსა და მსგავსი ცხოველების რძეს შორის ავლებენ.<sup>61</sup> დაკვლის რიტუალში გამოყოფენ შემდეგი სახის მაქრუჰ-ს: ცხოველთან უხეში მოპყრობა (მაგალითად, ფეხებით თრევა), შაფიიტებისა და მალიქიტების მიხედვით, თასმიდაზე (ანუ ღმერთის სახელის ხსენებაზე) უარის თქმა, ცხოველის დაკვლა სხვა ცხოველის თვალწინ, ძვლებისა და ქვების გამოყენება დაკვლის იარაღებად, ცხოველის დაჭრა ან გატყავება ვიდრე ის ჯერ კიდევ ცოცხალია, კიბლა-ს დაუცველობა და მუჰამმადის სახელის ხსენება ალლაჰის სახელთან ერთად. მალიქიტები კიბლას დაცვას დაკვლის რიტუალის აუცილებლობად არ მიიჩნევენ, რადგან ამასთან დაკავშირებით არ არსებობს მტკიცებულება წერილობითი წყაროს სახით. მათი მტკიცებით, სა-

ვალდებული ლოცვასა (*ჰალათ*) და დაკვლის რიტუალს შორის დანახული ანალოგია სუსტია - ისინი ერთმანეთისგას სრულიად განსხვავებულ რამეს წარმოადგენენ.<sup>62</sup>

თამბაქოსა და მონევის თემა კიდევ უფრო რთულია. უდავოდ, მონევა ფართოდ არის გავრცელებული მუსლიმებში და ამ საკითხზე სწავლულებს სხვადასხვა შეხედულება გააჩნიათ. უმრავლესობა მონევას არასასურველ ქმედებად მიიჩნევს. ეს ფულის ფლანგვაა, მას არ გააჩნია რაიმე სახის კვებითი ღირებულება და არც ჯანმრთელობისთვის მოაქვს სარგებელი. დადასტურებულია მის მიერ გამოწვეული საფრთხეები მწველის ჯანმრთელობისთვის - ასეთია ფილტვების სიმსივნე, გულის შეტევა და ემფიზემა. ამიტომ მკაცრად რეკომენდებულია მონევისთვის თავის არიდება, რიგ შემთხვევაში კი - მისი აკრძალვა.<sup>63</sup> თუმცა მონევის *ჰარამ*-ად გამოცხადება ნიშნავს, რომ ამით მილიონობით მუსლიმი ცოდვილად და კანონის დამრღვევად გამოცხადდება, რაც ნამდვილად არ არის სასურველი. აკრძალვა უფრო იმიტომ არ ხდება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს მტკიცებულება წერილობითი წყაროს სახით, ხოლო სამართლებრივი პრინციპის მიხედვით, *ჰარამ*-ად გამოცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ მკაფიო ტექსტის ავტორიტეტს. *მაქრუჰ*-ის შემთხვევაში კი მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს შარიათის კონკრეტული მითითებები *მაქრუჰ*-ზე, ან შესაძლოა, *მაქრუჰ*-ის აზრი იყოს გადმოცემული სხვა სიტყვებით, რომლებსაც იგივე მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, არსებობს ჰადისი, რომელშიც წმინდა შუამავალი არ იწონებს ლოცვებს შუადღით, მზის ჩასვლამდე, გარდა ჰა-

რასკევის ლოცვისა. ჰადისში ეს ფაქტი აღწერილია შემდეგნაირად: წმინდა შუამავალს არ მოსწონდა (*ქარიჰა ან-ნაბიჰ*) ლოცვები ამ კონკრეტულ დროს<sup>64</sup> *მაქრუჰ*-ის ექვივალენტი ტერმინი გამოყენებულია, მაგალითად, ჰადისში, სადაც ნათქვამია: „დაშვებული საქმეებისგან (*აბ-ლად ალ-ჰალალ*) ღმერთისთვის ყველაზე არასასურველია განქორწინება“.<sup>65</sup> *მაქრუჰ* შეიძლება აკრძალვის სახით იყოს გადმოცემული, ოღონდ ისეთი სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ გაკიცხვას გამოხატავენ. ამის მაგალითია ყურანის ტექსტი, რომელიც აფრთხილებს მორწმუნეებს თავიდან აიცილონ ზედმეტი კითხვების დასმა: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ იკითხოთ ისეთი რამ, რომ განგეცხადოთ - დაგამწუხრებთ“ (სურა ალ-მა'იდა, 5:101). ამაზევე მეტყველებს წმინდა შუამავლის კიდევ ერთი გამონათქვამი: „დატოვეთ ის, რაშიც გეპარებათ ეჭვი იმის სასარგებლოდ, რაშიც ეჭვი არ გეპარებათ“.<sup>66</sup>

### **„რეკომენდებულის“ კატეგორია (მანდუბ)**

*მანდუბ* (ასევე ცნობილია როგორც *სუნნა*, *მუს-თაჰაბ*, *ნაფლ*) აღნიშნავს ისეთ ქმედებას ან ქცევას, რომელიც რეკომენდებულია შარიათის მიერ, თუმცა არ არის სავალდებულო. *მანდუბ*-ის შესრულებით ადამიანი სულიერ ჯილდოს მოიპოვებს, მისი არშესრულება კი სასჯელს არ ექვემდებარება. *მანდუბ* *მაქრუჰ*-ის ანტონიმია, რაც ნიშნავს, რომ *მაქრუჰ*-ის თავიდან აცილება *მანდუბ*-ს წარმოადგენს. დაკლულ ცხოველებთან მიმართებით გულმონყალე და მზრუნველი მოპყრობა არის

მანდუბ, უხეში მოპყრობა კი – მაქრუჰ. საქველმოქმედო შესანიშნავი (ვაკფ), სნეულთა მონახულება, მეზობლისა და სტუმრის პატივისცემა - ყველა ეს ქმედება რეკომენდებულია. თუ მანდუბ ქმედება წმინდა შუამავალმა რიგ შემთხვევაში შეასრულა, ხოლო რიგ შემთხვევაში - არა, მას სუნას (სუნნა) უწოდებენ. სუნა ორი სახისაა: დადგენილი სუნა (სუნნა მუ'აქქადა, ასევე ცნობილია როგორც სუნნა ალ-ჰუდა), თუ წმინდა შუამავალი მას რეგულარულად ასრულებდა, ან მის შესრულებაზე მკაცრ რეკომენდაციას აძლევდა. ასეთია, მაგალითად, მეჩეთის მონახულება სავალდებულო ლოცვების (ჰალათ) აღსავლენად და ლოცვისაკენ მოწოდება (აზან). ჯილდოს მისაღებად საქციელის ჩადენა, მაგალითად, შუადღის და შუადღისშემდგომი (ზუჰრ ან 'აჰრ) სავალდებულო ლოცვებამდე სუნნა-ს ორი ერთეულის (ორი რაქათის) შესრულება, ან სავალდებულო მოწყალების (ზაქათ) შემთხვევაში დადგენილზე მეტის გაცემა დამატებითი სუნას ანუ სუნნა ლადრ მუ'აქქადა-ს, მაგალითებია. სამართლის სკოლები მანდუბ-ის აღსანიშნავად სხვადასხვა გამონათქვამებს იყენებენ, მაგალითად თატავეუ', ფადლა, იჰსან და რალა'იბ, რომლებიც ხშირად განსხვავდებიან სასურველობის ხარისხითა და კულტუროლოგიური გამოყენების მიხედვით.<sup>67</sup>

რეკომენდებული და არასასურველი (მანდუბ, მაქრუჰ) შესაბამისად, კონცეპტუალურ ანტონიმებს წარმოადგენენ იმ გაგებით, რომ უმეტეს შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი მეორეს საწინააღმდეგოს აღნიშნავს. ამგვარად, მაქრუჰ-ის საწინააღმდეგო ქცევა მანდუბ-ს წარმოადგენს და პირიქით. ისლამში რეკომენდებულია

ის საკვები პროდუქტები, რომლებიც ან ყურანში დადებით კონტექსტშია ნახსენები, ან რომლებიც წმინდა შუამავალს უყვარდა. ასეთია თაფლი, ლელვი, ზეთისხილი, ფინიკი და რძე. პირველი სამი ნახსენებია ყურანში, ხოლო ფინიკი და რძე უყვარდა წმინდა შუამავალს, ასევე რეკომენდებულია მარხვა, მაგალითად, მარხვა, გაიხსნილოს ფინიკით.<sup>68</sup>

საკითხების დიდი ნაწილი ფიკჰში, რომლებიც ეხება რეკომენდებულ საკვებსა და სასმელს განიხილავს მანერებს, ვედრებისა და მადლიერების წარმოთქმას, გარკვეული ჭურჭლის გამოყენებაზე ან არგამოყენებაზე. ცნობილია, რომ წმინდა შუამავალი იწყებდა საჭმლის მიღებას ვედრებით „დიდება და მადლობა ალლაჰს, რომელმაც ჩვენი საჭიროებები დააკმაყოფილა და ჩვენი ნყურვილი მოკლა. შეუძლებელია მისი ამაგის გადახდა“.<sup>69</sup> ამავეს გაკეთებას წმინდა შუამავალი ურჩევდა მორწმუნეებს საკვების მიღების შემდეგაც, ხოლო მათ, ვისაც დაავიწყდა ამის გაკეთება დანიშნულ დროს, ურჩევდა ჭამის პროცესში ნებისმიერ დროს წარმოეთქვა. ამგვარად, ყველაფერი, რასაც აკეთებდა, ან ურჩევდა წმინდა შუამავალი, არის *მანდუბ*. გადმოცემები მიუთითებენ, რომ წმინდა შუამავალი იბანდა ხელებს ჭამამდე და ჭამის შემდეგ, საკვებს იღებდა დამჯდარ მდგომარეობაში და ჭამას იწყებდა მარჯვენა ხელით. ის ასევე ასწავლიდა მორწმუნეებს აელოთ ის საჭმელი, რომელიც მათთან ახლოს იქნებოდა და ვინც ხელით ჭამდა, უნდა აელო თეფშზე მასთან ახლოს მდებარე საკვები და არა თეფშის შუაგულში. ის ასევე არ ურჩევდა მორწმუნეებს საკვებისთვის სული შეებერთათ, რადგან შესაძლებელია

ის დაბინძურებულიყო ნერწყვითა და უსიამოვნო სუნ-  
თქვით. როგორც წესი, ის დამჯდარი სვამდა, რაც რე-  
კომენდებული პოზიციაა, თუმცა გარკვეულ შემთხვევებ-  
ში უნახავთ თუ როგორ სვამდა ის წყალს ფეხზე დამ-  
დგარი. ანალოგიურად, ის მოუწოდებდა არ დაელიათ  
პირდაპირ დოქიდან, რაც დასაძრახი საქციელია არაჰი-  
გიენურობის გამო. ჰადისებში ჩანს, რომ წმინდა შუამა-  
ვალი კატეგორიულად მოუწოდებდა არ გამოეყენებინათ  
ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი, შესაძლებელია, თავ-  
მდაბლობის ძიებისა და პატივმოყვარეობის თავიდან  
აცილების გამო. ვერცხლი და ოქრო გამოცხადდა ღირე-  
ბულების მქონე ერთეულებად და შესაბამისად, იმ პერი-  
ოდში ფულის ერთეულად გამოიყენებოდა.<sup>70</sup>

**„ნაცრისფერი ზონა“: საეჭვო საკითხები  
(ამ-შუბუჰჰოთ, მაშბუჰჰ, მაშქუჰ)**

ესენია ჰალალ-სა და ჰარამ-ს შორის შუალედური  
(ხშირად ორაზროვანი) საკითხები. ეჭვი, შესაძლოა, წარ-  
მოიშვას ორი ფაქტორის გამო: ან შარიათის მტკიცებუ-  
ლების წყარო ეჭვის ქვეშ დგას მნიშვნელობისა და უტ-  
ყუარობის თვალსაზრისით, ან გაურკვეველია კონკრე-  
ტულ საკითხთან ან შემთხვევასთან მიმართებით მისი  
გამოყენება.

თავად ყურანი (სურა ალ-‘იმრან, 3:7) ადასტურებს,  
რომ მისი ზოგიერთი ნაწილი საეჭვოა და მოიხსენიებს  
მათ, როგორც *მუთაშაბიჰან-ს*. ყურანის ზოგიერთი გა-  
მონათქვამის, სიტყვის ან ფრაზის ზუსტი მნიშვნელობა



არავისთვისაა ცნობილი გარდა უზენაესი ღმერთისა. მაგალითად, რამდენიმე სურა, უფრო ზუსტად -ცხრამეტი, იწყება *მუკატტა 'ათ-ის* სახელით ცნობილი ცალკეული ასოების კომბინაციით. მათი მნიშვნელობა დღემდე საიდუმლოდ რჩება, თუმცა ზოგიერთი განმმარტებლის აზრით, მათი მნიშვნელობა ცნობილი იყო წმინდა შუამავლისთვის. საეჭვო საკითხების არსებობას წმინდა შუამავალი ადასტურებს ერთ-ერთ გრძელ ჰადისში, სადაც ნათქვამია, რომ მოხდა ერთმანეთისგან *ჰალალ-სა* და *ჰარამ-ის* გამოყოფა, თუმცა „მათ შორის არსებობს საეჭვო საკითხები, რომელთა შესახებ ადამიანების უმრავლესობისთვის უცნობია, *ჰალალ-ს* წარმოადგენენ ისინი თუ *ჰარამ-ს*. ის, ვინც მათ განერიდება თავისი რწმენის სისუფთავისა და ღირსების დაცვის მიზნით, გადარჩება [...]“.<sup>71</sup>

ამგვარად, ეჭვის თავიდან აცილება და საკითხის გასარკვევად მიმართული ძალისხმევა ხელს უწყობს ადამიანის ღვთისმოსაობისა და რეპუტაციის განმტკიცებას. ეს მკაფიოდ ფორმულირებულია ჰადისში, რომელიც საუბრობს ჯილდოსა და გათავისუფლებაზე (*ისტიბრან*) და ამასთან დაკავშირებით ურჩევს მორწმუნეებს სიფრთხილე გამოიჩინონ საეჭვო საკითხებთან მიმართებით.

ალ-კარადავის აზრით, ამ ჰადისში გადმოცემული რჩევა „ეწინააღმდეგება უკეთური შედეგის (სადდ აზ-ზარან<sup>72</sup>) დადგომას, რომელიც ადამიანის პიროვნების ჯანმრთელობისა და ხასიათის შესახებ გარკვეული წარმოდგენითაა განპირობებული..“<sup>72</sup> სხვა სიტყვებით, თუ ადამიანი *მაშბუჰათ-ს* მიეცემა, ეს მას *ჰარამ-ამდე* მიიყვანს და რჩევა მდგომარეობს *ჰარამ-ის*კენ მიმავალი სა-

შუალელების აკრძალვაში. კიდევ ერთ ჰადისში მუსლიმებს ეძლევათ მითითება „მიატოვონ საეჭვო და მიმართონ უდავოს“. <sup>73</sup> დღეს საეჭვო საკითხების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, დღეს ეჭვი ჩნდება ფერმებში ცხოველების კვებასთან დაკავშირებით, სადაც ცხოველურ ნარჩენებს სხვა ცხოველებს აჭმევენ. ჰორმონებისა და ანტიბიოტიკების გამოყენების გამო რთულია იმის დადგენა ნარმოადგენს ჩვენს მიერ ნაყიდი და მოხმარებული ხორცი *მაშბუჰ*-ს თუ *ჰალალ*-ს. დაწესებულებების პრაქტიკული საქმიანობა ასევე შეიძლება არ შეესაბამებოდეს მონყალების ისლამურ პრინციპებს. ამ კითხვებზე მკაფიო პასუხები უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტთა თვალსაზრისსა და სამეცნიერო მტკიცებულებას. ზოგიერთ ქვეყანაში ძროხების ცოფის შემთხვევების ზრდამ <sup>74</sup> ასევე წარმოშვა უამრავი კითხვა საქონლის კვების, გაშენების მეთოდებისა და მათი ხორცის სიჯანსაღესთან მიმართებით. ეს დასაბუთებული ეჭვები იმსახურებს შემდგომ გამოძიებასა და კვლევას.

ფიკჰის სამართლებრივი პრინციპის მიხედვით, „როდესაც ერთმანეთში არეულია *ჰალალ* და *ჰარამ*, სჭარბობს *ჰარამ*“. <sup>75</sup> სხვა სიტყვებით როდესაც ხელთ არსებული მტკიცებულება, შესაძლოა, გულისხმობდეს როგორც ნებადართულობას, ასევე აკრძალვას, უპირატესობა აკრძალვას ენიჭება. თავის ნაშრომში „ალ-ამბნჰ ვა ალ-ნაჰა'ირ“ ამ პრინციპის ციტირებისას, ას-სუფუტი აღნიშნავს, რომ ის ასევე ეფუძნება ჰადისს. ჰადისში კი ნათქვამია: „როდესაც *ჰალალ* და *ჰარამ* აღრეულია, ეს უკანასკნელი იმარჯვებს“. თუმცა, მუსლიმი სწავლულები, მათ შორის აბუ ალ-ფადლ ალ-‘ირაკი, თაჯ ად-დინ

ალ-სუბკი (გ. 1369/771) და აბუ ბაქრ ალ-ბაჰაჰი (გ. 1064/456) მიიჩნევენ ამ ჰადისს სუსტ ჰადისად, გადაცემის ჯაჭვის წყვეტის გამო.<sup>76</sup> თუმცა ისეთ პირობებში, სადაც აღრევა და გაურკვეველობა მინიმალურია, ზემოხსენებული სამართლებრივი პრინციპის გამოყენებადობა შეიძლება ასევე ეჭვის ქვეშ დადგეს. უფრო მეტიც, ზოგიერთი სწავლული ამართლებს კიდევ ისეთ სიტუაციას, როდესაც მცირედი აღრევა აკრძალულ რამესთან გარდაუვალია.

გაურკვეველობა, შესაძლოა, იყოს გამოწვეული ორი ურთიერთგამომრიცხავი ჰადისის არსებობით, ანუ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ანალოგიით: ერთი ამკრძალავი, ხოლო მეორე ნების დამრთველი, მეორე იმარჯვებს პირველზე. ასეთ შემთხვევაში, აკრძალვა უპირატესია ნებადართულობაზე. კიდევ ერთი სამართლებრივი პრინციპი გამოხატულია შემდეგნაირად „ზიანის არიდება უპირატესია სარგებლის მიღებაზე“.<sup>77</sup> ტექსტთან მიმართებით გაჩენილი ეჭვი, შესაძლოა, ნამდვილი (ჰაკიკი) იყოს, როგორცაა, ჰადისის ფორმულირებასთან გაჩენილი ეჭვი, ან შეიძლება იყოს შედარებითი და მეტაფორული (იჰაფვი, მაჯაზი) და ეჭვი ჩნდება კონკრეტულ სიტუაციაში მათ გამოყენებადობასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს გზას უხსნის ახალ განმარტებასა და იჯთიჰადს, რომელიც უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ინტერესების და *მახლაჰა*-ს დაცვით. ასეა კანონის დაცვით დაკლულ ცხოველსა და ლემს შორის გაურკვეველობის დროს - რადგან უპირატესია ამკრძალავი პოზიცია, შესაბამისად, ასეთი ხორცის მიღება არ არის რეკომენდებული. ანალოგიურად, რიბჰ-სგან მიღებულ შემოსავალსა და კანო-

ნიერ ვაჭრობას შორის გაურკვეველობისას, მორწმუნე უნდა ცდილობდეს, საექვო მდგომარეობისაგან თავის არიდებას. ცხოველების ჰიბრიდული მოშენების შემთხვევა, მაგალითად, ცხენისა და ჯორის შემთხვევა, არაა მიჩნეულია ჰალალად. თუმცა სამართალმცოდნეების უმრავლესობა მიიჩნევს დედის მხარეს ნებადართულობის განმსაზღვრელ მაჩვენებლად: თუ დედა არის ჰალალ, ეს საკითხი ასევე ჰალალად მიიჩნევა. საკვების ორი სახეობის აღრევისას, როდესაც ერთი არის ჰალალ, ხოლო მეორე - ჰარამ, ორგვარი შედეგი შეიძლება დადგეს: ან ამ ორი სახეობის განცალკევება შეუძლებელია, მაგალითად, როგორც ღვინის, სისხლის ან შარდის წყალთან აღრევის შემთხვევაშია - მაშინ ჰარამ იმარჯვებს ჰალალზე. ან ამ ორი სახეობის განცალკევება შესაძლებელია, როგორც მყარ კარაქზე მწერის ან უწმინდური ნივთიერების მოხვედრის შემთხვევაში - თავად ეს ობიექტი და ის ზედაპირი, რომელსაც ის დაეცა, უნდა მოშორდეს და დარჩენილი ნაწილი ჰალალ ხდება. თუმცა, თუ ნარევი ძალიან მცირე რაოდენობისაა, რაც ართულებს მისი სინმინდის დადგენას (მაგალითად, დიდი სასტუმროების სამზარეულოს ჭურჭელში დარჩენილი ალკოჰოლის მცირე რაოდენობის დადგენა), შეიძლება ამ ეჭვის უგულვებელყოფა, თუმცა სასურველია საერთოდ მათი თავიდან აცილება.<sup>78</sup>

## გემოს გამაძლიერებლები და სხვა დანამატები

როგორც წესი, საკვების, მაგალითად, ხორცპროდუქტებისა და სასმელების დამუშავების პრინციპები გამოიყენება გემოს გამაძლიერებლებისა და სხვა დანამატების დამუშავებისას. შესაბამისად, მუსლიმები ვალდებული არიან, დაემორჩილონ შარიათის კანონებს საკვებ პროდუქტებთან, დანამატებთან, კოსმეტიკურ საშუალებებთან და მედიცინასთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა არ იყოს სასარგებლო მორწმუნეთა ჯანმრთელობისთვის და კეთილდღეობისთვის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოქმედებს შარიათის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „აუცილებლობა (გამოუვალი მდგომარეობა) უკანონოს კანონიერად ხდის“. ანალოგიურად, როგორც ზემოთაა ახსნილი, ყველაფერი სუფთაა სამართლებრივი თვალსაზრისით, გარდა იმისა, რაც სანინააღმდეგოდაა მიჩნეული. იმისათვის, რომ გავარკვიოთ გარკვეულ ინგრედიენტზე ან დანამატზე შარიათის კანონის პოზიცია, ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ნივთიერების წარმოშობის წყარო.

ყოველგვარი საკვები და საკვები დანამატი, რომელიც ჰალალ წყაროსგან არის მიღებული, აგრეთვე არის ჰალალ, მათი სიჯანსაღის შემთხვევაში. შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ მცენარეული და ქიმიური გზით მიღებული გემოს გამაძლიერებლები და სხვა დანამატები, ჰალალ სინთეტიკური საკვები, კვერცხი, თევზი და კანონის დაცვით დაკლული ცხოველის ხორცი და ხორცის ნაწარმი ასევე არის ჰალალ. თევზი, თევზის ნა-

წარმი და ბოსტნეული არის ჰალალ. ყველაფერი, რაც ინარმოება ძროხისგან, ცხვრისგან, თხისგან და სხვა ჰალალის ცხოველისგან, ნებადართულია საკვებად იმ პირობით, რომ ეს ცხოველები წესების დაცვით დაიკლა და არ მოხდა მათი შერევა ან დამატება ჰარამ-თან.

ზოგიერთ ინგრედიენტს და დანამატს საკვებს ამიტებენ გაფუჭებისგან დასაცავად, ფერისა და გემოს გასაუმჯობესებლად და სიახლის გასახანგრძლივებლად. ზოგიერთი ასეთი დანამატი ბუნებრივია, მაგალითად, შაქარი, მარილი, თაფლი და ა.შ., სხვები კი სინთეტიკურია, მაგალითად, ნატრიუმის ბიკარბონატი, ნატრიუმის ნიტრატი და სხვადასხვა სინთეტიკური ვიტამინი. თუმცა, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისათვის შემუშავებული კანონებისა და რეგულაციების მიუხედავად, დაფიქსირდა არაერთი არასასურველი ინციდენტი. დამტკიცდა, რომ კვების მრეწველობაში გამოყენებული ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება საზიანოა ჯანმრთელობისთვის და მისი გამოყენების აუცილებლობა, უდავოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ზოგიერთი დანამატი კარცეროგენურია და შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის სქესობრივ ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე.<sup>79</sup> იმ შემთხვევაში, თუ ინგრედიენტები და დანამატები დადასტურებულად უსაფრთხოა და სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობისთვის, მათი მიღება ნებადართულია. თუმცა, თუ ისინი ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, მათ მაქრუჰად ან მაქრუჰ თაჰრიმად ან ჰარამადაც კი მიიჩნევენ ამისათვის საკმარისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში.

### **მაშხუჰ ინგრედიენტები და დანამატები**

მიუხედავად იმისა, რომ ინგრედიენტებისა და დანამატების უმრავლესობაზე შეიძლება ზუსტად ითქვას არის ის *ჰალალ* თუ *ჰარამ*, ზოგიერთზე ამის დაზუსტებით თქმა შეუძლებელია. ამ სახის ნივთიერებები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და იმისათვის, რომ ისინი *ჰალალ*, *ჰარამ* ან *მაქრუჰ*-ად შეფასდეს, საჭიროა მეტი ინფორმაცია. სასურველია, ამ კატეგორიაში შემავალი საკვების მიღებისგან თავის შეკავება სისუფთავისა და რწმენის დაცვის მიზნით. აგრეთვე, სასურველია საექვო ნივთიერება *მაქრუჰ*-ის კატეგორიას მივაკუთვნოთ, ვიდრე არ იქნება მოძიებული დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხის ირგვლივ. ასეთია ფელატინი, ემულგატორები, საექვო წარმოშობის ცხიმები და ფერმენტები. ყოველი ზემოხსენებული ნივთიერება საექვოა, თუმცა მათ უმრავლესობას გააჩნია ალტერნატივები, ჩამნაცვლებლები, რომლებიც არის ან *ჰალალ* ან ვეგეტარიანული წარმოშობის პროდუქტი.<sup>80</sup>

ასევე ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს იმპორტირებული ხორცპროდუქტები. კითხვები, რომლებიც უკავშირდება საექვო პირობებში წარმოებულ ან დამუშავებულ საკვები პროდუქტებსა და სამრეწველო ნაწარმს შეიძლება დაიყოს ოთხი ძირითად კატეგორიად, ესენია:

- ა) მუსლიმი სამართალმცოდნეები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ არამუსლიმური ქვეყნებიდან, როგორცაა ევროპა და ამერიკა, სადაც უმრავლესობა იუდეველი ან ქრისტიანია, იმპორტირებული ხორცი და სხვა საკვები პროდუქტები ნებადართულია იმ პირობით, თუ ისინი არაა წარმოებული ჰარამ წყაროებისა და ცხოველებისგან. არ არის რეკომენდებული იმის გამოძიება, იყო თუ არა ცხოველი დაკლული ისლამური რიტუალების დაცვით. ამის მიზეზია ის, რომ ნებადართულობა ცხოველების დაკვლასთან და საკვებპროდუქტებთან მიმართებით ვრცელდება მათზე, ვისაც ღვთიური წიგნი ებოძათ, როგორც ეს მკაფიოდ ჩანს ყურანის ტექსტში (სურა ალ-მა'იდა, 5:5), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპირისპიროს მტკიცებულება. ამასთან, მუსლიმებს ეკრძალებათ ისეთი ხორცის მიღება, რომელზეც აღევლინა ლოცვა სხვა ღვთაების, გარდა ალლაჰისა, მიმართ.<sup>81</sup> შესაბამისად, უსაფუძვლო ეჭვები, რომლებიც თავშეკავებისკენ მოუწოდებენ, არ უნდა იყოს გათვალისწინებული და ნებადართულობა უპირატესი ხდება. თუ ცნობილია, რომ ალლაჰის სახელი მიზანმიმართულად იყო გამოტოვებული ცხოველის დაკვლისას, სამართალმცოდნეების უმრავლესობის მიხედვით, მისი ხორცი ჰალალ-ად არ ითვლება.<sup>82</sup>
- ბ) მუსლიმი სამართალმცოდნეების უმრავლესობის აზრით, ასევე აკრძალულია ზოროასტრული სარწმუნოების (*მაჯუსი*) მქონე და სხვა ისეთი ქვეყნისგან ხორცისა და ხორცპროდუქტების იმპორტირე-



ბა, რომლებსაც არ სწამთ რიტუალური დაკვლის კონცეფციისა, ასეთ ადამიანებს პოლითეისტებად ან ურწმუნოებად მიიჩნევენ. სხვა შეხედულების მიხედვით, ასეთი ადამიანები საღვთო წერილის მქონე ხალხს შორის მოიაზრებიან. შესაბამისად, მათ მიერ დაკლული ცხოველიც არის ჰალალ. ცნობილია, რომ იბნ ჰაზმ აჟ-ჟაჰირი (გ. 1064/456) მიაკუთვნებდა ზოროასტრელებს საღვთო წერილის მქონე ხალხებს და შესაბამისად, იგივე წესებს ზოროასტრელებთან მიმართებით იყენებდა.<sup>83</sup>

- გ) სხვადასხვა ხორცპროდუქტებს, შესაძლოა, შეცდომით ჰქონდეთ მარკირება ჰალალ, როცა სინამდვილეში, ისინი ასეთს არ წარმოადგენენ. არა აქვს მნიშვნელობა, ასეთი მარკირება გამიზნულად არის გაკეთებული თუ უნებლიეთ. შესაძლებელია, რომ სავაჭრო და მარკეტინგული სარგებლის გამო ხდება შარიათის ამ წესების სრული უგულებელყოფა. როდესაც ხორცპროდუქტი მარკირებულია, როგორც ჰალალ მასერტიფიცირებული ორგანოს მითითების გარეშე, მაღალია ალბათობა, რომ წარწერა არასწორია და შესაბამისად, ის *მაშბუჰათ*-ის კატეგორიას მიეკუთვნება, როგორც ეს უკვე განვიხილეთ. კვლევის შედეგების მიხედვით, მწარმოებელი, რომელიც ეძებს ინგრედიენტად ჰალალ ხორცს, არ უნდა თვლიდეს, რომ ჰალალ-ად მარკირებული ხორცი ნამდვილად არის ჰალალ. ამაში დასარწმუნებლად, მან წარმოებაში გამოსაყენებელი ხორცისთვის უნდა მოითხოვოს ჰალალ სერტიფიკატი. რადგან ხორცი მეტად მნიშვნელოვან

პროდუქტს წარმოადგენს, მაკონტროლებელმა ორგანომ ან უნდა შეამოწმოს მომწოდებელი ან რეკომენდაცია გაუნიოს სხვა მომწოდებელს.

ბაზრის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გამოკითხული მუსლიმი მომხმარებლები უარს ამბობენ ხორცის ფარშის არა ჰალალ მალაზიებისგან ყიდვაზე, იმის გამო, რომ რიგ შემთხვევაში როგორც დიდ, ასევე პატარა კვებით ობიექტებში ხდება ღორისა და საქონლის ხორცის შერევა. ერთ-ერთი ანგარიშიდან ირკვევა, რომ მალაიზიაშიც კი ჰალალ სერტიფიკატის მფლობელი გამომშრალი ტოფუს მწარმოებელი ქარხანა მდებარეობს ღორების ფერმის უშუალო სიახლოვეს, კუალა ლუმპურის ჩერას ოლქში. აღმოჩნდა, რომ პროდუქტის წარმოება საექვო პირობებში მიმდინარეობდა, ღორის ფერმასა და ქარხანას მხოლოდ თხელი ღობე ჰყოფდა. ქარხნის სიახლოვეს იყო შემჩნეული აგრეთვე მანანნალა ძაღლები, რომლებიც აბინძურებდნენ ტერიტორიას. „სავარაუდოდ, JAKIM-ის მიერ (მალაიზიის ისლამური განვითარების დეპარტამენტი) ნებადართული ჰალალ-ის ლოგო, რომელსაც ზემოხსენებული კომპანია იყენებს საკუთარი პროდუქციის შეფუთვაზე, ყალბია“<sup>84</sup> [ნათქვამია ანგარიშში]. JAKIM-ს ზომების მისაღებად გარკვეული დრო დასჭირდა. მისმა გენერალურმა დირექტორმა, ოსმან მუსტაფამ, გამოაცხადა, რომ 2013 წლის 1-ლი იანვრიდან, იკრძალება ისეთი ჰალალ-ის ლოგოების, სიმბოლოებისა და სიტყვების გამოყენება, როგორცაა „მუსლიმური საკვები“ და „რამადანის ასორტიმენ-

ტი“, რომლებმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანონ მუსლიმი მომხმარებლები. ყოველი კომპანია, რომელიც დაარღვევს კანონს, შესაძლოა დაჯარიმდეს 200 000 მალაიზიური რინგიტით (დაახლოებით \$65 000) პირველი დარღვევისთვის, ხოლო ყოველ შემდგომ ჯერზე 500 000 მალაიზიური რინგიტით. შემდგომში გაკეთდა კიდევ ერთი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა იმპორტირებულ საქონელს ასევე უნდა ჰქონდეს ჰალალ-ის ლოგო და JAKIM-ის მიერ აღიარებული, მწარმოებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი.<sup>85</sup>

- დ) ჰალალ-ად იდენტიფიცირების პროცესის მიმართ გარკვეული ეჭვები ჩნდება აგრეთვე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ინდუსტრიაში ხშირად დომინირებენ არამუსლიმები. რეგულაციების მიხედვით, გარდა ცხოველის დაკვლის რიტუალისა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაატაროს მუსლიმმა, ინდუსტრიის სხვა სეგმენტები ღიაა არამუსლიმებისთვის. მომარაგების ჯაჭვში, როგორცაა ფერმერობა, კვების მრეწველობა, სავაჭრო საქონელი, ლოჯისტიკა, რესტორნები, სასტუმროები და საცალო ქსელები, დომინირებენ არამუსლიმი ქვეყნები და ბიზნესები. მუსლიმი ქვეყნები და კომპანიები, ფაქტობრივად, მხოლოდ შეზღუდულ როლს თანაშობენ ჰალალ საკვების წარმოების ჯაჭვში.<sup>86</sup>

**ინგრედიენტები და დანამატები,  
რომლებიც შეიძლება აკრძალულად ჩაითვალოს**

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იკრძალება სამართლებრივი ხრიკები (*ჭიჯალ*), რომელთა მიზანია, სხვა სახელს ამოფარებული *ჭარაშ*-ის შექმნა. ეს მოიცავს *ჭარაშ* ინგრედიენტებს, როგორცაა ღორი, ღორის სუბპროდუქტები და ხორცი, რომელიც არ არის რიტუალის შესაბამისად დაკლული. აკრძალული ცხოველებისგან მიღებულ სუბსტანციებს, ან მათგან წარმოებულ პროდუქტებს, რომლებმაც ქიმიური ტრანსფორმაცია განიცადეს (ასეთია, მაგალითად, წამლის კაფსულების დამზადებაში გამოყენებული, ღორის ორგანოებისგან და ქსოვილებისგან დამზადებული ყელატინი) ღვთისმეტყველთა (*‘ულამა’*) უმრავლესობა აკრძალულად მიიჩნევს. ღორის ცხიმის შემცველი პროდუქტები, რომლებსაც არ გაუვლიათ დენატურაცია, მაგალითად, გარკვეული სახეობის ყველი, მცენარეული ზეთი, კარაქი, ნაღები, ორცხობილა, შოკოლადი და ნაყინი, ასევე აკრძალულია. ზოგადად, უნდა ვერიდოთ ყველა ზემოხსენებულ პროდუქტს, გარდა იმ სიტუაციისა, როცა ისინი გამოინაკლისს წარმოადგენენ „აუცილებლობის“ გამო. უნდა ვაღიაროთ, რომ აუცილებლობას ყოველთვის ვერ განვსაზღვრავთ წინასწარ. მაგრამ რადგან არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი ან აუცილებლობა, რომელიც გაამართლებს მათ მიღებას, რადგან ადამიანების სიცოცხლე არ არის ამ პროდუქტებზე დამოკიდებული და მათი არმიღება არ იწვევს ნორმალური ცხოვრების შეფერხებას ან არევას, ეს თვალსაზრისი ძალაში რჩება. ამ პროდუქტების არმიღებას უარყოფითი გავლენა არ აქვს საწმუნოებაზე, სიცოცხლეზე, გონე-

ბაზე, შთამომავლობასა და ქონებაზე. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ აუცილებელია მათი მიღებისგან თავის შეკავება.

მედიცინაში აკრძალულია ალკოჰოლის, როგორც თრობის გამომწვევი ნივთიერების, გამოყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საჭირო მედიკამენტი შეიცავს ალკოჰოლს და არ არსებობს მისი უალკოჰოლო ალტერნატივა. გამონაკლისი დაშვებულია ამჟამად წარმოებული იმ მედიკამენტებისთვის, რომლებიც შეიცავს ალკოჰოლის უმნიშვნელო რაოდენობას ანტიჰისტამინური ან გამხსნელი მიზნით, მანამ, ვიდრე არ შეიქმნება მათი ალტერნატივა. ყველა ნარკოტიკული საშუალება აკრძალულია და ნებადართულია მხოლოდ სპეციალური სამედიცინო მკურნალობისთვის, რასაც განსაზღვრავს მხოლოდ კვალიფიცირებული სპეციალისტი. ზოგიერთი ზემოხსენებულისთვის შარიათული დასაბუთება განხილულია ჰარამ-ის ირგვლივ ჩვენს დისკუსიაში შემდგომ გვერდებზე.

თავი უნდა შევიკავოთ იმ საკვების მიღებისგან, რომელიც შეიცავს ღვინის მცირე რაოდენობასაც კი, მათ შორის ალკოჰოლნარევ შოკოლადის და სასმელის ან საკვების მიღებისგანაც.

დამატარობელი საშუალებები აკრძალულია როგორც დიდი, ასევე მცირე რაოდენობით შარიათის მკაფიო წესის მიხედვით. გამონაკლისის სახით ნებადართვა მის მიღებაზე ამ შემთხვევაში ვერ გამოიყენება უკიდურესი აუცილებლობის ფაქტორის არარსებობის გამო. არსებობს ბევრი სამედიცინო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია აუცილებლობის წესთან. მაგალითად, ზოგი-

ერთი მედიკამენტი და პირის ღრუს სავლები საშუალება შეიცავს ალკოჰოლს; ამგვარად სასურველია ადამიანმა შეძლებისდაგვარად მოიძიოს უალკოჰოლო ალტერნატივა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეთილის სპირტია (როგორცაა მეთილის სპირტი და ეთანოლი, რასაც შეიცავს ალკოჰოლური სასმელები) დამატებული და, შესაბამისად, არის ჰარამ.<sup>88</sup> პარფიუმის ან სუნამოს (მაგ., ოდეკოლონი), რომელშიც ალკოჰოლი გამოიყენება როგორც არომატული ნივთიერებების გამხსნელი, ან ალკოჰოლის შემცველი სხეულის ლოსიონის გამოყენება არ წარმოადგენს პრობლემას. ალკოჰოლის მცირე რაოდენობა შეიძლება აღმოჩნდეს ზოგიერთ ჰალალ საკვებში, როგორცაა პური და სოიის სოუსი. რიგ შემთხვევაში ისინი შეიცავენ ალკოჰოლს, რომელიც მიიღება წარმოების პროცესში გარკვეული ქიმიური ნივთიერებების ბუნებრივი რეაქციის შედეგად (განსხვავებით ალკოჰოლური სასმელებისგან, რომლებსაც სპეციალურად ამატებენ საკვებში არომატის გასაძლიერებლად) და ამდენად, მას ჰარამ-ის კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ.

### **მოთხოვნები ცხოველის სწორად დაკვლისადმი**

ცხოველის სწორად დაკვლის რიტუალები და მისი სისუფთავისადმი თანხმლები მოთხოვნები კარგად არის ცნობილი ჰალალ ინდუსტრიისათვის. სხვადასხვა მუსლიმური ქვეყნის პრაქტიკა, მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა დეტალებში, აგრეთვე მიჩნეულია შარიათის მითითებებთან შესაბამისობაში მყოფად. ზემოთ უკვე განვიხილეთ სწორად დაკვლის ზოგიერთი მახასია-

თებელი, ასევე რა შეიძლება იყოს მიჩნეული მანდღუბ-ად და რა მაქრუჰ-ად. ქვემოთ მოცემული განხილვა ხაზს უსვამს კანონიერი დაკვლისადმი შარიათის მოთხოვნებს, აგრეთვე ის ეხება რამდენიმე სადავო საკითხს:

1. განზრახვის ელემენტი: ცხოველი ითვლება სწორად დაკლულად მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს შესაბამისი გამოყენების განზრახვა და ცხოველი არ იკვლება მხოლოდ მოკვლის გამო. შესაბამისად, ასეთი განზრახვის არარსებობის შემთხვევაში დაკვლა არ არის ჰალალ.
2. ალაჰის სახელის ანუ თასმიჰა-ს წარმოთქმა დაკვლის დროს სავალდებულოა (ვაჯიბ) მაზჰაბების უმრავლესობის მიხედვით, მაშინ, როდესაც შაფიიტები თვლიან მას რეკომენდებულად (მანდღუბ) და უარყოფენ მას, როგორც მაქრუჰ-ს.

მეორე მხრივ, ყველა სამართლის სკოლა უარყოფს ამ მოთხოვნას უნებლიეთ დავინწყების, მის წარმოთქმაზე განუზრახველად უარის თქმის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ყურანმა დაკვლისთვის დაადგინა ალაჰის სახელების წარმოთქმა – თასმიჰა, უძველესი ღვთაებების სახელების წარმოთქმის პრე-ისტორიული არაბული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ. უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობას არა აქვს უფლება ხელყოს ცხოველის სიცოცხლე შემოქმედის ნებართვის გარეშე და თასმიჰა-ს წარმოთქმა სწორედ ამის დასტურია. საკითხის განხილვის შემდეგ რიჩარდ ფოლცი შემდეგ დასკვნამდე მიდის: „უპირველეს ყოვლისა, ტრადიცია საკმაოდ სერიოზულად უდგება ადამიანებსა და სხვა ცოცხალ არსებებს

შორის არსებულ კავშირს. მეორე, ითვლება, რომ ცხოველებს საკუთარი გრძნობები და ინტერესები აქვთ და მესამე, აქ მნიშვნელოვანია ადამიანების ზნეობრივი ბუნების გათვალისწინება“.<sup>89</sup>

3. რიტუალური დაკვლის განხორციელება ნებადართულია მუსლიმისთვის, ან მათთვის, ვისაც გარდმოველინა წმინდა წიგნი, მათ შორის ქრისტიანებისა და იუდეველებისთვის. ამგვარად, ყურანი აცხადებს, რომ „ნებადართული გაქვთ იმათი საჭმელიც, ვისაც ებოძათ ღვთიური წიგნი [აჰლ ალ-ქითაბ], ასევე მათაც შეუძლიათ მიირთვან თქვენი საკვები“ (სურა ალ-მა'იდა, 5:5).<sup>90</sup> აჰლ ალ-ქითაბის ხალხის საკვები და დაკლული ცხოველი ჩვენთვის არის *ჰალალ* იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი *თასმიჰა-ს* გამოტოვებენ, ან თუ ისინი იესო ქრისტესა და მოსეს სახელებს წარმოთქვამენ. ზოგიერთი მუსლიმი სამართალმცოდნე ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელ პოზიციას, თუმცა გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ყურანში ნებადართვა უპირობოდ არის გადმოცემული, მუსლიმებისთვის მათი საკვების მიღება არის *ჰალალ*.<sup>91</sup>
4. ისლამური სამართლის წამყვანი სკოლების ზოგადი კონსენსუსის მიხედვით, დაკვლის დროს აუცილებელია ცხოველის სხეულში ოთხი სასიცოცხლო არხი გადაიჭრას: ტრაქეა, საყლაპავი მილი და საუღლე ვენები. მცირე უთანხმოება არსებობს იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც საყლაპავი მილი არ იჭრება, თუმცა რეკომენდებულია ერთდროულად ოთხივე ნაწილის გადაჭრა.



რეკომენდებულია (მანდუბ) დაკვლის შემდეგი პრაქტიკები:

- ორივეს, თასმიძა-სა და ფრაზის „ალლაჰი უდიდესია“, ანუ ალლაჰჰუ აქბარ-ის წარმოთქმა, რომელიც მოკლედ იწოდება როგორც *თაქბირ*.
- დაკვლის რიტუალის ჩატარება დღისით, რათა არ მოხდეს შეცდომის დაშვება დაკვლის პროცედურაში.
- მექის მიმართულებით დოგმა (*კიბლა*), თუმცა მაღლიქიტების სკოლა ამას არ ითხოვს.
- გარდა აქლემისა (რომელიც ითხოვს *ნაჰრ-ს*, *ზაბჰ*-ის საპირისპიროდ, მდგომიარე პოზიციაში შეკრული მარცხენა ფეხით), ყველა დანარჩენი ცხოველი უნდა დაწვინილ იქნას მარცხენა მხარეს მაღლა აწეული თავით.<sup>92</sup>

*ქვემოთ მოცემული მიჩნეულია ქმედებად (მაქრუჰ) დაკვლის რიტუალში:*

- დაკვლის რიტუალის ჩატარება ინვალიდის მიერ.
- *თასმიძა-ს* უგულუბელყოფა იმათი აზრით, ვინც არ მიიჩნევს მას სავალდებულოდ, საკუთრივ შაფიიტებისა და მაღლიქიტებისათვის.
- ცხოველის თავის მიბრუნება არა *კიბლა-ს* მიმართულებით.
- მსხვილფეხა რქოსანი საქონლის *ნაჰრ* და აქლემის *ზაბჰ*; სწორად ითვლება საპირისპირო.
- ცხოველისთვის ტკივილის მიყენება თავის დაზიანებით ან თავის ქალის გატეხვით, ცხოველის თრევა და დაკვლა კისრის უკანა მხრიდან.
- დაკვლა ბლაგვი და შეუფერებელი დანით.<sup>93</sup>

მაქრუჭ-სა და ჭარამ-ს შორის განსხვავების გარკვეული ასპექტები ყოველთვის არ არის ზუსტად განსაზღვრული. მაგალითად, აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ავტორი თვითნებურად მოიხსენიებს ჭარამ-ად ისეთ რაიმეს, რაც ფაქტობრივად მაქრუჭ-ს არ აღემატება. ასეთი რამ ხშირად ემართება ე.წ. რელიგიურ ავტორიტეტებს, რომლებიც ძალიან ადვილად აცხადებენ რაიმეს ჭარამ-ად ყურადღების მისაქცევად. ასეთი რამ მკვეთრად უნდა აღიკვეთოს, რადგან არსებობს ყურანის ტექსტის მკაფიო გაფრთხილება: „და არ თქვათ ტყუილი, როგორც თქვენი ენა შეჩვეულია: ეს ნებადართულია, ეს კი - აკრძალულია, რითაც შეთხზავთ სიცრუევს ალლაჰზე“ (სურა ან-ნაჰლ, 16:116). თავის წიგნში „ალ-ჰალალ ვა ალ-ჭარამ ფი ალ-ისლამ“ (გვ.27), ალ-კარადავი ამას სიღრმისეულად განიხილავს, რითიც უნდა ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ სამართლის ნამყვანი იმამები მაქსიმალურად იკავებდნენ თავს რაიმეს ჭარამ-ად გამოცხადებისგან. თუ საჭირო იყო ფათვაში რაიმეს აკრძალვა, მათ ერჩიათ მისი მაქრუჭ-ად გამოცხადება. „რაიმეს ჭარამ - ად გამოცხადება სერიოზული საკითხია“.

ჰალალ-ის პროცედურული მითითებებისგან ზოგიერთი ასევე მოითხოვს იმ ცხოველების ტყავის რიტუალურ განწმენდას, რომლებიც არ იყვნენ დაკლული ჰალალ -ის წესების თანახმად. ეს მოთხოვნა არ ჩანს მუსლიმისა და აბუ დავუდის მიერ ჩანერილ ცნობილ ჰადისში და ნათქვამია: „როცა ტყავი მოთრიმლულია, ის განწმენდილია“.<sup>94</sup>

ამ ჰადისის დადგენილება ზოგადია (*‘ამმ*), კონკრეტიზაციის გარეშე, ამგვარად, ის გულისხმობს „ყველა ტყავს, მათ შორის ძაღლის და ღორისას. ეს არის ზაჰირიტების პოზიცია, ასევე ჩანერილი აბუ აუსუფის, აბუ ჰანდფას მოსწავლის მიერ და მას ემხრობა ამ-შაჰეჰანი.<sup>95</sup> გარდა ამისა, ჩვენი მხრიდან ყველა შესაბამისი წესის შესწავლის შედეგად, ცხადია, რომ შარიათის მხრიდან ლეშის აკრძალვა შემოიფარგლება მის საკვებად მიუღებლობით და არ ვრცელდება ცხოველის ტყავის, რქების, ძვლებისა და ბენვის სხვა მხრივ გამოყენებაზე, ამ მხრივ ყოველივე ეს ნებადართულია. ისინი ღირებულ აქტივებს ანუ *მალ*-ს წარმოადგენენ, რადგან მათ საბაზრო ღირებულება გააჩნიათ და თუ შეიძლება მათგან გარკვეული სარგებლის მიღება, ეს შესაძლებლობა არ უნდა დაიკარგოს.<sup>96</sup>

### **წეს-ჩვეულების (*‘ურფ*) როლი ღირებულებების განსაზღვრაში**

ისლამის სამართალში წეს-ჩვეულება (*‘ურფ*, *‘ადათ*) კანონსა და მართლმსაჯულების აღიარებულ წყაროს წარმოადგენს. ის განსაზღვრულია, როგორც „რაციონალური ბუნების მქონე ადამიანებისთვის მისაღები ხშირი პრაქტიკა,“<sup>97</sup> იმისათვის, რომ მართლმსაჯულებისთვის საფუძველს წარმოადგენდეს, წეს-ჩვეულება უნდა იყოს რაციონალური და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შარიათის ტექსტსა და პრინციპს. წეს-ჩვეულება უარყოფილია, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის შარიათის მითითებებთან, როგორცაა ზოგიერთი ტომის პრაქტიკაში აკ-

რძალული ქალების მემკვიდრეობის უფლება ან გარკვეულ თემში გველისა და მაიმუნის ხორცის მოხმარება. თუმცა, ტექსტსა და ჩვეულებას შორის ნაწილობრივი კონფლიქტის შემთხვევაში, უკანასკნელმა შეიძლება დააზუსტოს პირველი. მოქმედი წეს-ჩვეულება ხშირად უპირატესი ხდება სამართლებრივ ნორმაზე თუ ანალოგიის წესზე (*კიჟას*). ეს იმიტომ ხდება, რომ წეს-ჩვეულება ადამიანებისთვის მოსახერხებელია და ხშირად ის გარკვეული სირთულის აღმოფხვრის ტოლფასია, რაც შარიათის ერთ-ერთ მკაფიო მიზანს წარმოადგენს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ფიკჰის კანონებმა და იჯთიჰადის დადგენილებების უმეტესმა ნაწილმა შეითვისა თავისი დროის გაბატონებული პრაქტიკა.

აღიარებულია წეს-ჩვეულების როლი საკვები პროდუქტების *მანდუბ*-ისა და *მაქრუჰ*-ის შეფასებისას, რაც ხშირად ემთხვევა ამავე საკითხზე რაციონალური ადამიანების (ხშირად მოიხსენიებენ როგორც *აჰლ ალ-’ურფ*) შეხედულებას. შესაძლოა, კანონმა ზოგიერთი საკვები *ჰალალ*-ად სცნოს, მაგრამ ისინი არ მოიწონონ ადამიანებმა და ამგვარად, შესაძლოა, ფაქტობრივად, დაყვანილ იქნას *მაქრუჰ*-ის კატეგორიამდე. ან რიგ შემთხვევაში *მუბაჰ* აიყვანება *მანდუბ*-ის დონემდე ადამიანების მიერ მისი პრეფერენციის გამო. მაგალითად, ზღვის პროდუქტი გამოცხადებულია სუფთად და საჭმელად ვარგისად ჰადისის მკაფიო ტექსტის მიხედვით და პრაქტიკულად, უდავოა რომ მასში იგულისხმება კრევეტიც და ზვიგენიც. მაგრამ კრევეტი მიუღებელია, მაგალითად, პაკისტანის ჰანაფიტი მუსლიმებისთვის, უამრავი ადამიანისთვის მიუღებელია ასევე ზვიგენიც. პრინციპში,

შარიათი არ ეწინააღმდეგება ამ სახის გავრცელებულ პრაქტიკას. როცა რაციონალური ადამიანები თანხმდებიან ასეთ პრაქტიკაზე, მაშინ ფიკჰის წამყვანი პრინციპის თანახმად: „წეს-ჩვეულება მართლმსაჯულების საფუძველია (ალ-‘ადათუ მუჰაქქამათუნ)“.<sup>98</sup> წეს-ჩვეულება ასევე განსაზღვრავს საგნის ღირებულებას ანუ *მალ-*ს და წყვეტს, გააჩნია მას საბაზრო ღირებულება თუ არა. მაგალითად, ფუტკარი და აბრეშუმის ქია ერთ დროს არ მოიაზრებოდა ღირებულ რესურსად ანუ *მალ-*ად, მაგრამ მოგვიანებით იყო მიჩნეული ასეთად ადამიანების მიერ მისი გამოყენებისა და მიმღებლობის გამო და ამის მხარდასაჭერად იყო გამოცემული ფათვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად წეს-ჩვეულება შეიძლება შეიცვალოს, რის შედეგადაც ინერგება ახალი პრაქტიკა, რომელმაც შეიძლება მალევე ფართო აღიარება და გავრცელება მოიპოვოს. ადამიანების გემოვნებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მედია, რეკლამა და ა.შ. ახალი პრაქტიკა ხალხში ინერგება მაშინ, როცა ის მოსახერხებელია და ეს ხშირად აისახება ადამიანების ცხოვრების წესსა და საკვების მრავალსახეობაზე. თუ ამით შარიათის რომელიმე პრინციპი არ ირღვევა, პრაქტიკა შარიათთან თანხმობაში მიიჩნევა.

ამას გარდა, ადამიანების მიერ რაიმეს მიღება ან არმიღება ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს უკიდურესი აუცილებლობის (*დარურა*) განსაზღვრაში.

***ხორცი, ზღვის პროდუქტები და რძის ნაწარმი***

ჩვენ უკვე განვიხილეთ შარიათის „ხუთი ღირებულების შკალა“ და მისი გამოყენება ჩვენი ინტერესის საგანთან მიმართებით, ქვემოთ კი გავაგრძელებთ მისივე განხილვას, ოღონდ კონკრეტულ ცხოველებთან მიმართებით. ზოგადად, თხის, საქონლის, ბატკნის, კურდღლის, კამეჩის, ირმის, მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის და აქლემის ხორცი ნებადართულია საკვებად. ნებადართულ ფრინველებში შედის წინილა, ციცარი, მწყერი, ინდაური, ქათამი, ბატი და იხვი. *ჰარამ* ხორცი და ხორცპროდუქტები შეიცავს ღორის ხორცს, მისგან წარმოებულ პროდუქტებსა და ინგრედიენტებს. ღორი აკრძალულია საკვებად ყველა მუსლიმისთვის გამონაკლისის გარეშე.

საკვებად განკუთვნილი ღორის ხორცის შემცველი პროდუქტების წარმოება და ტრანსპორტირება ასევე არის *ჰარამ*. *ჰალალ*-ის კატეგორიას აგრეთვე არ მიეკუთვნება ბრჭყალებისა და ეშვების მქონე მტაცებელი ცხოველები, როგორცაა ლომი, ჰინა, მგელი, ძაღლი, ვეფხვი, მელა და ტურა, ასევე ვირი. არა-*ჰალალ* ფრინველებად ითვლება ის ფრინველები, რომლებიც ლემით იკვებებიან, მაგალითად, სვავი, ყორანი, არწივი, შევარდენი, ვარხვი და სხვა ლემისმჭამელი. აკრძალული ცხოველებისა და ფრინველების რძე და კვერცხი ასევე აკრძალულია. ნადირობისთვის დაშვებული მცირე გამონაკლისის გარდა, ცხოველები, რომლებიც არ არიან სათანადოდ დაკლული, ასევე არის არა-*ჰალალ*. გარდა არასათანადოდ დაკლული ცხოველებისა, ასეთივეა ბუნებრივად ან სხვა ცხოველთან ჩხუბში, ან ადამიანის სასტიკი მოპყრობის შედეგად დაღუპული ცხოველი.

თევზი და ზღვის პროდუქტი, მათ შორის მოლუსკები, არის ჰალალ. თუმცა, არ შეიძლება თევზის წვალე-ბა. უკანონოა ცოცხალი თევზის ან ზღვის არსების და-კეპვა, არც მათი დაჭრა შეიძლება, ვიდრე ისინი ცოცხა-ლი არიან. არ შეიძლება მათი ცოცხლად მომზადება, აუ-ცილებელია მათი ბუნებრივად სიკვდილისთვის დალო-დება.

რძე და რძის ნაწარმი, როგორცაა ყველი და იო-გურტი, არ უნდა შეიცავდეს ჟელატინს, გარდა იმ შემ-თხვევისა, როდესაც დასაბუთებულად ცნობილია, რომ ჟელატინი ჰალალ წარმოშობისაა. ყველის ბევრი სახეობა შეიცავს ცხოველური წარმოშობის საფუარსა და ფერ-მენტებს. აუცილებელია, დარწმუნება იმაში, რომ ისინი ჰალალ ცხოველებისგან ან ბაქტერიული თუ მცენარეუ-ლი წყაროებისგან არის მიღებული.

ახალი ხილი და ბოსტნეული, უკლებრივ ყველა, არის ჰალალ. დამუშავებული ხილი და ბოსტნეული, შე-საძლოა, მიუღებელი იყოს, თუ ისინი წარმოებულია ისეთ ქარხნებში, რომლებიც იყენებენ არა-ჰალალ ზეთს, ცხიმებს, კონსერვანტებს, გემოსა და ფერის გამაუმჯო-ბესებელ ინგრედიენტებს და ა.შ. ამ ინგრედიენტების წარმოების პროცედურები არ მოიცავს ადგილზე მუს-ლიმთა მხრიდან ზედამხედველობას. თუმცა, გონივრუ-ლია, მწარმოებელს ჰქონდეს ჰალალ სერტიფიკატი მის მიერ წარმოებულ პროდუქტებსა და პროცედურებზე.

ჰალალ-ის თვალსაზრისით განსაკუთრებული ყუ-რადღების საგანია საკონდიტრო ნაწარმი. საკონდიტრო ნაწარმის მომზადებისას არ უნდა გამოიყენებოდეს უც-ნობი ინგრედიენტები, შემავსებლები, ალკოჰოლზე და-

ფუძნებული და ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტები, რომლებმაც შეიძლება პროდუქტის მიმართ ეჭვი გააჩინოს. მნიშვნელოვანია დარწმუნება იმაში, რომ დანამატები, საღებავები და კონსერვანტები, *ჰალალ* წყაროებისგან მიიღება და დამუშავებულია დამტკიცებული პროცედურების მიხედვით ალკოჰოლის გამოყენების გარეშე.

### ***ჰალალ-ის ინდუსტრია მალაიზიაში***

მალაიზიას ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს გლობალურ *ჰალალ* მარკეტზე. შაფიე და ოსმანი, მომხმარებლების ქცევის თემაზე ჩატარებულ კვლევებში, აღნიშნავენ, რომ მალაიზიის მუსლიმი მომხმარებლებისთვის საკვანძო მოთხოვნაა *ჰალალ*. *ჰალალ* ბრენდები და სერტიფიკატები სხვადასხვა ქვეყანაში გაიცემა, თუმცა დღეს ადგილობრივმა ბრენდებმაც დაიმკვიდრეს საკუთარი ნიშა. ზოგადად, მალაიზიაში მუსლიმი მომხმარებლები ყურადღებას აქცევენ პრემიერ-მინისტრის ოფისის მალაიზიის ისლამური განვითარების დეპარტამენტის (JAKIM) მიერ გაცემულ ავთენტურ *ჰალალ* სერტიფიკატს. 2004 წელს, როდესაც კუალა-ლუმპურში მალაიზიაში პირველად გამართა საერთაშორისო *ჰალალ* გამოფენა (MIHAS), მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა – აბდულლა აჰმად ბადავიმ განაცხადა, რომ მალაიზიის გადაქცევა გლობალურ *ჰალალ* ჰაბად მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა და MIHAS ყველაზე დიდი სავაჭრო გამოფენა იყო, რომელიც მსოფლიოში ოდესმე



გამართულა. მაღაზიის ჰალალ პროდუქტები და სერვისები მრავალფეროვანია, დაწყებული საკვებითა და სასმელებით, დამთავრებული საცხოვრებლით, ტანსაცმლით, დაზღვევით, ფინანსური პროდუქციით, კოსმეტიკითა და პირადი ჰიგიენით.<sup>99</sup>

მაღაზიის, როგორც გლობალური ჰალალ ჰაბის კონცეფცია, მიზნად ისახავს მცირე და საშუალო წარმოებისთვის (SME) შესაძლებლობების შექმნას, ახლო აღმოსავლეთის, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისა და სხვ. ჰალალ ბაზარზე შესაღწევად. მაღაზიის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვების ფედერალური დეპარტამენტის შეფასებით, 2010 წლისთვის მხოლოდ გაყინული პროდუქციისთვის ბაზრის მოცულობა გაიზარდა 193 მილიარდ მაღაზიურ რინგიტამდე. თუმცა, ფაქტობრივად, პროგნოზები ბოლომდე არ გამართლდა ბაზარზე ჰალალ პროდუქციის არსებულ მოთხოვნაზე ნაკლები, არასაკმარისი რაოდენობის პროდუქციის მიწოდების გამო. 2011 წლის ივნისისთვის მაღაზიის ჰალალ ინდუსტრია შეფასდა წელიწადში 56 მილიარდი მაღაზიური რინგიტით, მაშინ, როდესაც გლობალური ბაზრისთვის ის მერყეობს 2.5 - 2.7 ტრილიონი ამერიკული დოლარის ფარგლებში. ამ ციფრების გამოცხადებისას, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე მუხრიზ მაჰსასირმა ასევე აღნიშნა, რომ ბუმიპუტრები (უმთავრესად ადგილობრივი მაღაზიელები) ფლობენ მხოლოდ 30% იმ 4787 ჰალალ სერტიფიკატიდან, რომელიც JAKIM-მა გასცა საკვებისა და სასმელების ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიებზე. მან აღნიშნა, რომ ჰალალ სერტიფიკატის ასაღებად მათ უფ-

რო მეტად არაადგილობრივი კომპანიები მომართავენ. „და ეს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჰალალ სერტიფიკატის აღებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მაღაიზიის ფარგლებს გარეთ კომპანიის განვითარებას“. მახრიზ მაჰასირმა დაამატა, რომ „უზარმაზარია ჰალალ პროდუქტებისთვის ბაზრის პოტენციური სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოების ასოციაციის ტერიტორიაზე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩინეთში... მხოლოდ ჩინეთში ჰალალ პროდუქტებს მაღალი პერსპექტივები აქვს, რადგან ოთხ პროვინციაში მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია და ჰალალ პროდუქციას აქვს მაღალი მსყიდველობითი უნარი,“<sup>99</sup> როგორც გლობალურ ჰალალ ჰაბად გადაქცევის პოლიტიკის ნაწილი, მაღაიზიის მთავრობამ განსაზღვრა შესაბამისი ზომები, როგორც მრეწველობის განვითარების მეორე გენერალურ გეგმაში (1996-2005), ასევე სოფლის მეურნეობის ეროვნულ გენერალურ გეგმაში (1998-2010), რათა ხელი შეეწყოს მრეწველობის განვითარებისთვის ქვეყანაში ჰალალ ინდუსტრიული პარკების შექმნის გზით. [მაღაიზიის შტატების] სელანგორის, ქედაჰის, მელაქას, ნეგერი სემბილანის, პერაჯის და პაჰანგის მთავრობებმა თავიანთ შტატებში ჩამოაყალიბეს ჰალალ სამრეწველო პარკები.<sup>101</sup> ჰალალ პარკები წარმოადგენენ ეფექტიან ინსტრუმენტს ქვეყანაში ჰალალ ობიექტების გეოგრაფიულად გაერთიანებაში, კლასტერიზაციაში. კლასტერიზაციის უპირატესობებთან ერთად (როგორცაა მომარაგების ჯაჭვის შემოკლება, ხარჯების შემცირება, ინოვაციები და ა.შ.), ჰალალ პარკებს შეუძლიათ შექმნან ძლიერი საფუძველი ჰალალ პროდუქტე-

ბის წარმოებისთვის და ხელი შეუწყონ ჰალალ-ის ერთიანი სტანდარტის უფრო შედეგიანად დანერგვას. ASEAN-ის რამდენიმე სახელმწიფოსთან ერთად მალაიზიამ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი ისეთი გლობალური საკითხების კვლევის მიზნით, როგორცაა ჰალალ საკვების აკრედიტაცია და ჰალალ კონსერვანტების 102 სარეგისტრაციო სია.

JAKIM-ს, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჰალალ სერტიფიცირების პროცესს, მინდობილი აქვს ჰალალ პროდუქციასთან დაკავშირებულ ისეთ ოპერაციებზე კონტროლი, როგორცაა დამუშავება და შეფუთვა. იმპორტირებული პროდუქტების სერტიფიცირება ხდება JAKIM-ის მიერ აკრედიტირებული ორგანიზაციებისა და სამთავრობო სააგენტოების მიერ, როგორცაა ვეტერინარული მომსახურების დეპარტამენტი და ჯანდაცვის სამინისტროს კვების უსაფრთხოებისა და ხარისხის განყოფილება, რომლებიც გასცემენ ნებართვას შესაძლო საფრთხის შემცველ საკვებ ნივთიერებებზე. გარდა ამისა, მალაიზიის ჰალალ ჰაბად გადაქცევის კონცეფცია მიზნად ისახავს გლობალური ჰალალ სტანდარტისთვის კრიტერიუმების შემუშავებას არა მარტო კვების წარმოება-დამუშავებისთვის, არამედ აგრეთვე მედიკამენტებისთვის, კოსმეტიკისთვის და კონსერვანტებისთვის. ჰალალ სერტიფიკატის აღების შემდეგ, კომპანიები ბეჭდავენ და უთითებენ ლოგოს თავიანთ პროდუქციაზე და რეკლამებზე, აგრეთვე კომპანიის შენობაზე და სავაჭრო პუნქტებზე.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის ჰალალ სერტიფიკატებში მუსლიმთა და ბუმიპუტრების წილი შედარებით ნაკლები, არის მისი ღირებულება. თითოეული პროდუქტისთვის ორწლიანი სერტიფიკატის აღება ღირს დაახლოებით 2000 მალაიზიური რინგიტი. ჰალალ სერტიფიკატის აღება აღწერილია როგორც „ძალიან სკრუპულოზური პროცესი. ბიზნესის ყოველი ნაბიჯი იქნება დეტალურად განხილული და შეფასებული, დაწყებული ინგრედიენტებით მასალების დამუშავების პროცესით, დამთავრებული ლოგისტიკით“.<sup>103</sup> თუმცა აღსრულებაში არსებობს გარკვეული პრობლემები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ JAKIM-ის პერსონალის მხრიდან ჰალალ ლოგოს გამოყენების მონიტორინგის კუთხით მოვალეობების არასათანადოდ აღსრულების გამო, ზოგიერთი ჰალალ პროდუქტისა და სერვისის ავთენტურობის მიმართ გაჩნდა კითხვები საზოგადოების მხრიდან.<sup>104</sup>

მალაიზიის სტანდარტის მიხედვით, ჰალალ საკვებ პროდუქტებად ითვლება ის სუბსტანციები, რომლებიც ნებადართულია შარიათის მიერ და შეესაბამება შემდეგ პირობებს:

- ა) საკვები პროდუქტები ან მათი ინგრედიენტები არ შეიცავს კომპონენტს ან პროდუქტს ისეთი ცხოველის, რომელიც არ არის ჰალალ შარიათის მიხედვით და არ არის დაკლული შარიათის ნორმების შესაბამისად;
- ბ) საკვები პროდუქტები არ შეიცავს ინგრედიენტებს, რომლებიც შარიათის მიხედვით ეკუთვნის ნაჯის (ბინძური, უწმინდური) კატეგორიას;

- გ) საკვები პროდუქტები უსაფრთხოა და ჯანსაღი;
- დ) საკვები პროდუქტები ან მათი ინგრედიენტები არ შეიცავს არანაირ ნაწილს ისეთი ცხოველების, რომლებიც არაა დაშვებული ისლამში;
- ე) საკვები პროდუქტები არ არის დამზადებული, დამუშავებული ან წარმოებული ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, რომელიც შარიათის წესების თანახმად მიიჩნევა როგორც *ნაჯისი*;
- ვ) საკვები პროდუქტები, რომელიც მომზადების, დამუშავების, შეფუთვის, შენახვის ან ტრანსპორტირების პროცესში არ არის ფიზიკურად განცალკევებული ისეთი სხვა საკვებისგან, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ ა), ბ), გ), დ) და ე) პუნქტებში მითითებულ მოთხოვნებს ან ნებისმიერს, რაც შარიათის მიერ *ნაჯისი*-ად მიიჩნევა. ამ სტანდარტებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ *ჰალალ* საკვები პროდუქტები და სერტიფიცირებული ნივთიერებები და პროდუქტები მაღალიზიაში არ შეიცავს ისეთ რამეს, რაც შარიათის კანონით მიიჩნევა როგორც *ჰარამ* ან *ნაჯასი*.

ამ სტანდარტების დეტალურად განხილვის შემდეგ, შესაბამისი უწყების მიერ გაცემული სერტიფიკატი ადასტურებს ნივთიერების შარიათის მიერ ნებადართულობასა და მის *ჰალალ* სტატუსს. აღიარებულია, რომ ეს სტანდარტები შემუშავდა მომხმარებლებისა და ზოგადად, საზოგადოების სიცოცხლისა და კეთილდღეობის დასაცავად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით ვაჭრობის ხელშესაწყობად. ამასთან ერთად, ეს არის საერთაშორისო თანამშრომლობისა და

ერთიანობის ხელშეწყობის საშუალება სურსათის უვნებლობისა და ჯანმრთელობის საკითხში, ყოველი ადამიანის სასარგებლოდ.

### **ისლამი და მეცნიერება**

ისლამი და მეცნიერება ძალიან ვრცელი და აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი თემებია იმისათვის, რომ მოკლედ გამოვკვეთოთ მათი ადგილი ისლამში *ჰალალ-ისა* და *ჰარამ-ის* საკითხში. თუმცა, პირველივე კითხვა, რომელიც ჩნდება, ეხება ამ კონცეფციების ძირითად იდეას: აშკარაა, რომ *ჰალალ* და *ჰარამ* არ განისაზღვრა მხოლოდ ადამიანის გონებაზე ან მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით, არამედ მათი ღვთაებრივი გამოცხადებიდან (*ვაჰი*) მიღებულ მითითებებთან შეერთებით. როგორც წესი, ღმერთის თაყვანისცემის საკითხები (*'იბადათ*) შარიათის მიერ სამეცნიერო მტკიცებულებებისგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, ამავეს თქმა შეიძლება ისლამის მიერ დადგენილი კვებითი შეზღუდვების შესახებ - თუნდაც მათთვის შესაძლოა არსებობდეს სამეცნიერო დასაბუთება. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მთლიანობაში ისლამი სამეცნიერო მტკიცებულებების მიმართ მიმღებლობით ხასიათდება. თუ განვიხილავთ ისლამის მიერ საჭმელად ლემის, სისხლის, ალკოჰოლისა და ღორის ხორცის აკრძალვას, ამათგან, პრაქტიკულად, ყველა, სამეცნიერო კრიტიკას გაუძლებს. სამეცნიერო რაციონალიზმი რეალობას გრძნობითი აღქმით მიღებულ ინფორმაციის ჩარჩოებში აქცევს, რაც გამორიცხავს მეტაფიზიკურ რეალობასა და განცხადებულ ცოდნას, ისე-

ვე, როგორც ადამიანის არსებობის გარკვეულ არაფიზიკურ ასპექტებს (ასეთია ინტელექტის დაყვანა ნეირონული ქიმიის დონემდე, სადაც მენტალური და ქცევითი ფენომენი მიიჩნევა ფიზიკური პროცესების გამოვლინებად).

ისლამური სამართლის სკოლები გამოყოფენ განსხვავებების სხვადასხვა დონეს, დროებითი რეალობის მისი საკუთარი პარამეტრების მიხედვით განხილვის მიზნით. მაგალითად, ისლამის გაჩენიდან პირველი საუკუნის განმავლობაში არ არსებობდა განსხვავება შარიათსა და ფიკჰს შორის. ასევე უფრო გვიან მოხდა შარიათის დაყოფა სამ ნაწილად: თეოლოგიად (*ქალამ*), ზნეობად (*ახლაკ*) და ფიკჰად (პრაქტიკულ დადგენილებებად). ამგვარად, მოხდა თეორიულ თეოლოგიის, ყოველდღიური ცხოვრებისა და ადამიანის ქცევის პრაქტიკულ ნესებს შორის გამიჯვნის გარკვეული დონის აღიარება. გამოყენებითი მეცნიერებების სფეროსა და მათ მიერ კაცობრიობისთვის მოტანილ სარგებელთან მიმართებით ისლამი ღიაა პერსპექტივებისთვის. მეცნიერული ცოდნის ადამიანების სასარგებლოდ გამოყენება არა მხოლოდ მისაღები, არამედ *მაჰლაჰა*-ს (საზოგადოებრივი ინტერესის) კატეგორიამდეა ასაყვანი. შედეგად, მუსლიმები თავიანთ რწმენას მეცნიერული ცოდნის შემაფერხებლად არ ხედავენ. პირიქით, მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ მეცნიერების განვითარებაში. წმინდა შუამავალი მხარს უჭერდა სასარგებლო ცოდნას (*ალ-‘ილმ ან-ნაფი*), რომელიც ეხმიანება ადამიანების ლეგიტიმურ საჭიროებებს და შესაბამისად, მოუწოდებდა თავის მიმდევრებს „ექვბეთ ცოდნა, თუნდაც ის ჩინეთში იყოს“.

ამგვარად, ნათელია, რომ ისლამისთვის მისაღებია ნე-ბისმიერი წყაროსგან მიღებული სასარგებლო ცოდნა. ცხადია, ჩინეთი არ იყო ცნობილი რელიგიური ცოდნის, მითუმეტეს ისლამის, კუთხით, მაგრამ შესაძლოა, ყოფილიყო აღიარებული მისი კულტურული მიღწევებით, მეცნიერული ცოდნითა და სიბრძნით.

ყურანში მოცემული 'ილმ-ის (ცოდნის) ძლიერი მხარდაჭერა, გრძნობითი აღქმითა და დაკვირვებით მოპოვებული ცოდნისადმი მიმღებლობა და მის მიერ ჩვენი სამყაროს კვლევის ნაბაღისება, ყოველივე ეს მეტყველებს ისლამისა და მეცნიერების ძირითად საკითხებზე შეთანხმებასა და ინტერესების თანხვედრაზე. ისლამური ფილოსოფია, რომელიც, უმთავრესად, შეისწავლის მიზნებს განსხვავებით მეცნიერებისგან, რომელიც ძირითადად მიზნებს სწავლობს, ხედავს ობიექტებსა და მოვლენებს სამყაროში ღვთაებრივის არსებობის ნიშნების (აჰაბ) სახით. მუსლიმებს ესმით რწმენა არა როგორც მეცნიერების შეზღუდვა, არამედ, როგორც მისი განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივა. ამდენად, მოაზროვნე მუსლიმები უნდა მუშაობდნენ რწმენისა და გონების, ცოდნისა და მეცნიერების სიმბიოზური კავშირის დაცვაზე და ისლამის საკაცობრიო მიზნების უფრო სიღრმისეულ გაგებაზე.

მაგალითად, განვიხილოთ ელექტრომოკერისა და თორაკალური ჯოხის გამოყენების პროცედურები და რამდენად მისაღებია ისინი შარიათის თვალსაზრისით. შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ როგორ წარმოიშვა ეს პროცედურები: წარმოების მოხერხებულობის მიზნით, ცხოველებზე ზრუნვის მიზნით, თუ ორივე მიზეზის გა-



მო. მიუხედავად იმისა, რომ შარიათი ორიენტირებულია ბაზარზე შეუფერხებელ კანონიერ ვაჭრობაზე, თუნდაც გარკვეული კომპრომისების ხარჯზე, ის არ უჭერს მხარს ისეთ ზომებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის მაღალ ღირებულებებს.

ნებისმიერი გადანყვეტილება, რომელსაც შარიათის სპეციალისტები იღებენ ცხოველის დაკვლისას ელექტროშოკერისა და თორაკალური ჯოხის გამოყენებასთან დაკავშირებით, ამისათვის საჭირო სამეცნიერო ცოდნის გარეშე, ეფუძნება დაშვებებსა და ვარაუდებს, რაც არასაკმარისია, თუ გავითვალისწინებთ საკითხის სენსიტიურობას და მიღებული გადანყვეტილებების შემდგომ ფართო გამოყენებას. ეს ასევე კარგი ილუსტრაციაა იმ სიმბიოზური კავშირისა, რომელსაც ჩვენ მოვიაზრებთ ფიკსს და მეცნიერულ ცოდნას შორის. ელექტროშოკერისა და თორაკალური ჯოხის გამოყენება მისაღები გახდა მას შემდეგ, რაც გასაგები გახდა, რომ მათი მემკვიდრით დაკვლის პროცესი ნაკლებად მტკივნეული ხდება ცხოველისთვის. ეს ასევე შესაბამისობაშია შარიათის პრინციპებთან. მაღალიზიის რელიგიურმა ავტორიტეტებმა ასევე დასაშვებად მიიჩნიეს ცხოველის გათიშვის პროცესი ძაბვის შეზღუდული დიაპაზონით იმგვარად, რომ მისი გრძნობითი აღქმა ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებული იყოს. უფრო დიდი ცხოველების, როგორიცაა ძროხა და ცხვარი, ელექტროშოკერით გათიშვა მიღებულია ბევრი ისლამური ქვეყნის სამრეწველო დაკვლის პრაქტიკაში. თუმცა ზოგიერთს მიაჩნია, რომ მისი მცირე ზომის გამო, წინილა კვდება იმ შოკისგან, რომელიც მას გასათიშად უკეთდება. თურქეთსა და ისლამური

ფიკსის საერთაშორისო აკადემიაში ჩატარებული კვლევების შედეგები მხარს უჭერს წინილების ელექტრომოკით გათიშვას. აკადემიის წარმომადგენელი მეცნიერები, რომლებიც თურქეთის ოთხ ქარხანას ეწვივნენ, დააკვირდნენ, რომ ყველა ქარხანაში დაკვლამდე წინილებს ელექტრიფიცირებულ წყალში აჩერებდნენ დაახლოებით ორი წამის განმავლობაში. წყალი 40 ამპერის დენის ძალით თიშავს წინილებს. მეცნიერები აცხადებენ, რომ ზოგიერთი გათიშული წინილა სამ წუთში სრულად მოდიოდა გონს - ამდენად, ეს არის მტკიცებულება, რომ ისინი დენის ძალის გავლენით არ კვდებოდნენ.

ერთადერთი სფერო, რომელშიც ისლამისა და მეცნიერების გზები იყოფა, ესაა მეტაფიზიკური რეალობის უარყოფა და განცხადებული ცოდნის ავტორიტეტი. მეცნიერება ამას არ აღიარებს, ისლამი კი მყარად დგას საკუთარი რწმენის პრინციპებზე. ერთი სიტყვით, შეიძლება კაცობრიობისთვის პრაქტიკულად განხორციელებული მეცნიერული სარგებლის დანახვა ისე, რომ არ მოხდეს მისი მხრიდან რეალობისა და არსებობის მატერიალისტური ხედვის გაზიარება<sup>105</sup>

## დასკვნა და რეკომენდაციები

რადგან მსოფლიო მუსლიმური თემი ანუ უმმა ნარ-მოადგენს რწმენით ერთობას, მისი მრავალრიცხოვანი შემადგენელი ნაწილები უნდა იყოს ღია ერთმანეთისგან სწავლისთვის და დააფასოს ისლამურ ცივილიზაციაში არსებული ტრადიციები და კულტურული მრავალფეროვნება. თუ დღეს ისლამი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ერთობაში არსებული მრავალფეროვნება, თავჰიდ-ის ფარგლებში გონივრული *იხთილჲფ-ით* (უთანხმოება), ეს უმთავრესად ხდება ყურანის გამაერთიანებელი ძალის გამო, წმინდა შუამავალ მუჰამმადის სამაგალითო სწავლებებისა და ძირითად ღირებულებებზე კონსენსუსის ხარისხის დამსახურებით.

უმმა აგრეთვე უჭერს მხარს ზნეობრივი და სამართლებრივი განზომილებების მქონე მორალურ კოდექსს, რომელიც ეფუძნება ორ ცნებას: *ჰალალ* და *ჰარამ*. *ჰალალ* კვებით მრენველობაში და *ჰალალ* ვაჭრობასა და ფინანსებში საერთო ღირებულებების ხელშესახები გამოვლინებაა, რომლებიც უმმას მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებს. *იხთილჲფ-თან* შედარებით, თავჰიდ ისლამის უფრო ცნობილი მახასიათებელია. უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციას ბევრი საერთო აქვს თავჰიდ-თან, შესაბამისად, *ჰალალ* ინდუსტრიაში სტანდარტიზაციისთვის ხელის შეწყობა არა მხოლოდ სასურველია, არამედ არსებითად შესაძლებელიცაა. სტანდარტიზაციის მიზნის მიღწევა უფრო გამარტივდება, თუ გა-

მოვიჩინოთ მისწრაფებას საერთო ღირებულებებისადმი, კულტურისა და ტრადიციებისადმი, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო პრაქტიკის, *ჰალალ* საკვებისა და ფინანსების უნიფიცირებას როგორც ისლამურ ქვეყნებში, ასევე მთელ მსოფლიოში. *ჰალალ* ინდუსტრიის ყველა მატერიალურ ასპექტში სტანდარტიზაციამ მაგალითი უნდა აიღოს ღვთიური წიგნისგან, რომელიც წარმოადგენს ჩვენი მცდელობების საფუძველს ისლამურ სამყაროში მივალნიოთ უნიფიცირებასა და თანამშრომლობას.

ფიკჰის დისკურსი სერიოზულად ამუშავებს და აკონკრეტებს *ჰალალ*-სა და *ჰარამ*-ზე წერილობითი წყაროების მითითებებს, რომლებსაც გააჩნიათ რაციონალურობის ფარგლებს მიღმა მყოფი რელიგიური (თა 'აბ-ბუდი) ასპექტები. *ჰალალ* სტანდარტების უნიფიცირების ხელშესაწყობად ჩვენი შემოთავაზება შემდეგში მდგომარეობს:

- *ჰალალ/მუბაჰ*, აგრეთვე *მაქრუჰ* და *მანდუჰ* საკითხებთან მიმართებით, *ჰალალ* ინდუსტრიაში მეტი უნიფიცირება და სტანდარტიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნას სელექციის (თახადაურ) პრინციპის გამოყენებით და მაზჰაბების სხვადასხვა დებულებებს შორის ამ მიზნისთვის ყველაზე შესაფერისის გამოყოფით. როგორც ისლამურ იურისპრუდენციაში მიღებული მეთოდი, თახადაურ ეფუძნება იმის აღიარებას, რომ ისლამური სამართლის წამყვანი სკოლები ერთმანეთს მიიჩნევენ შარიათის თანაბრად ვალიდურ განმმარტებლებად, რაც აშკარად უწყობს ხელს მათ შორის ჰარმონიისა და უნიფიცირების პოტენციალს.

- სელექციის კიდევ ერთი მეთოდი, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ არის სხვადასხვა სკოლის ან სამართალმცოდნის დადგენილებების გარკვეული ასპექტების გაერთიანება (თაღფრე) მათი ერთიან ფორმულაში შერწყმის მიზნით. თაღფრე განსხვავდება თახაფურ-ისგან იმით, რომ ეს უკანასკნელი უცვლელად იღებს სხვა მაზჰაბების დადგენილებას საკუთართან გასაერთიანებლად, ხოლო თაღფრე ცდილობს სხვადასხვა დადგენილებების/განმარტებების ზოგიერთი დეტალის ერთ ფორმულად გაერთიანებას, შემდგომი გამოყენების მიზნით.<sup>106</sup>
- ყოველ ქვეყანაში და მის იურისდიქციაში აუცილებელია ჩამოყალიბდეს შარიათის ავტორიტეტული საკონსულტაციო საბჭო, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა შექმნას სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენელი ექსპერტების ჯგუფი. ჯგუფი საკმარისად დივერსიფიცირებული უნდა იყოს იმისთვის, რომ მისი განხილვები, რჩევები და ფათვა მსოფლიო უმმას სხვადასხვა აზროვნების სკოლის სამეცნიერო აზრებს, ქვეყნებსა და კულტურულ ზონებს ეფუძნებოდეს. ასეთი საბჭო უნდა შეიცავდეს დასავლეთში მუსლიმთა უმცირესობების წარმომადგენლობას, ისევე, როგორც ინდუსტრიის გამორჩეულ ექსპერტებსა და ბაზრის ანალიტიკოსებს.
- საბჭოს მიერ გადანყვეტილების მიღების/ფათვას გამოცემის პროცესის რეგულირებისთვის უნდა შემუშავდეს პროცედურული სახელმძღვანელო მითითებები. აგრეთვე უნდა შემუშავდეს საბჭოს გადან-

ყვეტილებების მედიაზე გავლენის მოხდენისა და ბაზარზე შეღწევის გეგმები.

- მაკრო და მიკრო დონეზე უნდა გატარდეს პროაქტიური ზომები სახელმწიფოებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლების მხრიდან ჰალალ პრაქტიკის სტანდარტიზაციის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით, უპრიანია გავისხენოთ, ისლამური სამართლის ერთი ასპექტი, რომელიც უფლებას აძლევს მმართველ ორგანოებს (*‘ულა ალ-‘ამრ*) აიყვანონ *მანდუბ* სავალდებულოდ შესასრულებელის კატეგორიაში, ან *მაქრუჰ* აქციოს აკრძალვად, დაარეგულიროს *მუბაჰის* გარკვეული ასპექტები და გადანყვიტოს საეჭვო საკითხები (გადანყვეტილებების გამოტანა) - თუ ეს ხალხის *მაჰლაჰა*-ს (საზოგადოებრივი ინტერესის) გამოვლინებას წარმოადგენს. ამდენად, კანონიერი ხელისუფლება უფლებამოსილია შემოიღოს კანონები და შეიმუშავოს სტრატეგია, რომლებიც უკეტესად დაცვენ ადამიანთა ინტერესებს არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ეს ფუნქცია შეიძლება შეასრულოს არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ ან მისი ზედამხედველობის ქვეშ მომუშავე ექსპერტების ჯგუფმა.

- ჩვენ აგრეთვე ვთავაზობთ მალაიზიაში, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის სათაო ოფისში და სხვა ისლამურ ქვეყნებში კვლევითი ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც გააერთიანებენ შარიათის მეცნიერებებისა და კვების პროდუქტების მეცნიერებების მკვლევრებს, ბაზრის სპეციალისტებსა

და სოციოლოგებს, რომლებსაც შეუძლიათ ბაზრის თავისებურებების, ასევე ისლამური სამყაროს სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის კულტურისა და ტრადიციის კვლევა. ასეთი ინსტიტუტი უნდა წარმოადგენდეს შარიათის მრჩეველთა საბჭოს კვლევით სტრუქტურას და საბჭოს უნდა აძლევდეს რეკომენდაციებს *ჰალალ* ინდუსტრიის მუდმივ განვითარებასთან და *ჰალალ* პროცედურების სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით.

- *ჰალალ* ინდუსტრიის სტანდარტიზაცია უნდა ემყარებოდეს მუსლიმური თემის დამტკიცებულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რადგან ადამიანების საკვების და საბაზრო პრაქტიკის მიმართ პრეფერენციები მრავალი ფაქტორის გავლენას განიცდიან, მათ შორის კლიმატის, ნიადაგის თვისებებების და სხვა კულტურებთან გეოგრაფიულ სიახლოვესაც კი, აუცილებელია ყოველივე ამის მხედველობაში მიღება *ჰალალ* ინდუსტრიაში სტანდარტიზაციისკენ მისწრაფებისას. მრავალგვარობის ეს დონეები ყოველთვის არ არის ადვილად შესამჩნევი და ამდენად, საჭიროებს შემონმებასა და შარიათთან მათი შესაბამისობის სიღრმისეულ კვლევას. შესაბამისად, აუცილებელია ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ ქვეყნებისა და რეგიონების წეს-ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესწავლაზე, ასევე დავნერგოთ გადაწყვეტილების მიღების კონსულტაციური მექანიზმები, რომლებიც სათანადოდ იქნებიან ინფორმირებული შარიათის, სამეცნიერო და სოციოლოგიური კვლევების შესახებ.

- ბაზრის მკვლევრები გამუდმებით საუბრობენ ჰალალ ლოგოსა და მასერტიფიცირებული ორგანიზაციების გაცემასა და იდენტიფიკაციის პროცესში არსებულ გაურკვევლობასა და დაუდევრობაზე. ეს უფრო გავრცელებულია არაისლამურ ქვეყნებში, მაგრამ ეს პრობლემა აქტუალურია ისლამური ქვეყნებისთვისაც. ორივე შემთხვევაში ორაზროვანი და შეცდომაში შემყვანი სიტყვები, ფრაზები და ნიშნები სერიოზულ პრობლემად იქცა. როგორც უკვე ვახსენეთ, მალაიზიის მთავრობამ 2013 წლის იანვრიდან დაიწყო ზომების გატარება, მაგალითად, შემოიღო დარღვევებისთვის მკაცრი ჯარიმები, რომლებიც იზრდება გამეორების შემთხვევაში. ეს კარგი მიდგომაა, მაგრამ, შესაძლოა, მკაცრი დამსჯელობითი მიდგომა ყოველთვის არ იყოს შედეგიანი; იქნებ უკეთესი იქნება მისი შევსება განმანათლებლობითი მცდელობებითა და ინიციატივებით საუკეთესო შესრულებისთვის ნახალისდნენ კონკრეტული პირები, მწარმოებლები, მომწოდებლები, ასევე ჰალალ პროდუქტებისა და სერვისების მონიტორინგის სააგენტოები.



## შენიშვნები

1. მიზეზს იმისა, თუ რატომ ირჩევენ ფიკჰის სწავლულები სხვა ტერმინოლოგიას, შესაძლოა წარმოადგენდეს ის სენსიტიურობა, რომლითაც გამოირჩევა ყურანი ჰალალ-ისა და ჰარამ-ის განსაზღვრისას. რადგან ეს მხოლოდ უზენაესი ღმერთის პრეროგატივაა, როგორც მე ამას დეტალებში განვიხილავ მოგვიანებით. უნდა აღინიშნოს ამ ტერმინებს შორის მცირე განსხვავება: ტერმინები *მუბაჰ* და *ჯა'იზ* აღნიშნავენ იმას, რის მიმართაც შარიათი სრულად ნეიტრალურია, ჰალალ ხშირად მიუთითებს სისუფთავის ხარისხზე, განსაკუთრებით საკვებთან მიმართებით, და ამგვარად, გულისხმობს უპირატესობის მინიჭებას, რაც თავისთავად გამოირიცხავს ნეიტრალურობას.
2. *მუბაჰ*-ის აღსანიშნავად გამოიყენება შემდეგი არაბული ფრაზები: *ლā ისმა*, *ლā ჯუნაჰ*, *ლā ბა'სა*, *ლā ოუ'ახიზუქუმი* ალლāჰ და ა.შ.
3. არაბული ვერსიაა: *ალ-აქლუ ფი ალ-ამაჰ' ალ-იბაჰ ჰათთა ადულლუ ად-დალღლ 'ალა ალ-თაჰრამ*. იხ., Jalāl al-Dīn al-Suyūfī, *al-Ashbāh wa al-Nazā'ir* (Beirut: Dār al-Kutub al-'Ilmiyyah, 1983/1403 ah), p.60. როგორც წესი, სამართლებრივი პრინციპი შედგება ფიკჰის პოზიციის გამომხატველი განაცხადისგან, რომელიც ეფუძნება ყურანისა და ჰადისების ხელთ არსებული მტკიცებულებების ზოგად აზრს. განმარტების სახით ას-სუჟუტი სვამს კითხვას ადამიანის მოხმარებისთვის, მაგალითად, ჟირაფის ნებადართულობაზე, დასძენს, რომ სამართალმცოდნეებს ამასთან დაკავშირებით მკაფიო პოზიცია არ გააჩნიათ და ამგვარად, ის არის ჰალალ ნახსენები პრინციპისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჟირაფი არ არის მტაცებელი ცხოველი.
4. Yusuf al-Qaradawi, *Al-Ḥalāl wa al-Ḥarām fī al-Islām* (Beirut: al-Maktab al-Islāmī, 199 4/1415 ah, 15th ed.), 23; idem, *Bay' al-Murābahah li al-Āmir bi al-Shirā'* (Cairo: Maktabah Wahbah,

1987/1407 ah, 2nd ed.), p.13. სანდო (سند) ჰადისი, სუსტისგან განსხვავებით, განისაზღვრება როგორც ჰადისი, რომელშიც არ არის განყვეტილი ისნად (გადმომცემელთა ჯაჭვი) ვიდრე წმინდა შუამავლამდე ან მის მიმდევრამდე, ასეთი ჰადისების გადმომცემნი იმსახურებენ ნდობას, აქვთ კარგი მეხსიერება, მათი გადმოცემა არ არის უსაფუძვლო (შაზუ) და ამ გადმოცემებში არ არის ხარვეზები იხ., Mohammad Hashim Kamali, A Textbook of Hadith Studies (Leicester: The Islamic Foundation, 2005), p.13

5. დეტალებისთვის იხილეთ Wahbah al-Zuhayli, Al-Fiqh al-Islāmī wa Adillatuh (Damascus: Dār al-Fikr, 1989/1409 ah, 3rd ed.), 3:510f
6. იხ. Mohammad Hashim Kamali, Principles of Islamic Jurisprudence (Cambridge: Islamic Texts Society, 2003), p. 429.
7. იქვე. 429.
8. Abū Ishāq Ibrāhīm al-Shāṭibī, Al-Muwāfaqāt fī Uṣūl al-Aḥkām, ed. Muhammad Hasanayn Makhḥuf (Cairo: al-Maṭbaʿah al-Salafiyyah, 1920/1341 ah), 1:140; Wahbah al-Zuhayli, Uṣūl al-Fiqh al-Islāmī (Damascus: Dār al-Fikr, 1986/1406 ah), p.86
9. იხ. Yusuf al-Qaradawi, Al-Halāl wa al-Harām, p.31.
10. Al-Qaradawi, Al-Halāl wa al-Harām, p.56.
11. ტაჰიბათ-ის გარკვეული სახეები იყო აკრძალული იუდეველებისთვის შეგონებისა და სასჯელის ზომის სახით (იხ., სურა ალ-ან'ამ, 6:146 და სურა ან-ნისა', 4:160).
12. მაგალითად, ლიქიორის შემთხვევაში, ყურანში ასეა ახსნილი მისი აკრძალვა: „მიუგე: ორივე დიდი ცოდვაა და სარგებელიც ხალხისთვის, მაგრამ ცოდვა უფრო ქარბია, ვიდრე სარგებელი.“ (სურა ალ-ბაკარა, 2:219). ასევე იხ., al-Qaradawi, Al-Halāl wa al-Harām, p.31.
13. არაბულ ვერსიაში: „იზნ იჯთამა' ალ-ჰალალ ვა ალ-ჰარამ, ლუღობა ალ-ჰარამ“. Jalāl al-Dīn al-Suyūfī, al-Ashbāh wa al-Nazā'ir (Beirut: Dār al-Kutub al-'Ilmiyyah, 1994), p.151. Shabir,

Al-Qawā' id, p.325. საინტერესოა, რომ კარადავი არ მიმართავს ამ პრინციპს თავის მოკლე განხილვაში „საექვსოგან თავის არიდება - ითთიკა' აშ-შუბჰნათ“, რაც შესაძლებელია, არ არის შემთხვევითი და გამონვეულია მისი მტკიცებულებების სისუსტით, აგრეთვე, კიდევ ერთი მტკიცებულებით, რომლის თანახმად, უნდა გამოიყენო ის, რაც უფრო მარტივი და შვებისმომგვრელია. ამით აიხსნება ის, თუ რატომ მიაკუთვნა ალ-კარადავიმ ეს საკითხი რუბრიკას – სადდ აზ-ზარა'ი'.

14. საკითხი განხილულია.: Securities Commission, Resolutions of the Securities Commission Shariah Advisory Council, 2nd ed. Kuala Lumpur, 2007, p.158.
15. არაბულად ეს სამართლებრივი პრინციპი შემდეგნაირად ჟღერს: „დარ' ალ-მაფასიდ ავლჷ მინ ჯალბ ალ-მანაფი“.
16. იხ. Shabir, Al-Qawā' id, pp. 326–8.
17. Wizārat al-Awqāf wa al-Shu'ūn al-Islāmiyyah, Al-Mawsū'ah al-Fiqhiyyah (Kuwait: Wizārat al-Awqāf wa al-Shu'ūn al-Islāmiyyah, 1421 ah/2001), 40:75.
18. იქვე.
19. იქვე, 40:79 და 85.
20. ათი პუნქტისგან შემდგარი აკრძალვების ეს ჩამონათვალი მოიცავს: ღორს, სისხლს, ლეშს, ცხოველებს, რომელიც იყო დამხრჩვალნი, ნაცემი, მკვდარი, ნარქენი, ნაწილობრივ შეჭმული მტაცებლების მიერ და ცხოველებს, რომლებიც დაიკლა არა ალლაჰ-ის, არამედ წარმართული ღვთაების სახელით.
21. იხ., Umar Sulayman al-Ashqar, Muhammad Uthman Shabir et al., Dirāsāt Fiqhiyyah fī Qadāyā Ṭibbiyyah al-Mu' āsirah (Amman: Dār al-Nafā'is, 1421 ah/2001), p.317.
22. მუსლიმი სამართალმცოდნეები ერთსულოვნად მიიჩნევენ უწმინდურად ადამიანისა და ხორცის მჭამელი ცხოველების ექსკრემენტებსა და შარდს, თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც კი-

- დევ უფრო მეტად იჩენს თავს „დასაკლავი“, ბლახისმჭამელი ცხოველებისა და ჩიტების შარდთან დაკავშირებით.
23. იხ. Ahmad al-Hajji al-Kurdi, *Buḥūth wa Fatāwā Fiqhiyyah Muāṣirah* (Beirut: Dār al-Bashā'ir al-Islāmiyyah, 1427 ah/2007), pp.29-31.
  24. იქვე გვ. 313.
  25. *Wizārat al-Awqāf wa al-Shu'ūn al-Islāmiyyah*, *Al-Mawsū' ah*, 40:74 იხ. აგრეთვე. 40:101-103.
  26. Al-Ashqar et al., *Dirāsāt*, p.318.
  27. იქვე. გვ. 314
  28. იქვე. გვ. 314
  29. იხ. Yusuf al-Qaradawi, *Al-Ḥalāl wa al-Ḥarām*, p.15; Muhammad Uthman Shabir, *Al-Qawā' id al-Kulliyyah wa al-Dawābiṭ al-Fiqhiyyah fī al-Sharī'ah al-Islāmiyyah* (Amman: Dār al-Nafā'is, 2006/1426 ah), p.324; Kamali, *Principles*, p.421.
  30. ყურანის მიერ ღორის ხორცის აკრძალვა იუდეველთა ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს. ანალოგიურად, ისლამური ტრადიციის უარყოფითი დამოკიდებულება ძაღლების მიმართ აიხსნება იმ ფაქტით, რომ ძაღლები ხშირად ცოფის გადამტანებად მიიჩნეოდნენ და ადამიანები მათგან დისტანცირებას ცდილობდნენ.
  31. Ibn Mājah al-Qazwīnī, ed. Muammad Fuad Abd al-Baqi, *Sunan Ibn Mājah* (Beirut: Dār al-Kutub al-Ilmiyyah, 1987/1407 ah), Ḥadīth no. 3,367; al-Qaradawi, *Al-Ḥalāl wa al-Ḥarām*, p.23.
  32. დეტალურად იხ. *Siyāsah Sharīyyah*, Mohammad Hashim Kamali, *Sharīah Law: An Introduction* (Oxford: Oneworld Publications, 2008), pp.225-245.
  33. იხ., Al-Qaradawi, *Al-Ḥalāl wa al-Ḥarām*, p.34; Shabir, *Al-Qawā'id*, p.324.
  34. იხ. Al-Qaradawi, *Al-Ḥalāl wa al-Ḥarām*, p.37-8. აქ არსებობს მცირე გამონაკლისები, მაგალითად, რიბზ-ს (მევახშეობის) შემთხვევაში მუსლიმის მხრიდან არამუსლიმთან მიმართებით.

- თუმცა ესეც დავის საგანია - ზოგიერთი სამართალმცოდნე ამ აზრს არამართებულად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც სხვები აცხადებენ, რომ ეს დასაშვებია მაშინ, როდესაც არამუსლიმი არის რაბი და მტრული ქვეყნის მაცხოვრებელია.
35. იქვე, გვ. 34. ალ-კარადავი ამის ილუსტრირებას ახდენს კა-ზინოს ცეკვის ერთგვარი ხელოვნების ფორმად შეფასებით, ან რიბა-ს - სარგებლის შეფასებით.
36. იხ. *Wizārat al-Awqāf wa al-Shu'ūn al-Islāmiyyah, al-Mawsū'ah al-Fiqhiyyah* (Kuwait, 1993/1414 ah, 4th ed.), 5:125.
37. იქვე
38. Muslim, *Mukhtaṣar Ṣaḥīḥ Muslim*, ed. Muhammad Nasir al-Din al-Albani (Beirut: Dār al-Maktab al-Islāmī, 1987), p.342, hadith no. 1,262.
39. *Alā' al-Dīn al-Kāsānī, Badā'i' al-Ṣanā'i' fī tartīb al-sharā'i'* (Beirut: Dār al-Kutub al-'Ilmiyyah, 1986/1406 ah), 2nd ed., 5:114; *al-Zuhayli, Al-Fiqh al-Islāmī*, 3:5.
40. ეს აზრი ასევე დევს ჰადისში: „აკრძალულია მუსლიმის ქონების აღება მისი თანხმობის გარეშე“. იხ. *Abū Bakr ' Abd al-Raḥmān ibn al-Ḥusayn al-Bayhaqī, Al-Sunan al-Kubrā*, ed. M. Abd al-Qadir Ata (Mecca: Maktabah Dār al-Bāz, 1987/1407 ah), 6:100, hadith no.11,325. სხვა ჰადისში ვკითხულობთ: „შენ და შენი ქონება - ორივე ეკუთვნით შენს მამას“. იხ. *Muḥammad ibn ' Abd Allāh al-Khaṭīb al-Tabrīzī, Mishkāṭ al-Maṣābīḥ*, ed. Muhammad Nasir al-Din al-Albani (Beirut: Dār al-Maktab al-Islāmī, 1979/1399), 2nd ed., hadith no. 3,354.
41. *Muhammad Uthman Shabir, Al-Qawā' id al-Kulliyah wa al-Dawābiṭ al-Fiqhiyyah* (Amman: Dār al-Nafā'is, 1426 ah/2006), p.213.
42. ix. *Wahbah al-Zuhaili, Al-Fiqh al-Islāmī*, vol. 6, p.161f.
43. *Alā' al-Din al-Kāsānī, Badā'i' al-Ṣanā'i' fī Tartīb al-Sharā'i'* (Beirut: Dār al-Kutub al-'Ilmiyyah, 1986/1406 ah), 5:113, აცხადებს საბოლოო კონსენსუსს (იჯმა) ალკოჰოლის მცირე რა-

- ოდენობის აკრძალვაზე. სადდ ალ-ზარა' განხილულია: Kamali, Jurisprudence, chapter 16, pp.397–410.
44. იხ. Wahbbah al-Zuhayli, Al-Fiqh al-Islāmī, vol. 6, p.166.
  45. იხ., Abdul Rahman Awang, “Istihalah and the Sunnah of the Prophet,” in: Halal Development Corporation, The Essence of Halal, p.58.
  46. იქვე. ისთიჰალა-ს შესახებ აგრეთვე იხილეთ, Ahmad al-Hajji al-Kurdi, Buḥūth wa Fatāwā Fiqhiyyah Muāṣirah (Beirut: Dār al-Bashā'ir al-Islāmiyyah, 1427 ah/2007), p.29.
  47. <http://www.islamset.org/bioethics/9thfiqh.html#1> (accessed on 10 January 2012).
  48. ფიკჰის აკადემიის გადანყვეტილება იყო გამოქვეყნებული: Al-Sharq al-Awsat (London), no.9173, 9 July 2004, p.14, available online at <http://www.asharqalawsat.com/print.asp?did=211692> (accessed on 10 January 2012).
  49. <http://www.islamset.org/bioethics/8thfiq.html> (accessed on 10 January 2012).
  50. Nazih Hammad, “Dieting the Islamic Way,” xelmisawvdomia vebisaitze: <http://www.themodernreligion.com/health/diet.html> (accessed on 10 January 2012); also quoted by Abdul Rahman Awang, “Istihālah,” p.60.
  51. <http://www.islamset.org/bioethics/8fiqh.html> (accessed on 10 January 2012).
  52. <http://www.islamset.org/bioethics/8fiqh.html> (accessed on 10 January 2012).
  53. იხ., Kamali, Principles, p.426.
  54. ამგვარად, ერთ-ერთი ჰადისის მიხედვით „წმინდა შუამავალმა აკრძალა ჯალალა აქლემის ხორცის ჭამა“, ხოლო სხვა ჰადისის მიხედვით „წმინდა შუამავალმა აკრძალა ჯალალა-ს რძის დაღევა“. ორივე ჰადისი ციტირებულია Sunan Dāraquṭnī და Sunan Abū Dāwūd, აგრეთვე Wizārat al-Awqāf wa al-Shu'ūn al-Islāmiyyah, Al-Mawsū'ah al-fiqhiyyah, 5:149.

55. Al-Kāsānī, *Badā'i* , 5:39–40; Muhammad Amin ibn Abidin, *Hāshiyah Radd al-Mukhtār ' alā Durr al-Mukhtār* (Cairo: Dār al-Fikr, 1979/1300 ah),5:194.
56. Abū Ḥafṣ ' Umar ibn Badr al-Mawṣillī, *Al-Jam' u Bayn al-Ṣaḥīḥayn* (Beirut: al-Maktab al-Islāmī, 1995), vol.2, p.38.
57. Al-Shāṭibī, *Al-Muwāfaqāt*, p.152
58. იხ. Al-Zuhayli, *Al-Fiqh al-Islāmī*, 3:667.
59. იხ. *Wizārat al-Awqāf wa al-Shu'ūn al-Islāmiyyah*, *Al-Mawsū' ah al-Fiqhiyyah*, 5:152.
60. იქვე 5:153.
61. იქვე 5:155.
62. იხ. Ibn Rushd, *Bidāyat al-Mujtahid* (Beirut: Dār al-Qalam, 1988), 1:329; al-Zuhayli, *Al-Fiqh al-Islāmī*, 3:663–4.
63. Susan Douglas, “The Fabric of Muslim Daily Life,” in ed. Vincent Cornell, *Voices of Islam* (Praeger: Connecticut, 2007), vol. 3, p.17
64. დეტალები იხილეთ: Kamali, *Principles*, p.331.
65. Muhammad A. al-Bayanuni, *Al-Ḥukm al-Taklīfī fī al-Sharī' ah al-Islāmiyyah* (Damascus: Dār al-Qalam, 1988), pp.224-225
66. იქვე გვ. 225
67. დეტალურად იხილეთ: Kamali, *Principles*, p.419f.
68. ამ ჰადისში ნახსენებია აგრეთვე აჯვა-ად ცნობილი ფინიკის სახეობა, რომელიც წმინდა შუამავალს განსაკუთრებით უყვარდა და რომლის კვებით ღირებულებაზეც საუბრობდა. ამ და სხვა საკვებზე ჰადისები იხილეთ Abdul Rahman Awang, “Istihalah and the Sunnah of the Prophet,” in Halal Industry Development Corporation, *The Essence of Halal* (Kuala Lumpur: HDC Publication, 2011), pp.72-73, [agreTve www.mdcpublishers.com](http://www.mdcpublishers.com).
69. ალ-ბუხარის მიერ აბუ უმამას სახელით გადმოცემული ჰადისი, ციტირებულია იქვე, გვ. 70.
70. დეტალები იხილეთ იქვე, გვ. 70-71.
71. Muslim, *Mukhtaṣar Ṣaḥīḥ Muslim*, p. 253, hadith no. 956.

72. Al-Qaradawi, Al-Halāl wa al-Harām, p.37.
73. Al-Tabrīzī, Mishkāṭ, 2:845, hadith no. 4,046.
74. BSE აღნიშნავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღრუბლი-სებრ ენცელოფატიას. ამ საკითხზე უფრო მეტი ინფორმაცია იხილეთ Richard C. Foltz, *Animals in Islamic Tradition and Muslim Countries* (Oxford: Oneworld Publications, 2006), p.118. აქვე ფოლტცი წერს, რომ „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ხორცის იმპორტირებას უმეტესად აწარმოებენ ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა ახალი ზელანდია და რომ სამრეწველო მეურნეობაში არსებობს პრობლემები იმის დადგენასთან დაკავშირებით, არის თუ არა ხორცი ჰალალ“.
75. არაბული ვერსიით „იზა იჯთამა‘ ალ-ჰალალ ვა ალ-ჰარამ, ლუღობა ალ-ჰარამ“. Jalāl al-Dīn al-Suyūfī, *al-Ashbāh wa al-Nazā’ir* (Beirut: Dār al-Kitāb al-‘Ilmiyyah, 1994), p.151. Shabir, *Al-Qawā’id*, p.325. საინტერესოა, რომ კარადავი არ მიმართავს ამ პრინციპს თავის მოკლე განხილვაში „საექვსოვან თავის არიდება - ითთიკა‘ აშ-შუბუჰჰათ“, რაც შესაძლებელია, არ არის შემთხვევითი და გამონვეულია მისი მტკიცებულებების სისუსტით, აგრეთვე, კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომლის თანახმად უნდა გამოიყენო ის, რაც უფრო მარტივია და შვების მომგვრელი. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ კარადავიმ ეს საკითხი მიაკუთვნა რუბრიკას – სადღ აზ-ზარა‘ი‘.
76. საკითხი განხილულია: Securities Commission, *Resolutions of the Securities Commission Shariah Advisory Council*, 2nd ed. Kuala Lumpur, 2007, p.158.
77. არაბულად სამართლებრივი პრინციპი შემდეგნაირად ჟღერს: „დარ‘ ალ-მაფჰსიდ ავლ მინ ჯალბ ალ-მანაფი“.
78. Cf., Shabir, *Al-Qawā’id*, pp.326-8.
79. იხ. Mohammad Hashim Kamali, “The Principles of Halal and Haram in Islam,” in ed. Halal Development Corporation, *The*



- Modern Compendium of Halal, vol. 1, The Essence of Halal (Kuala Lumpur, 2011), p.24f.
80. იხ, Kamali, “Principles of Halal and Haram,” in ed. Halal Development Corporation, The Essence of Halal, p.38.
  81. იხ. Qur’an, Al-Naḥl, 16:115. See also Susan L. Douglas, “The Fabric of Muslim Daily Life,” in ed. Vincent Cornell, Voices of Islam (Westport, Connecticut), vol. 3, pp.16-17.
  82. იხ., Kamali, “Principles of Halal and Haram,” in ed. Halal Development Corporation, The Essence of Halal, p.42f.
  83. Al-Qaradawi, Al-Ḥalal wa al-Ḥarām, p.63.
  84. იხილეთ ნურბაითი ჰამდანის (Nurbaiti Hamdan) და ა. რამანის (A. Raman) ანგარიში. The Star, 11 September 2008, p. N43.
  85. ანგარიში „New Straits Times of Kuala Lumpur“-Si, December 29, 2012, p.10.
  86. Marco Tieman, “Control of Halal Food Chains,” Islam and Civilisational Renewal (Kuala Lumpur), 3.3, 2011, pp.538–542.
  87. Al-Qaradawi, Al-Ḥalal wa al-Ḥarām, p.72.
  88. Al-Qaradawi, Al-Ḥalal wa al-Ḥarām, p.53; Abdul Halim Uwais, Mawsūʿah al-Fiqh al-Islāmī (Egypt: Dār al-Wafā’), vol.1, p.174.
  89. Foltz, Animals, p.27.
  90. დეტალებისთვის იხილეთ: Al-Qaradawi, Al-Ḥalal wa al-Ḥarām, p.61; al-Zuhayli, Al-Fiqh al-Islāmī, 3:659.
  91. . Al-Qaradawi, Al-Ḥalal wa al-Ḥarām, p.61-2.
  92. Ibn Rushd, Bidāyat al-Mujtahid, 1:325f; al-Zuhayli, Al-Fiqh al-Islāmī, 3:661–3.
  93. Ibn Rushd, Bidāyat al-Mujtahid, 1:327–8; al-Zuhayli, Al-Fiqh al-Islāmī, 3:663–4; al-Qaradawi, Al-Ḥalāl wa al Ḥarām, 55f.
  94. Abū Dāwūd, Sunan Abū Dāwūd, Engl. tr. Ahmad Hassan (Lahore: Sh. Ashraf, 1984), 2:1149, hadith no. 411. See for a discussion also, Kamali, Principles, p.153.
  95. Al-Qaradawi, Al-Ḥalal wa al-Ḥarām, p.51-2.
  96. იქვე იხ. 51

97. იხ. Kamali, Principles, 369; Shabir, Al-Qawā' id, p.244
98. The Mejlle, ინგლისური თარგმანია Majallah al-Ahkam Adliya and A Complete Code of Islamic Civil Law, tr. C.R. Tyser et al. (Kuala Lumpur: The Other Press, 2003, repr.), Art. 36. მეჯელეში მოყვანილია რამდენიმე სხვა ტრადიციული სამართლებრივი პრინციპი, მათ შორის „ადამიანების გამოყენება მტკიცებულებაა, რომლის მიხედვითაც უნდა მოვიქცეთ“ (არტ. 37). დეტალები იხილეთ Kamali, Principles, p. 371.
99. Shahidan Shafie and Mohd Nor Othman, “Halal Certification: International Marketing Issues and Challenges,” Kuala Lumpur, Faculty of Business and Accountancy, University of Malaya, unpublished conference paper, p.2.
100. Roziana Hamsawi, “Bumis only Hold 30pc of Halal Certs,” New Straits Times (Kuala Lumpur), 29 June 2011, p.5.
101. იქვე.
102. დამატებით იხილეთ: Sabariyah Din, Trading Halal Commodities: Opportunities and Challenges for the Muslim World (Kuala Lumpur: Penerbit Universiti Teknologi Malaysia, 2006), pp.20-21.
103. Roziana Hamsawi, “Bumis.”
104. Shahidan Shafie and Mohd Nor Othman, “Halal Certification,” p.5.
105. <http://www.upc-online.org/slaughter/report/html>.
106. თახაჯურ და თალფᲑკ-თან დაკავშირებით იხილეთ: Mohammad Hashim Kamali, “Shari’ah and Civil Law: Toward a Methodology of Harmonisation,” Islamic Law and Society 14 (2007), pp.406–11.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

როდესაც ჰალალ ინდუსტრიაზე ვსაუბრობთ, ჩვეულებრივ ვფიქრობთ ხორცსა და ხორცპროდუქტებზე, რადგან ეს მიმართულება ამ ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჰალალ-ის საკითხი ეხება მუსლიმთა ცხოვრების ბევრ სფეროს. ვინაიდან ინდუსტრია მოიცავს მოგებას, მიწოდებასა და მოთხოვნის საბაზრო რეალობას, ამიტომ ამ მიმართულებით ისლამური პრინციპების გაგება ძალიან მნიშვნელოვანია.

საკითხის დეტალური შესწავლისას ქამალი განმარტავს ჰალალ-ისა და ჰარამ-ის ძირითად პრინციპებს და განიხილავს საკვანძო საკითხებს, განსაკუთრებით ხორცის მრეწველობასთან მიმართებაში. ამასთან ის გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას და სათანადო განმარტებას იმ მცდარი წარმოდგენებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთაც აწყდება მუსლიმი ხალხი დღეს. მაგალითად, დანამატების პრობლემამ გამოიწვია მნიშვნელოვანი დაბნეულობა კვების პროდუქტების მოხმარებაში. ასევე გასაკვირი არაა, რომ ისლამური სამართლის სკოლებსა და მეცნიერებს განსხვავებული აღქმა აქვთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჰალალ. სხვა ფაქტორები, როგორცაა ჩვეულება და კლიმატი, ასევე ახდენს გავლენას. ჰალალ სერთიფიცირების მიმართულებითაც სხვადასხვა მიდგომები და წესები არის განვითარებული თანამედროვე ინდუსტრიაში. წიგნში წარმოდგენილია ჰალალ ინდუსტრიის შესახებ ყველა დეტალი, რომელიც გამოყენებულია პრაქტიკაში.

